“დადგით მესხეთში აკვნები, აღზარდეთ კვლავ რუსთაველი“ ვიორგი ლეონიძე

ლიტერატურული მესხეთი

№2 (305)
თებერვალი
2024 წელი
ფასი 40 თეთრი

გამოცემის ოცდამეექვსე წელი "LITERATURULI MESKHETI"

მესხეთის სევდა

ვაჟა ხაჯიშვილი



შეთხელებია მრევლი საფარას,
ნისლში დანთქმულა ოშკი, ხახული,
სადაც ქართველი მკვიდრობდა მყარად,
უღმერთოდ კვნესის მიწა ქართული.

აქ კლდეებს სიმწრით ჩასჭიდებიან
ძველი ხერთვისი, თმოგვი, აწყური,
მტკვარი ცრემლია ადიდებული,
ცრემლი ტაოდან ჩამონაწური.

ღმერთო, რამდენ ხანს ვმალეთ წყლულები,
როგორ ვიყარეთ თვალში ნაცარი,
დღეს ჩვენში კაცი არ მეგულება
რომ ვერ ხედავდეს იმას, რაც არი.

მამა-პაპათა სისხლით ნაკურთხი,
ოფლით ნაგები ნადუღაბარი,
მიმოიხედეთ ოთხივე კუთხით,
სადაო ხდება ჩვენი მთა-ბარი.

დიდი კოცონი როცა გვიქრება,
უნდა ვეძებოთ ერთად საშველი,
უნდა ვიფიქროთ, ხვალ რაც იქნება,
რომ საქართველოს შერჩეს ქართველი!

ციკლიდან: „მუჰაჯირობა“

მუჰაჯირობა აჭარიდან

ჯემალ კარალიძე

(გაგრძ. დასაწყ. წინა ნომერში)

ოსმალთა ასეთი საქმიანობისაგან თავდაცვის მიზნით, აჭარის მკვიდრნი რუსეთის ხელისუფლებასაც მიმართავდნენ. ქვედა აჭარის მოსახლეობის დელეგაციამ სვიატოპოლკ-მირსკის მფარველობა სთხოვა თურქთა ძალადობისაგან. უფრო მეტიც, ბათუმისა და ქობულეთის მოსახლეობის წარმომადგენლობამ მსგავსი თხოვნით დიდ მთავარს, მიხეილსაც მიმართა. რა თქმა უნდა, ორივე შემთხვევაში დახმარების გაწევა აღთქმული იყო, მაგრამ ცალკეული გამონაკლისების გარდა, რომელთაც ქართველ პატრიოტებს უნდა ვუმადლოდეთ, სერიოზული დახმარება არ გაწეულა.

აშკარა ძალადობასთან ერთად, ოსმალეთის ხელისუფლებამ, ადგილობრივთა გადაბირების მიზნით, ფართო მასშტაბის სააგიტაციო მუშაობა გააჩაღა, რომელშიც ის სასულიერო პირებსაც იყენებდა. ზაქარია ჭიჭინაძე შემდეგნაირად აფასებდა ოსმალთა ასეთ საქმიანობას: „ქართველ მაჰმადიანებს წამქეზებლები რომ არ ჰყოლოდათ, ისინი თავიანთი მამულიდან ფეხსაც არ მოიცვლიდნენო“.

ოსმალთა საქმიანობის თაობაზე 1878 წელს გაზეთი „დროება“ წერდა: „ჩვენ შევიტყეთ, რომ ოსმალეთის მთავრობა ჰგზავნის ბათუმში კომისიას თუ ერთს აგენტს, რომელსაც მინდობილი ექნება, რომ ფულით და სხვა სახსარით გაუადვილოს გადასახლება ახალშეძენილ ოსმალოს საქართველოს მაზრიდან იმ მცხოვრებელთ, რომელნიც ამ ქვეყნიდან ოსმალეთში გადასახლებას მოინდომებენ... ოსმალოს კომისია, ანუ აგენტი, რომელიც ბათუმში იქნება, უეჭველია, ყოველ საშუალებას მოიხმარს, რომ რაც შეიძლება მომეტებული ხალხი გადაასახლოს იქიდან ოსმალეთში.“ ოსმალთა „მოწოდებები“ და ძალად გადასახლების მცდელობა ხშირად ადგილობრივი მაჰმადიანი ქართველების წინააღმდეგობის გამო შეტაკებამდეც მიდიოდა. „23 აგვისტოს სოფელ ჭახათში მოვიდნენ 24 ნიზამი სამასი ჩალვადრის ცხენებით და ოსმალოს მმართველების ბრძანებისამებრ, ურჩევდნენ მცხოვრებლებს გადასახლებულიყვნენ ოსმალეთში... მცხოვრებლებმა გადაწყვეტილი უარი გამოუცხადეს. მაშინ, ნიზამებმა განიზრახეს ძალის დატანება, მაგრამ ჭახათლელები, ერთი გავლენიანი კაცის გულოაღა კაიკაციშვილის რჩევით ეცნენ ოსმალებს და მუშტი-კრივით იფრინეს წინ, მოკლეს სამი ცხენი და ნიზამთ წაართვეს ოთხი თოფი, ახალი სისტემისა, რადგან ჭახათლელები უმრავლესნი იყვნენ ნიზამებზე და ამიტომაც კაცის სისხლი არ დაღვრილა. მაგიერ, აჭარაში და მაჭახელში ამგვარი შემთხვევის წყალობით რამდენჯერმე მოხდა სისხლის ღვრა¨ - მიუთითებდა „ივერია“.



ბათუმი

მუჰაჯირთა გადასახლების საკითხით ოსმალთა ასეთ დაინტერესებას თავისი მიზეზები ჰქონდა. ჯერ ერთი, ოსმალეთის მთავრობა ცდილობდა მომთაბარე თურქი ტომები გადაეყვანა ბინადარ წესზე. ამიტომ, ხშირ შემთხვევაში, მათ გვერდით ასახლებდნენ ქართველებს, რომლებიც ოდითგანვე მისდევდნენ ინტენსიურ სოფლის მეურნეობას. ოსმალეთის მმართველი წრეები იმედოვნებდნენ, რომ ქართველების სამეურნეო კულტურა, გარჯა და მიწის სიყვარული კარგ მაგალითს მისცემდა მომთაბარე ტომებს და ხელს შეუწყობდა მათ გადასვლას ცხოვრების ბინადარ წესზე და აღძრავდა მათში მიწის დამუშავებისა და სოფლის მეურნეობის წარმოების სურვილს¨. სულთნის ხელისუფლება გარდა აღნიშნულისა, იმედოვნებდა მის საზღვრებში დასახლებული მუჰაჯირების გამოყენებას მომავალში თვით რუსეთის წინააღმდეგ.

ადგილობრივი მოსახლეობის გასახლებით, რუსეთის იმპერიაც იყო დაინტერესებული, რომელსაც კავკასიის სრული ათვისება ჰქონდა ჩაფიქრებული. რაც, ერთის მხრივ, მოსახლეობის ასიმილაციის, ხოლო, მეორე მხრივ, მხარის სრული კოლონიზაციის ხარჯზე უნდა მომხდარიყო. ამდენად, აჭარის მოსახლეობის გასახლების საკითხში ოსმალეთსა და რუსეთს ერთნაირი, დადებითი პოზიცია ჰქონდათ. აღნიშნულ საკითხში ორი იმპერიის ინტერესთა თანხვედრა ჯერ კიდევ სან-სტეფანოს ხელშეკრულების გაფორმებისას აშკარად გამოჩნდა

სვიატოპოლკ-მირსკიმ აჭარის მოსახლეობას გამოუცხადა, რომ ხელშეუხებელი იქნებოდა მათი ქონება, რელიგია. სახელმწიფოს მიმართ ვალდებულებები იგივე დარჩებოდა, რაც ოსმალთა ბატონობის პერიოდში იყო, უცვლელი დარჩებოდა ადგილობრივი მმართველობაც, გადასახლების მსურველებს მიეცემოდათ ქონების გაყიდვის დრო. სამწუხაროდ, რუსეთის ხელისუფლებამ მაჰმადიანი ქართველებისადმი მიცემული არც ერთი პირობა არ შეასრულა, რამაც ოსმალეთში გადასახლების პროცესს ხელი უფრო შეუწყო. მით უმეტეს, რომ ოსმალეთის აგენტები სხვადასხვა ინფორმაციას, ზოგჯერ მართალსა თუ ჭორს (სალდათში გაწვევას, ძალად გაქრისტიანებას, ტრადიციების ხელყოფას და სხვა) ავრცელებდნენ. „დროება“ იუწყებოდა: „ჩვენი ახლადშეძენილი მაზრებიდან ადგილობრივი მცხოვრებლები - მაჰმადიანები მიდიან ოსმალეთში. მიდიან თითო-ოროლა კი არა, რამდენიმე ასი და ათასი ოჯახი ერთად. რა არის ამის მიზეზი? ახალი მთავრობის დამკვიდრებით, ამათი ცხოვრება ძირიანად შეიცვალა. მაგრამ გადასახლება ამით არ აიხსნება. აქაური მაჰმადიანები მშვიდობიანი, მიწის მომუშავე და შრომისმოყვარე ხალხია... განსაკუთრებით აშინებენ მათ იმით, რომ ჩვენი (იგულიხმება რუსეთის ხელისუფლება - ავტორი) მთავრობა იმათ სალდათად გამოიყვანს, რომ შინაურული ამათი ცოლ-ქმრობითი ადათი მოისპობა... ამათ მომავლის ეშინიათ და არა ახლანდელი დროისა“. ამას ემატებოდა აჭარის მოსახლეობისთვის ძნელი ასატანი უცხო, რუსული მმართველობის ხელაღებით შემოღება, რომ არაფერი ვთქვათ ენობრივ ბარიერზე.

გაზეთი „დროება“ ეხებოდა რა საერთოდ სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში შექმნილ ვითარებას, აქაურთა მუჰაჯირად წასვლის მიზეზად რუსულ მმართველობას და სამართლებრივი ურთიერთობების მოუწესრიგებლობას მიიჩნევდა: „ჩვენი მხარე ვერანდება, ხალხი დიდი და პაწია, ფუხარა და შეძლებული ყველანი სტოვებს თავის სახლ-კარს, დედულ-მამულს და მიეშურება ხონთქრის სამკვიდრებელში... სადმე რომ სამართალი იყოს და მთავრობას სურდეს ამ გავერანებას ბოლო მოუღოს, კვლავად გადასახლება შეაჩეროს და ჩვენს ხალხს გული გაუკეთოს – ერთი რაღაცის შემოღების მეტი არ იქნება საჭირო. ამ ერთს რაღაცას სახელად ჰქვია სამართალი. სამართლის მეტი ჩვენ არაფერი გვინდა. იგი დაგვაკმაყოფილებს სულ მთლად, იგი მოგვიბრუნებს გულს, ხელს აგვაღებინებს გადასახლებაზე, შეგვაყვარებს რუს მმართველობას და ტირილით გარდახვეწილ მოჰაჯირებს (გადასახლებულებს) კი დააბრუნებს ისთევე¨ .

მაჰმადიან ქართველთა ოსმალეთში გადასახლების ერთ-ერთი ძირითადი მიზეზი ეკონომიკური სიდუხჭირე იყო. მცირე მიწიანობასა და ოსმალთა ბატონობის შედეგად შექმნილ საერთო ეკონომიკურ გაჭირვებას დაემატა ბათუმის, როგორც მხარის ძირითადი სავაჭრო ცენტრის პორტოფრანკოდ გამოცხადების ფაქტორი. თავისუფალი ნავსადგური, სადაც ყველა ქვეყნის ხომალდი თავისუფლად უნდა შემოსულიყო, მომგებიანი იყო განვითარებული კაპიტალისტური ქვეყნებისათვის, კერძოდ კი ინგლისისათვის. რუსეთს არ შეეძლო

გაგრძელება მე-8 გვ. ▶

იგნაციოს ბერის შეშფოთება

(ნაწყვეტი ისტორიული რომანიდან – „სიმონ მეფე“)

კახაბერ ჯაყელი

1534 წლის მშვენიერ გაზაფხულზე, უძველეს ქალაქ ტფილისში, მტკვრის პირას, კლდეზე აღმართული სამეფო პალატების გასწვრივ მდებარე ხის სახლში, დედოფლების სავარდო უბანში, გამოკვირტული ხილისა და ყვავილების ბაღში, დამკვირდებულმა ბერმა, თავისი დღიური გადაფურცლა. აქ ის წერდა ყოველივეს, რამაც იგნაციოსის, ლოგიკაზე დაფუძნებული გონება, თუ მისივე აზრით უკვე „გამომშრალი გული“, ცოტათი მაინც ააღელვა და მოისადგურა.

ქართული ენის სწავლა ბერმა ჯერ კიდევ სმირნის მონასტერში დაიწყო. დაუღალავად შრომობდა ამ უცხო ენის საიდუმლოების შესაცნობად. მალე გაიწაფა. ახალციხეში რომ მოვიდა, უკვე ქართულად საუბრობდა. ტფილისს რომ მოაღწია სიამოვნებით ერთვებოდა საუბარში, მუდამ საბრძოლველად აღკაზმულ დიმულ, გაყვითლებულ, აზრისაგან დაცლილ ფოლიანტებს ფურცლავდა.

ჰმ, დიდებულია! – ჩაილაპარაკა ბერმა და სიმშვიდით ელოდა ეპისკოპოსის შემდეგ დარიგებასა თუ სწავლებას მის მიმართ.

მაგრამ რადგანაც ქართველნი ბერძენთა მსგავსად განცალკევებით არიან, მათ არ ახასიათებდათ იმგვარი რამ, რისთვისაც იულიანე ბერძნებს ზიზღს არ აკლებდა.

უნდა იცოდე, შვილო, იგნაციოს, რომ თუ ბერძნებმა წმინდა პაპების სახელები გამოსვლისთანავე ამოშალეს თავიანთი დიპტიხიდან, ქართველებმა 1210 წლამდე გააგრძელეს პაპების დასახელება ხუთი პატრიარქის ჩამოთვლისას, რაც იმას ნიშნავს, რომ ისინი აღმოსავლეთის ოთხ პატრიარქს და მეხუთეს დასავლეთის პატრიარქს – წმინდა პეტრეს ტახტზე მჯდომ რომის პაპს, აღიარებდნენ, როგორც თავიანთ კეთილ მწყემსს.

ლით დაიღუპა. მისმა შვილმა გიორგი ბრწყინვალემ მონღოლები ქვეყნიდან განაგდო და 1321 წელს ეს წერილი მიიღო პაპი იოანე XVII-საგან. აი ამონარიდს მოგახსენებთ:

„უწყოდეთ, რომ სრულიად არ ვეძებთ თქვენს ქონებას, არამედ აზრად გვაქვს მხოლოდ თქვენი სულის ცხონება, გულმოდგინედ მოუსმინეთ შემოერთების საქმეში ჩვენს მიერ თქვენთან წარმოგზავნილ პირებს. შემოუერთდით წმინდა რომის ეკლესიას. მაშინ შეიქმნებით უპირველესი ერი ყველა ტომთა შორის“.

ამ დროს ეს ხალხი სრულიად განცალკევებული ყოფილა. ეტყობა ძლიერებიც არიან, რადგანაც პაპის ტონი საკმაოდ რბილდება შემდგომ წერილში – ამოიოხრა იულიანე შარტრელმა.

1329 წელს იბერიელთა მეფე გიორგი ბრწყინვალე საკმაოდ გაძლიერდა. ამიტომაც, ნახე იგნაციოს, როგორ შეიცვალა პაპის წერილი: „თქვენს დიდებულებას გულმოდგინებით

ნებთ ჩემს აზრს ამ უმნიშვნელოვანეს საკითხზე. – ხშირი და გაჭაღარავებული წარბები აამოძრავა ბერის ამ პასუხზე შარტრელმა და თქვა:

– მხოლოდ სამი დღე!.. წადი შვილო ჩემო!

***

იგნაციოსი ამ სამი დღე-ღამის განმავლობაში შარტრის მონასტრის ბიბლიოთეკაში მკითხველად შედგა. ჭის ფორმა ჰქონდა მონასტრის სამკითხველოსა და არქივს. რაც უფრო ღრმად ეშვებოდი ამ ჭაში, უფრო უძირო მოსჩანდა იგი. სპირალისებური კიბით ჩადიოდნენ და ამოდიოდნენ სხვადასხვა ორდენის ბერები ცოდნის უძირო ჭაში, კითხულობდნენ, წერდნენ და გადასწერდნენ. აქვე ამ სიღრმეებში დაეშვა იგნაციოს ბერიც.

სამკითხველოს დაცვის უმკაცრესი მოთხოვნების დაკმაყოფილებისათვის მას მხოლოდ

ნახ. კასტელისა

დებულებთან, რომლებიც ერთმანეთს ღიმილით გადახედავდნენ, იგნაციუსის მიერ მათ ენაზე წარმოთქმული წინადადების შემდეგ, მარჯვენა ხელის ცერა თითს ხმლის ვადაზე დაიდებდნენ და მობოდიშების შემდეგ ბერის საზოგადოებას სწრაფად სტოვებდნენ.

დედააზრი, რისთვისაც იგნაციუსი ქართლს მოვიდა, იყო დიდი საფიქრალი დასავლეთის და, ასევე, უმნიშვნელოვანესი საფრთხე აღმოსავლეთის ქრისტიანეთა.

„ძმათა დასავლეთიანთა აღარ მიიჩნევს ამგვარად ძმანი აღმოსავლეთიანთა, ბერო იგნაციუს, ამიტომაც შენ, როგორც დამარხულს ქრისტეს დიად სხეულში, მოგიწევს იმის გარკვევა, რაც ბევრმა არ იცის იქ და აქ, ანუ აქ და იქ“ – თქვა მისმა სულიერმა მამამ, იულიანე შარტრელმა და მის წინ დაჩოქილ იგნაციუს ბერს დააცქერდა. მანამდე კი შარტრელის ამ ფრაზას მრავალი რამ უძღვოდა წინ.

***

„იბერიელ მეფეებთან ჩვენი მიმოწერა რომ იკითხო, შენ შეგიძლია! ღიაა შენთვის ყველა წიგნთსაცავი ჩემო შვილი, მაგრამ წაჰხვიდე და იმოღვაწეო ქრისტეს მონათათვის, ტრაპეზუნტსა და ტფილისში, ეს სიწმინდის ის ქუთუთოა, რომელიც განიმარტება, როგორც სულის შესასვლელი და სიბრძნის დამბადებელი. წადი, მოიძიე იბერიელთა ფესვები, შეხვდი მათ მამამთავრებს, გაეცანი ბერძნებსაც და სომხებსაც. მაგრამ განსაკუთრებით მოგანდობ შენ იბერიელებს, რომლებსაც იგივე სისხლი უჩქეფთ ძარღვებში, როგორც თქვენ, ბასკებს. “ – ამბობდა ეპისკოპოსი.

იგნაციოსმა თავი, მათ ფეხ-ქვეშ არსებული მარმარილოს ფილებამდე დახარა და ასე ისმენდა სულიერი მამის ნაუბარს. გული მასაც ეწეოდა სადღაც შორეთს. ეხლა წმინდა მამა ასწავლიდა მას თუ როგორ უნდა განეხორციელებინა, იგნაციოსს წმინდა ეკლესიის დავალებების სწორი და ზედმიწევნით შესრულება სამხრეთ კავკასიაში.

ტრაპეზუნტი და ტფილისი, განსაკუთრებით ტოფელისი, თუბალისი, თუ თობელისი, ან სულაც ტფილისი – ეს ის ქალაქია, სადაც ჩვენი წმინდა მამანი დიდხანს საქმიანობდნენ ქრისტეს სჯულის განსამტკიცებლად და მადლის მოსაპოვებლად, შვილო, იგნაციოს. აი, მომისმინე კარგად!

მამა იულიანე შარტრელი იხსენებდა იმ ფაქტებს, რასაც იგნაციოს ბერი ნაწილობრივ იცნობდა და ნაკლებ აინტერესებდა. ან კი რა მნიშვნელობის მატარებელი იყო ეხლა მისთვის ის ამბავი, რომ რომის პაპი წარსულში იბერიელებს შვილებად მიიჩნევდა და მათ ჯვაროსნულ ომებში მონაწილეობას სთხოვდა. მამა იულიუსი მიიჩნევდა, რომ 1230 წლამდე რომისა და საქართველოს სამეფოს სარწმუნეობრივი ერთობა ჯერ კიდევ არ იყო დარღვეული და სწორედ ამიტომაც იყო, რომ პაპი ონორე III საქართველოს მეფეს სამოციქულო ინდულგენციებს სთავაზობდა, რაც იმას ნიშნავდა, რომ ის საქართველოს საკუთარი უნიის წევრად სთვლიდა. მაგრამ ქართული ეკლესია დამოუკიდებელი იყო. ერთია როგორ შეჰხედავდი მას შარტრიდან თუ პარიზიდან, რომელ ფოლიანტს ამოიღებდი წარსულის ისტორიიდან.

ქართული ეკლესია სრულიად ავტოკეფალიური გახლდათ. საქართველოს მეფე-ქალი, რუსუდანი, პაპს ჯერ კიდევ როდის (იგნაციოსის გამოთვლით დაახლოებით 178 წლის წინ) სწერდა, რომ იგი თავის სარდალს – ივანეს, წმინდა საფლავის გასანთავისუფლებლად მიავლენდა და ჯვაროსნულ ომში მზარდ საფრთხეებს დაუპირისპირდებოდა.

ჯარის სარდალს თავადაც მოუწერია წერილი ჩვენი პაპისათვის, სადაც ეს ივანე იტყობინებოდა, რომ მან წმინდა ჯვარი მიიღო მეფისაგან და იგი მხნედ ემზადება იმისათვის, რომ ორმოცი ათასი კაცით მივიდეს ერუსალიმს და იესო ქრისტეს საფლავი გამოიხსნას.

იბერიელმა გენერალმა ივანემ, ლოცვა-კურთხევა გვთხოვა მაშინ და მისმა მემკვიდრემ შანშემ, ასევე კეთილი სურვილები მოიწერა წმინდა გულით. მთავარი იყო, პაპის მოწოდებას, „რომ წავიდნენ და იბრძოლონ თავიანთი ხარჯით“, ქართველნი აღმაფრენით შეხვდნენ – ხმამაღლა ფიქრობდა იულიუს შარტრელი და დრომოჭ-

იგნაციოსი კვლავ დაჩოქილი იყო და განაგრძობდა სმენას. მისი აზრი ერთ მიზანს დაეპყრო, – გაეგო რა სურდა მისგან იულიანეს და მის ზევით მჯდომ კარდინალს, რომლის ზევით უკვე თავად პაპი იდგა. „რა სურთ იბერიელებისაგან?“ – ფეთქავდა ბერის ტვინში აზრი, რომელიც იგნაციოსს სისხლს ჰმატებდა.

1230 წელს წმინდა პაპმა გრიგოლ IX-მ დედოფალ რუსუდანს და მის შვილს, დავით ნარინს მოუწოდა: „საყვარელო შვილნო, საჭიროა ქრისტეს მონაცვლე და წმინდა პეტრეს მოსაყდრე, რომის პაპი სცნოთ თქვენი და ყველა თქვენთა ქვეშევრდომთა, როგორც მამა და ჩვენი სარწმუნოების მწყემსი, შეუერდეთ მას და რომის ეკლესიას და სწუხდეთ, რომ აქამდე დაგაგვიანდათ. აი, ეს არის წერილის ერთი პირი, რომელიც გუშინ მომიტანა ჩემმა ნუნციომ, შარტრის დიდი წიგნთსაცავის არქივიდან, სადაც შენც მოგიწევს წყაროებზე მუშაობა, ღირსო იგნაციოს.

„თუ სთხოვდნენ შემოერთებას, ეს მხოლოდ იმას მაუწყებს, რომ იბერიელნი განცალკევებით ყოფილან მაშინაც“, – გაუელვა ტვინის ერთ-ერთ, მაკვარანცხ უჯრაში ბერს, მაგრამ მან მყისიერად დაიუნჯა ეს აზრი და გააგრძელა სმენა. „ეშმაკი არ მასვენებსო“, – გაიფიქრა თავის თავზე და გაუხედავი აზრების გამოდევნა იწყო მოუსვენარი გონებიდან.

სწორედ ამ პერიოდს, ანუ 1240 წელს უკავშირდება ტფილისში, თობელისში, ან თუბალისში პირველი კათოლიკური ტაძრის მშენებლობა ჩემო იგნაციოს, – დაუტკბა ხორხისმიერი თანმხმოვანები იულიანე შარტრელს, რომელიც აგრძელებდა ძველი წერილის კითხვას: აი მაშინ, დაახლოვებით 293 წლის წინ წმინდა პაპი გახარებული აღნიშნავს – „საყვარელნო შვილნო, დიდად ნასიამოვნები და გახარებულნი ვართ, რომ თქვენი მადლით ღმერთის სიტყვა გიღიარებიათ და თქვენს სამფლობელოში, როგორც თქვენ იწერებით, ეკლესიის დაბადების დღიდან სარწმუნოება მტკიცედ და შეურყევლად შემოგინახავთ!“ მაგრამ აქაც უნდა ვთქვათ, იგნაციოს, ერთი რამ, იმ დროს იბერიელთა ქვეყანას ურჯულო მონღოლები შემოსევიან. აი წერილის ბოლოს არის რამდენიმე საჭოჭმანო აზრი, რომელიც მე იმაზე მაფიქრებინებს, რომ ჩვენი რწმენა შუაზე გაუჭრიათ მტრებს და გაუჩეხიათ.

იულიანე შარტრელმა ეხლა უკვე სხვა წერილი ამოიღო აბგიდან, გაშალა და იგნაციოს ბერის საყურედღებოდ თქვა:

1289 წელს პაპი ნიკოლოზ IV, იბერიელთა მეფეს დემეტრეს სწერს: „გულმხურვალედ განაგრძეთ ეკლესიის ერთობა, რადგან კათოლიკური სარწმუნოება, რომელსაც აღიარებს და ასწავლის რომის ეკლესია, ამზადებს ზეცის გზას და უღებს ცხოვრების კარსა, უნდა ითქვას იგნაციოს, რომ ეს მეფე მოწამეობრივი სიკვდი-

ვაუწყებთ, შევაგულიანებთ და გევედრებით უფლის იესო ქრისტეს სახელით და მისი დათხეული სისხლის პატივისათვის, რაიცა თქვენს ღირსებას დიდებასა და სახელს მეტად აღამაღლებს. მაშინ ეცადეთ და თქვენის ერითურთ შემოუერთდით წმინდა რომის ეკლესიას სამარადისოდ და დაურღვევლობის ერთობით“.

თუ შეიძლება მამა იულიანე, მეც ვიტყვი ერთს, – თქვა იგნაციოსმა და როდესაც შარტრელმა მას თავი დაუკრა, განაგრძო – როგორც მე წუხელ ამოვიკითხე ჩვენს ქრონიკაში, 1329 წელს კათოლიკეთა საეპისკოპოსო სმირნიდან ტფილისში იქნა გადმოტანილი. ამის შემდეგ იბერიელთა დიდმა ნაწილმა მიიღო ჩვენი აღმსარებლობა. ქართველები გულთბილად შეხვედრიან კათოლიკე მისიონერებს.

– მართალი ხარ, ჩემო იგნაციოს, მაშინ მე გავჩუმდები და შენ წყაროებში ნაშრომ-ნაღვაწი ბერი, ბევრ რამეს მეტყვის ისეთს, რომელიც ჩვენს სუბარს და შენს იბერიაში წაბრძანებას უფლის ნათელით შემოსავს, – თქვა იულიანემ და იგნაციოსის პასუხის მოლოდინში ტახტზე ჩამოჯდა და ბერს თვალი მიაპყრო.

– მე ხომ ბასკი ვარ, მამაო? ჰოდა, როგორც ბასკს, მიყვარს ადამიანთა სულის მოპოვება. კავკასიის იბერიელები შესაძლოა მართლაც ნათესავნი იყვნენ ბასკთა. ვინ იცის? ხალხის გულის მოგებაა მთავარი. თუ ისინი ბასკებივით პირდაპირები და თავდავიწყებით მორწმუნენი არიან, ამას არაფერი სჯობს. გავემგზავრები იბერიაში. გავეცნობი მათ ცხოვრებას. ვფიქრობ, ისინი შორს არ უნდა იყვნენ ესპანელთაგან, რომელთა გული ჩვენ ბასკებმა განვანათლეთ. მაგრამ მაინც საინტერესოა, რა მიზანი აქვს ჩვენს ეკლესიას იბერიაში? როგორ გავზომო ჩემი საქმიანობა? რას უნდა მივაღწიო პაპისათვის და უფლისათვის წმინდა მამაო? – მკაფიოდ ჩამოაყალიბა თავის სათქმელი ბერმა და შარტრელს შეხედა.

შარტრელი ჯერ კიდევ წყაროებში მოპოვებული დოკუმენტების არსზე ფიქრობდა და ბერის მიერ პირდაპირ დასმულმა კითხვამ აზრის ლოგოსი აუტორტმანა დინჯსა და ფილოსოფიურად მოსაუბრე იულიანეს. თავიდან ფეხებამდე შეათვალიერა იგნაციოსი. სახე წამოუწითლდა და გაიბადრა.

– ასე გეტყვი, რასაც ათი პაპი ცდილობდა, სწორედ ის შრომა შენ უნდა დაამთავრო წარმატებით, გიჟად ხომ არ ჩამთვლი, ჩემო იგნაციოს ბერო?

– წმინდა მამაო.... მე თქვენ სულიწმინდის ნაწილად მიგიჩნევთ... (იგნაციოსი შარტრელის წინაშე მოიხარა).

– მაშინ ეს მითხარი, ღირსო იგნაციუს, რა უნდა დაგავალოს რომის მისიამ კავკასიის იბერიაში, რასაც შენი მოღვაწეობის ფარგლებში დაივალებდი და მიაღწევდი უცილობლივ?

– ერთი კვირა მომეცი მამაო და მოგახსე-

მცირე ლამპარი ერგო. იგნაციოსმა მოკიდა ხელი ნავთის ბოთლუკას, წიგნთსაცავის გეგმას და ლამპართან ერთად სამკითხველოს სიღრმეებში მიმავალ კიბეზე იწყო ჩასვლა.

ლანდებმა გაიქროლეს მის წინ და უკან. ბერი მიხვდა, რომ მისი ფიქრები მატერიალურ არსებებად იქცნენ ამ ნახევრად ჩაბნელებულ, ცოდნის საკმეველში. გამოუტყდა თავს, რომ ჩალმიანი არსებებიც შენიშნა, ბოლოს ჯორზე შემჯდარი ბერის სილუეტს მოჰკრა თვალი და გზა გააგრძელა.

წიგნთსაცავის მესამე დონეზე ჰქონდა ამჟამად შეღწევა იგნაციოს ბერს. ეს კი იმას ნიშნავდა, რომ აქ იყო მოგროვილი რომის პაპის მთელი მომოწერა აღმოსავლეთის საკითხების შესახებ და ამ მიმოწერას თავისი უჯრები ჰქონდა მიჩენილი: საბერძნეთი და მისი კუნძულები. – ამოიკითხა იგნაციოსმა და ძებნა გააგრძელა მიმდებარე თაროებზე.

არმენია და სპარსეთი. – გასაგებია, სწორი მიმართულებით მივდივარ.

„1329 წელი. ტფილისის კათოლიკური საეპისკოპოსო“. – აი აქ არის ყველაფერი თავმოყრილი. – მოწყენით თქვა იგნაციუსმა და ხის სკამზე ჩამოჯდა, რვეული გადაფურცლა, თარიღი მიუთითა, სამელნე და კალამი მოამზადა, ლამპარი ნავთის ბოთლუკიდან მომდინარი შავი სითხით „დატენა“, აანთო და მუშაობას შეუდგა.

ფოლიანტების კითხვის დროს რამდენიმე პიროვნების სილუეტს ისევ მოჰკრა თვალი. სამი ცხენოსანი მოილანდა, მაგრამ სწრაფად გააქნია თავი და ლანდები გაჰფანტა. შიშველ ფაქტებთან დარჩა და მათი ლოგოსი მოისადგურა.

***

1298 წელს პირველი კათოლიკური ეკლესია ახალციხეში აშენდა. მესხეთი იყო პირველი კარიბჭე იბერიისათვის და სწორედ აქ მოხდა ფრანგების შემობრძანება. ხალხი მკაცრად იცავდა მართლმადიდებლობას, მაგრამ, როგორც ეს დიდ და ვაჭრობით მდიდარ კუთხეებს ახასიათებთ, მესხეთის დედაქალაქი ფრანგთა პირველი სამოსახლო გამხდარა. ეს ფაქტი კარგად ჩაინიშნა ფოლიანტებში ჩაძირულმა იგნაციუსმა. „როგორც კი დროს მოვიხელთებ, ტფილისიდან ამ ქარციხეში გავემგზავრები, ტაძრის ნაშთებს მოვინახულებ, ხალხსაც ეხსომებათ ჩვენი პადრები “, – გაიფიქრა მან.

„1329 წელს კათოლიკეთა საეპისკოპოსო სმირნიდან ტფილისში იქნა გადმოტანილი, ეპისკოპოსად დანიშნული იქნა ივანე ფლორენციელი, ერთ-ერთი ყველაზე განათლებული და ღირსეული პირი ჩვენს სარწმუნოებაში“, – ფიქრობდა იგნაციოსი და თავს უკატუნებდა ფოლიანტებში ასახულ მოვლენებსა და მიმოწერის დიალოგებს, როდესაც ეთახმებოდა მათ.

როგორც ჩანს, ივანე ფლორენციელს ძალიან სერიოზული მუშაობა ჩაუტარებია ტფილისში და ბევრი მოძღვარი კათოლიკედ გარდაუქმნია. არც ქართველები შეხვედრიან მტრულად კათოლიკეთა იდეებს და ეკლესიათა გაერთიანების საკითხი საქართველოში, ამ აღმოსავლეთის იბერიაში, თითქოსდა მომწიფებულა.

„თან ეს ხდება მაშინ, როცა აფხაზთა და ქართველთა სამეფო, უძლიერესია მთელს აღმოსავლეთში, მათი სამხედრო ძლიერება სულაც არ უშლის ხელს მათ აზროვნებას და ისინი სიამოვნებით უსმენენ ჩვენს მისიონრებს, რომელთაც მათ საკმაოდ ჯიუტ გონებაში, ნამდვილი სინანულის ჩანერგვა აქვთ გადაწყვეტილი, ეს გასაოცარია, რადგანაც გამარჯვებული იმპერიები ხშირად არ უსმენენ მონოლოგს რჯულის შესახებ, მაგრამ იქნებ მათ ხასიათი აქვთ ამგვარი? მაშინ რა? აი ეს კი საფრთხეა. თუ მათი ხასიათი მხოლოდ მოსმენაზეა მიპყრობილი, მაშინ როგორ გავიგოთ, გვიჯერებენ თუ არა ისინი საბოლოოდ?“ – იგნაციოსი კითხულობდა და ლანდები მის გაყინულ მხრებზე, თითქოსდა მიდი-მოდიოდნენ, ხანაც უჩუმრად და ხანაც უჩვეულო ზმუილითა და შეძახილებით, – გაგვატარეთო!

სომეხთა საკითხებიც ამოტივტივდა იგნაციოს ბერის წინაშე დახვავებული წერილებიდან.

გაგრძელება იქნება

მანანა ბრაჭული

ღამის სონეტი

ჩამორღვეულ ღრუბლებთან იმსხვრევიან ბროლები.
ვრცელი პარაბოლები კრთიან კეროვანებად.
შროშანების მდელოზე, მოჰყვებიან მარიამს,
მეწამული ღრუბლები და თეთრი ხმოვანები.
უცხო იდილიები მზის სამოსელს ჰქარგავენ.
მდუმარება ირხევა და სინათლის მრუდები
თვლემს მოწყენილ ბინდბუნდში ლურჯი უდაბურება,
როგორც იდუმალება ცეცხლოვან ქარაგმებში.
დავიწყების მდინარე შლის პროფილის გრაციას,
ხსოვნის თვალებს ლაჟვარდის მდუმარება აცვია.
ბრუნდებიან ზღაპრები მერამდენე ღამიდან,
ნახე, ცრემლიც სცოდნიათ მივიწყებულ მაქციებს.
სადღაც, მეფის ჭალაში, გაჰკივიან ჭოტები,
„საკვირველის ზღაპარში" უფლისწული ბრუნდება,
იზეპირებს ყორანი დანაბარებს კაცთათვის,
ღამის ხელისგულებზე მოწკრიალეს რუებად.
ახლა მთვარე სავსეა, მეთექვსმეტე დღეს ითვლის,
ილუზიის ფოთლები შრიალებენ ურანზე,
ფუთფუთებენ ალვებთან მეკაცური გველები
და ველებზე ბრუნდება ნიავქარის მდინარე.

ნანა, ქარია!

მზე მიდის, მიაქვს ჩემი გელათი, ნანა, ქარია!
ფიქრი დაღონდა მოწამეთათი, ნანა, ქარია!
წაქცეულ ღობეს მრავალწერტილი მისდევს ანწლების,
იკაწრებიან, ავდებიან დროის კაწლები....
თრთიან დაფნები, საგვირგვინე, თრთიან დაფნები,
ლურჯი კვრინჩხები ჩამუხლულან როგორც ჩაფრები,
ტოტებნალეწი, უგრძნობელნი დგანან ატმები,
ხვალ გახმებიან და არავინ მოვენატრებით.
კვდება ზღაპარი ტყემლების და თეთრი ქაცვების,
ფერნაცვალია, ღობის მიღმა, ტკბილი ცაცხვები,
მუცლითმღერალნი ჭრიჭინებენ დროის დამქცევნი,
ქრიან ქარები უდიერნი, ხანაც თვალთმაქცნი.
მკლავს იმის ფიქრი, აქ არყოფნა უნდა რაობდეს,
შიში მომავლის, უძლურება ჩემი მაოგნებს...
შროშის დაღმართზე ნარგიზის ცეცხლს სწვავს სინანული,
ქარია, ნანა, ქარებს რჩებათ ნანა, მამული!

პაატა სურმანიძე

თმოგვის ციხე

ჩვენ ორპირ ქარში დგომა მოგველის,
ამ ისტორიას ვერაფრით მოგვით.
მას მოსდგომია მოდგმა თმოგველის,
მეპატიჟება შეფარვით თმოგვი.

ავიღე ხელში ფარი და ხმალი,
და ფარზე ხმლით ვწერ, სტრიქონ-გალავნებს.
ლექსის ვანდალმა კვლამ გამამხილა,
რომ გალავნებზე რითმევს ვალაგებ.

როგორც დემეტრემ, მეც თავი დავდე....
ზოგივით არ მაქვს მე თავი ზოგვით.
ვცდილობ მწერხელით, ფეხზე რომ დავდგე,
თმოგვიდან თრთოლვით მეძახის თმოგვი.

რწმენას ართმევდი ახალი მთვარე,
საქართველოში ცეცხლით და მოგვით.
ვარსკვლავთა ქიმებს გვახლიდი მართვე
და მკერდს უშვერდა ტარანებს თმოგვი.

ვუყურებ მინდვრად მე ზღაპრულ მეჯლისს,
გნოლს ეგოგმანა დურაჯი გოგვით.
რა შემიძლია მელექსე ჯეილს,
ლექსს დაგიტოვებ დარაჯად თმოგვის.

სიტყვად იზრდება მარცვალი მდოგვის
და ბოლო სიტყვას პოეტი მოგგვრით.
მტერი ოთხივე მხრიდან რომ მოგვდის,
არ დავთმოთ თმოგვი, არ დავთმოთ თმოგვი!

ვარდის ციხე

არ მაკლებ მოკლე საეკლე ისარს,
ეკლის საკნებში დარდი იხევა,
ბულბული აღდგა ნაეკლესიარს,
გულის გალიით – ვარდის ციხე ვარ!
მთვარეს ჩამოტყდა ცალი რიკული
და მზის ღიმილში გადაიხიდა!
სატრფოს მისტირის ცა ლირიკული,
ვით იადონი ვარდის ციხიდან!
ბოდბის ზედა შრის ღვინო მინდა შინ,
წმინდა სახე ხარ სახელისათვის,
ვაზის ჯვრით მნათლავ ნინოწმინდაში,
მუნჯ საიდუმლოს გამხელისათვის!

სიყვარულის თანაზიარი

სიყვარულს გიხსნი ხმანაზ იარით,
გვიხსნის ცისფერი ცა რომ ანტიკას,
ვართ ოცნებების თანაზიარი,
მე, შენ, პარიზი და რომანტიკა.

გაშლილი სუფრა – ფიტა, გუჟერი...
გვხატავს მონმარტრი არტ-მომატებით,
ფრანგულ წიგნზე დევს ტიტა ფუჟერით,
აფროდიტული არომატებით.

მზერით მიკვეთავ სიტყვის კლასიკას,
მუზას ლექსით გცემ პატივს, კომპლიმენტს.
ქართულ ხმას ვუწყობ ფრანგულ მუსიკას
და სიყვარულის აკომპანემენტს.

ცაზე ცისარტყლის შვიდი რგოლია,
ანგელოზურად მზეს რომ გაცვია.
თვალებში გითრთის ლურჯი გლორია,
ხმაში სპეტაკი თოვლის გრაცია.

ერთად ვტირივართ მეტ რომანტიკით,
ეს სულის წვიმაც რა ნაზი არის,
რომ ჩვენი ტრფობის რეტრომ, ანტიკით,
გაგვხადა ლექსის თანაზიარი.

ლურჯი პიეტა

ტკივილს ყოველთვის მიქებ მტანჯველო,
ჩვენკენ იბრუნებს პირს ჯულიეტა,
რომ გამოკვეთოს მიქელანჯელომ,
მარმარილოდან ლურჯი პიეტა.
პოეტი მაღალ ცის პიონერი,
ქალი ჰგავს მარტის ქარის მოქცევას.
მზე ლურჯი რჯულის მისიონერი,
რომელიც ცდილობს მთვარის მოქცევას.
გხატავ, გვირილას მზის სილუეტად,
რის მაქნისია ჰო, რის ის იდა...
შენ ტრფობით მიდგას სული პიეტა,
გულს რომ მაწოვებ ჰორის ისიდა.
ან მარადისი, ან აქ რომია,
როს არის ბროლის ბუ ნოვატორი,
ლურჯ მოსასხამში ანა ქრომია,
უფლის პერანგში ბუონაროტი.
ტანჯულ მიჯნურის არფა სულია,
როს აღიარებს რჯულს ჯულიეტას.
მარად თოვლის ქვეშ დაფარულია,
ქვის სიმფონიით ლურჯი პიეტა.

თორნიკე კანდელაკი

ცხოვრება ოცნებაში

ო, ცხოვრება ოცნებაში კარგია,
შენ, ოცნებავ, ვიცი, ახლაც მომელი,
მაგრამ თითქოს ზეცის განაკარგია
შორი იყო, შორი, მიუწვდომელი.
სინამდვილევ, ხარ ყოველთვის შენ ახლო,
მისაწვდომიც, მუდამ ხელშესახებიც,
მაგრამ არ მსურს მაინც ბაგე შეგახო,
მე არა ვარ მეტრფე შენი სახების.
წლები ასეთ წვალებაში გადიან
და ჩემს გზებზე თენდება და ბინდდება,
ვერ მივდივარ, სადაც გულით მწადია
და სადაც ვარ, ყოფნა აღარ მინდება.

დავალ ისევ მოგონების ფსკერზე

დავალ ისევ მოგონების ფსკერზე
ისევ ცეკვის ხასიათზე მოველ,
შენ უდარდელ გაღიმებას ვეძებ,
რასაც გინდა შეგისრულებ, მთხოვე!
ამინდია ნაცრიანი ღრუბლის,
ამინდები სულს ღებავენ ჩვენსას,
მითხარი და ზეცის მკაცრი შუბლი
გაიხსნება, განათდება ზეცა.
მითხარი და დაეშვება თოვლი,
მითხარი და გაზაფხული მოვა,
მითხარი და ამწვანდება მოლი,
დაიწყება ყვავილების თოვა.
აგევსება ორქიდეით ეზო,
მთხოვე, ნურას ნუ მოითმენ თმენით!
ოღონდ, ნუ მთხოვ, დავიწყება შევძლო,
დავიწყება რომ შევიძლო შენი.
თავს მოვიკლავ წინაპრების ხმალით,
ანდა, თავით გადვეშვები მტკვარში,
ოღონდ, ნუ მთხოვ, შეველიო ძალით
გულისძგერას შენი თმების ქარში.
ოღონდ ნუ მთხოვ, შეველიო თითებს,
თითებს შენსას ფაიფურზე მკრთალებს,
შენს ბაგეებს ეშმაკურად წითელს
და შენს თვალებს და მაგ თვალთა ქნარებს.
დავალ ისევ მოგონების ფსკერზე,
ისევ ცეკვის ხასიათზე მოველ,
შენ უდარდელ გაღიმებას ვეძებ,
რასაც გინდა შეგისრულებ, მთხოვე.

OMNIAVINGTT AMOR

კიდევ ერთი დაღამება მკაცრი,
კიდევ ერთი გაყინული ძელი...
ყოველ ტკივილს მოერევა კაცი,
თუ გული აქვს სიყვარულით ცხელი!
ყოველივეს, ყოველივეს შემდეგ,
ვამბობ ცხადად და არაფერს ვმალავ,
ყველგან, სადაც ვიმარჯვებდი
დღემდე,
სიყვარულის იმარჯვებდა ძალა.
ო, უფალო, თუნდ ქვას ხვრეტდეს
ცრემლი,
სულს დაღავდეს გოდება და ოხრა,
არ ისმინო, არ ისმინო ჩემი,
არ დამზოგო, ნურც სახსნელად მოხვალ!
მაგრამ გვედრებ, ზურგს ნურასდროს
მაქცევ
(მე არა მწამს ფროიდი და ნიცშე),
ვღაღადებდე თუ მზის ძლეულ ტახტზე
და დაკარგულ სიყვარულის ნიჭზე.

ნახ. თამარ ლომიძისა

ერთი ჯავახური სოფლის

კუკური მეტრეველი

(დასაწყ. წინა ნომერში)

რუსეთ-თურქეთის პირველი ომის დროს (1806-1812წ.წ.), რუსი მთავარსარდლის **ტორმასოვის** უშუალო ბრძანებით, 1810 წელს, ახალციხის საფაშოდან, ვითომდაც მათი გადარჩენის და საქართველოს სხვა დაცლილი რეგიონების შევსების მიზნით, შეგროვებული და გასახლებული იქნა 1506 ქართველი მართლმადიდებელი ქრისტიანის ოჯახი. რამაც შემდგომში გამოუსწორებელი ზიანი მიაყენა სამცხე-ჯავახეთის მომავალს. გენერალი ტორმასოვი თავად აღნიშნავდა, რომ ამ ხალხის გადასახლება ხდებოდა მათი სურვილის საწინააღმდეგოდ და, უპირველეს ყოვლისა, კეთდებოდა იმისათვის, რომ, ვითომდაც, როცა ფაშა დაინახავდა, რომ ამდენი ხალხი ჩვენს მხარეზე გადმოვიდაო, უფრო ადვილად დათანხმდება ჩვენს წაყენებულ პირობებსო (?!). როგორც შემდგომ მოვლენების განვითარებამ აჩვენა, **ამ ღონისძიებების მზაკვრული მიზანი მაინც ადგილობრივი მკვიდრი ქართველი მოსახლეობისაგან სამცხე-ჯავახეთის მიწების მაქსიმალურად გამოთავისუფლება იყო.** მომავალშიც ასე უნდა მომხდარიყო ახლად შემოერთებულ სამხრეთ საზღვრებზე სახაზინო მიწების გაზრდა და კარგი ნიადაგის მომზადება რუსეთის იმპერიისათვის უფრო სანდო და ერთგული უცხოტომელი კოლონისტების გადმოსასახლებლად. ამ ღონისძიებამ მართლაც გამოიღო მათთვის სასურველი და ჩვენთვის სავალალო შედეგი. **ამ რეგიონში კატასტროფულად შემცირდა ქრისტიან ქართელთა რიცხვი, რამაც გააადვილა და ხელი შეუწყო მის შემდგომ ფართო კოლონიზაციას.** მაშინ ძალიან შეთხელდა ან სრულად დაიცალა ბევრი ძირძველი ქართული სოფელი. **უდიდესი ზიანი მიადგა ჯავახეთის ქრისტიანი მოსახლეობის მთავარ დასაყრდენ სოფელ კოთელიასაც.**

1810 წელს მოტყუებით და დაძალებით **სოფელ კოთელიიდან 112 კომლი (სულ ცოტა 1500-2000 სული) აყარეს და ცხენოსანთა თანხლებით ქვემო ქართლში გადახვეწეს.** ასე გაბრიყვებული და აყრილ-აწეწილი კოთელიელები დროებით ჯერ ბორჩალოში გააჩერეს, მაგრამ მას მერე რაც ისინი საბოლოოდ დარწმუნდნენ, რომ ატყუებდნენ (რუსები მათ ჰპირდებოდნენ, რომ მალე სამცხე-ჯავახეთს ოსმალებისაგან გაათავისუფლებდნენ და ერთ-ორ წელიწადში საკუთარ კერაზე ყველას უკლებლივ დააბრუნებდნენ, თანაც ხუთი წლით გადასახადებისგანაც გაათავისუფლებდნენ. ამის იმედით ბევრმა ოჯახმა თავიანთი ქერის ორმოები ხორბლით პირამდე სავსე დატოვა, ეგონა მალე მობრუნდებოდა), ხმა ამოიღეს, ამბოხდნენ და რუსებს დანაპირების შესრულება მოსთხოვეს. თანაც ისე ჯიუტად, ჯავახურად შეუტიეს, რომ რუსები თავს ვეღარ უვლიდნენ და მეამბოხეთა დაქსაქსვის და დროებით მაინც დაშოშმინების მიზნით, მათმა უშუალო ზედამხედველმა პოლკოვნიკმა **მაჩაბელმა** (რუსების მხარეს 1807 წელს გადასული ბეგი, წარმოშობით ჯავახეთის სოფელ დანიეთიდან) აიღო და, ისევ მათი ნების საწინააღმდეგოდ, ერთი ნაწილი (57 ოჯახი) სოფელ დიდ ლილოში ჩაასახლეს, დარჩენილი ნაწილი, 1812 წლის გაზაფხულამდე, ისევ **ბორჩალოში** დააყოვნა და მათი უმრავლესობა, მანამდე ხანგრძლივი ლეკიანობის გამო მოსახლეობით თითქმის სრულად დაცლილ საქართველოს საზღვრისპირა რეგიონში – ლორეში ჩაასახლეს. სამწუხაროდ, 1830 წლის შემდეგ ისევ რუსების ხელშეწყობით სპარსეთის, ოსმალეთის და დღევანდელი აზერბაიჯანის რეგიონებიდან აქ მოსულმა მოზღვავებულმა სომეხი კოლონისტების მასამ ისინი მთლიანად შთანთქა და გაასომხა. ბორჩალოში ჩარჩენილი კოთელიელების ნაწილი სტიქიურად თბილისის მიმდებარე სოფლებში მიმოიფანტა. დღესაც ამ სოფლებში აქ-იქ მცხოვრებ იმ კოთელიელთა შთამომავლებს ბუნდოვნად მაინც ახსოვთ თავიანთი მამა-პაპის მონაყოლი, რომელთაც მას მერეც მშობლიურ სოფელთან კავშირი კიდევ კარგა ხანს არ გაუწყვეტიათ და ჯავახეთის ან კოთელიის გაგონებაზე, ყურადღება უმახვილდებათ, სხვანაირი გრძნობა და ბევრი კითხვა უჩნდებათ.

ჯერ კიდევ შემოუერთებელ ჯავახეთში ყველაზე დიდი მართლმადიდებელი სოფლის მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილის ასე მასიურად აყრა და სხვაგან გადასახლება, მაშინ რუსებს ალბათ იმის გამოც მოუნდათ, რომ **მათ ხელს არ აძლევდა იმპერიისთვის მეტად არასასურველი ემიგრანტების იმერეთის მეფე სოლომონის და ალექსანდრე ბატონიშვილის და მისთანების თავშესაფარი ცენტრის მათთვის არაკონტროლირებად ტერიტორიაზე არსებობა.** ამ შორს გამიზნული და მზაკვრული მიზნების და ღონისძიებების გამო, ჯავახეთში დარჩენილი კოთელიის მოსახლეობა ისე შემცირდა, რომ **1832 წლის რუსების მიერვე ჩატარებული აღწერისას 28 კომლიღა ცხოვრობდა!**

კოთელია მაინც გადარჩა და კვლავ მოძლიერდა. საარქივო მასალების მიხედვით, 1833-1838 წლებში სოფელ კოთელიაში ცხოვრობდა შემდეგი გვარების მატარებელი ხალხი: **აჩელაშვილი, ბაბალეკიშვილი, ბერიძე, ბერუაშვილი, ბერძენისშვილი. ბიბილურიძე, დათუაშვილი, ზედგინიძე, კომურასშვილი, კოპტონაშვილი, მეტრეველი, მჭედლიშვილი, ნამორაძე, სანდოძე, სხირტლაძე, თოსუაშვილი, ფანჯაკიძე, ქირალიშვილი, ხორომზაშვილი, ხუციშვილი, ყავრელიშვილი, წინწკალაშვილი, ჯუმოშვილი.** ზოგიერთი მოსული ყმა ბატონისაგან მოძიების და უკან დაბრუნების შიშით, ბატონყმობის გადავარდნამდე ჯავახეთში შეფარული გვარით იმალებოდა. ამიტომ, შესაძლებელია, აქ მოტანილი ზოგიერთი გვარის ფორმა და დაბოლოება ამ მოვლენას უკავშირდება. სავარაუდოდ, როგორც ჩანს კოთელიაში ადრე ძალად გამუსულმანებული (იქნებ ფარულად ქრისტიანობის მატარებელი) რამდენიმე ქართული ოჯახიც დასახლდა, რომელნიც ქართულ-ქრისტიანულ გარემოში თანდათან დაუბრუნდნენ მამა-პაპათა სარწმუნეობას. სოფლის სამხრეთით, **წითელქვიების** ფერდობზე, დღემდე შემორჩენილია მუსულმანური რამდენიმე საფლავის ნიშნული. იქნებ სწორედ მათი მიცვალებულებისაა? ან, იქნებ, ეს საფლავები 1918 წელს გაქცევების დროს კოთელიელების მიერ მიტოვებულ სახლებში დროებით შემოხიზნული მუსულმანებისაა, რომლებიც ამ მოკლე დროში ბუნებრივი სიკვდილით, ეპიდემიით ან შეტაკებების დროს დაიღუპნენ? თვეების შემდეგ კოთელიის მოსახლეობის ასე მოულოდნელად მობრუნების შემდეგ, მათმა ჭირისუფლებმა შეიძლება ვეღარ მოახერხეს, ან არც კი ისურვეს, მათი გადასვენება. ასეა თუ ისე, ამ საფლავების თაობაზე დანამდვილებითი რაიმე ცნობა ჩვენთვის ჯერაც უცნობია.

შეხვედრა რეხის სასაფლაოზე

კოთელიელების ქვაჯვარი რეხის სასაფლაოზე

გარდა ზემოთ ჩამოთვლილი გვარებისა, კოთელიაში უცხოვრიათ ან დღესაც ცხოვრობენ შემდეგი გვარის წარმომადგენლები: **აბულაძე, აბაშიძე, ანანიაშვილი, ბალახაძე, ბაღაშვილი, გოდორაძე, დარდაგანიძე, დიასამიძე, ელიზბარაშვილი, ელიოსიძე, ზარიძე, ზურაბაშვილი, ილაშვილი, ისაკაძე, კარაპეტოვი, ლაზარაშვილი, ლეკიშვილი, მაისურაძე, მაღრაძე, მელიქიძე, ნათენაძე, საბაშვილი, ტივაძე, ტყემალაძე, ხმალაძე, ყვინჩიევი, ჯომართიძე, ჯუღაშვილი, წინწკალაძე, შავაძე, ცეცხლაძე...** თანაც ეს არაა სრული სია.

ტანჯული ჯავახეთის სხვა სოფლების მოსახლეობის მსგავსად, კიდევ ერთი ძალიან მძიმე პერიოდი გამოიარეს კოთელიელებმა 1918-1919-1921 წლებში. რუსეთის ორი რევოლუციის შემდეგ განვითარებული მოვლენების შედეგად, სამხრეთ კავკასიიდან რუსეთის ჯარის გასვლის მერე, ჯავახეთში სამი სახელმწიფოს – **საქართველოს, თურქეთის და სომხეთის** ინტერესები დაეჯახა ერთმანეთს. ჯავახეთის, ამ უძველესი და უმნიშვნელოვანესი ქართული კუთხის, როგორც მსუყე ლუკმის ხელში ჩასაგდებად განსაკუთრებით გააქტიურდა სომხური **დაშნაკცუტუნის** პარტია, რომლის ავანტიურისტული განზრახვები ჯავახეთის სომხურ მოსახლეობასაც კი აკრთობდა, მაგრამ მათთვის არც ეს იყო პრობლემა, თავიანთი მიზნების მისაღწევად ყველაფერი იკადრეს. ზეწოლით და აღვირახსნილი აგიტაციით ადგილობრივი სომხების მცირე ნაწილი მაინც აიყოლიეს და ისე ურცხვად გეგმავდნენ და ნაბიჯ-ნაბიჯ ახორციელებდნენ კიდეც თავიანთ ჩანაფიქრებს, რომ იოტისოდენადაც არ ადარდებდათ ადგილობრივი აბორიგენი ქართველების – ჯავახების ინტერესები, რომელთაც თავის დროზე გაუბედურებული ქრისტიანი სომხები თავიანთ გამუსულმანებულ თანამოძმეებსაც კი ამჯობინეს, გულის კარი გაუღეს და უსიტყვოდ მისცეს ქართულ მიწა-წყალზე დამკვიდრების საშუალება. ამ ყველაფერს, ცხადია, მძიმედ აღიქვამდა ჯავახეთის ქართული სოფლების მოსახლეობა, კოთელიელები კი განსაკუთრებით, მაგრამ ძალები უთანასწორო იყო, თბილისიდანაც არ იყო მხარდაჭერა, ამიტომ ბეწვის ხიდზე უწევდათ გავლა, ძნელი იყო მოუთმენლის მოთმენა. იგივეს ურჩევდა იმ დროს ახალქალაქელი **ბოლშევიკურ რუსეთსა და ქემალისტურ თურქეთს შორის** დადებული ზავის თანახმად, **თურქეთს ბათუმის ოლქის სამხრეთი ნაწილი (ართვინის ოკრუგი), არტაანის და ოლთისის ოკრუგები** უნდა გადასცემოდა. იმხანად მოქმედ ამიერკავკასიის სეიმს და კომისარიატს ამ ზავის პირობების აღიარება არ სურდა, ტრაპიზონში თურქულ მხარესთან მოლაპარაკებებიც გაიმართა, მაგრამ თურქეთი არაფრის დათმობას არ აპირებდა და აღნიშნული ტერიტორიების ძალით დასაპყრობად მარტ-აპრილში საომარი მოქმედებები წამოიწყო, და წარმატებასაც მიაღწია. თურქების აგრესია ვერც სომხურმა და ვერც ქართულმა არმიამ ვერ შეაკავა. საქმეს ვერც **სამივე რესპუბლიკის (საქართელოს, სომხეთის და აზერბაიჯანის)** მიერ მაისში დამოუკიდებლობის გამოცხადებამ უშველა. 1918 წლის 4 ივნისს საქართელოს რესპუბლიკის მთავრობამ **ბათუმში** ხელმოწერილი შეთანხმების ძალით თურქების კაბალური პირობები აღიარა და ამ უკანასკნელმა, ფაქტიურად, 1828 წლამდე არსებული საზღვრები აღიდგინა. **მთელი ახალქალაქის მაზრა და ახალციხის მაზრის ნაწილი კვლავ თურქეთის გამგებლობაში გადავიდა.**

ამ მოვლენებით შეგულიანებულმა ადგილობრივმა მუსულმანებით დასახლებული სოფლების **რევანშიტულად და სეპარატისტულად განწყობილმა ჯგუფებმა ისარგებლეს შექმნილი მდგომარეობით და თავი აიშვეს.** 1917 წელს, რუსეთის ორი რევოლუციის შემდეგ, სამხრეთის ფრონტზე დემორალიზებულ და სამარცხვინოდ გაქცეულ რუსული არმიის ნაწილებმა გზად იმდენი სისაძაგლე ჩაიდინეს, ისე დაარბიეს საზღვრისპირა რეგიონებში მცხოვრები მაჰმადიანური ნაწილი და ადგილობრივი გამუსულმანებული ქართველების ერთობლივი მარბეველი რაზმების, „ხუჟანის“ დაუნდობელმა თარეშმა იმსხვერპლა.

1918 წლის 3 მარტს **ბრესტ-ლიტოვსკში** (ბელარუსია) **ბოლშევიკურ რუსეთსა და ქემალისტურ თურქეთს შორის** დადებული ზავის თანახმად, **თურქეთს ბათუმის ოლქის სამხრეთი ნაწილი (ართვინის ოკრუგი), არტაანის და ოლთისის ოკრუგები** უნდა გადასცემოდა. იმხანად მოქმედ ამიერკავკასიის სეიმს და კომისარიატს ამ ზავის პირობების აღიარება არ სურდა, ტრაპიზონში თურქულ მხარესთან მოლაპარაკებებიც გაიმართა, მაგრამ თურქეთი არაფრის დათმობას არ აპირებდა და აღნიშნული ტერიტორიების ძალით დასაპყრობად მარტ-აპრილში საომარი მოქმედებები წამოიწყო, და წარმატებასაც მიაღწია. თურქების აგრესია ვერც სომხურმა და ვერც ქართულმა არმიამ ვერ შეაკავა. საქმეს ვერც **სამივე რესპუბლიკის (საქართელოს, სომხეთის და აზერბაიჯანის)** მიერ მაისში დამოუკიდებლობის გამოცხადებამ უშველა. 1918 წლის 4 ივნისს საქართელოს რესპუბლიკის მთავრობამ **ბათუმში** ხელმოწერილი შეთანხმების ძალით თურქების კაბალური პირობები აღიარა და ამ უკანასკნელმა, ფაქტიურად, 1828 წლამდე არსებული საზღვრები აღიდგინა. **მთელი ახალქალაქის მაზრა და ახალციხის მაზრის ნაწილი კვლავ თურქეთის გამგებლობაში გადავიდა.**

ამ მოვლენებით შეგულიანებულმა ადგილობრივმა მუსულმანებით დასახლებული სოფლების **რევანშიტულად და სეპარატისტულად განწყობილმა ჯგუფებმა ისარგებლეს შექმნილი მდგომარეობით და თავი აიშვეს.** 1917 წელს, რუსეთის ორი რევოლუციის შემდეგ, სამხრეთის ფრონტზე დემორალიზებულ და სამარცხვინოდ გაქცეულ რუსული არმიის ნაწილებმა გზად იმდენი სისაძაგლე ჩაიდინეს, ისე დაარბიეს საზღვრისპირა რეგიონებში მცხოვრები მაჰმადიანური მოსახლეობა (მათი დიდი ნაწილი გამუსულმანებული ქართველობა იყო), რომ რუსთაგან (მაშინ არანაკლებ დაუნდობლად იმოქმედეს სომხური არმიის ნაწილებმაც) გამწარებული ამ ხალხის უმეტესობა მათზე ან მათ მაგივრად ნებისმიერ ქრისტიანზე შურის საძიებლად მხოლოდ შესაბამის დროს და მომენტს ნატრობდა და ელოდებოდა. თანაც მათ იმავე რუსებისგან იმდენი იარაღი და ტყვია-წამალი დარჩათ, რომ ვისაც უნდოდა და რამდენიც სჭირდებოდა, იმაზე მეტი ჰქონდა. ამიტომ, 1918 წლის გაზაფხულზე, ადგილობრივი მაჰმადიანები არც კი დაელოდნენ თურქეთის რეგულარული ნაწილების შემოსვლას და გაშმაგებით დაერივნენ ჯავახეთის ქრისტიანი ქართველებით და სომხებით დასახლებული სოფლების მოსახლეობას. არ ინდობდნენ არავის – არც ბავშვს, არც მოხუცს, არც ქალს და არც კაცს, იტაცებდნენ, ჰკლავდნენ, ანგრევდნენ ან სწვავდნენ ყველას და ყველაფერს! პირველი რისხვა თავს ნიალის ზონის სოფლების მოსახლეობას დაატყდა. ბევრმა მათგანმა თავიდან ბარის სოფლებს, ვანის ქვაბებს და შედარებით ახლო-მახლო ადგილებს შეაფარა თავი. მალე ყაჩაღების მარბეველი რაზმები ზეგანის სოფლებსაც მისწვდნენ. რამდენადაც შეეძლოთ ხალხი თავს იცავდა. ზოგი გარბოდა და ბორჯომის ხეობისა და ბაკურიანის ტყეებს და მთებს აფარებდა დროებით თავს, ზოგი მიწურებში და დარნებში იკეტებოდა და იმალებოდა. ზოგი იმთავითვე მიხვდა სიტუაციის სიმძიმეს და ნაწილ-ნაწილ ბორჯომ-ბაკურიანის მხარის სოფლებში გადაიხვეწა. ჯავახეთის დარჩენილმა მოსახლეობამ ტანჯვა-ვაებით მარტ-აპრილში ამ „ხუჟანის“ რბევა-ანიოკებას რაღაცნაირად მაინც ადგილზევე გაუძლო, მაგრამ **აპრილის ბოლოს – მაისის დასაწყისში, უკვე თურქეთის რეგულარულმა ჯარის ნაწილებმა – ასკერებმა დაიწყეს თანდათანობით შემოსვლა,** დარჩენა უკვე გარდაუვალი დაღუპვის ტოლფასი იყო, ამიტომ სასოწარკვეთილი ჯავახეთის – ნიალის ზონის, ბარისა და ზეგანზე მყოფი სოფლების მოსახლეობას, რომელსაც არავისგან დახმარების იმედი უკვე აღარ ჰქონდა, ფიქრი მხოლოდ ფიზიკურ გადარჩენაზე-ღა უწევდა, სხვა გზა რომ აღარ იყო, მიატოვეს სახლ-კარი, აიკრიფნენ დედაბუდიანად და ბაკურიანში, ქართლსა თუ თრიალეთში გადაიხვეწნენ. ვინც ვერ მოასწრო გაქცევა, ტყვედ ჩავარდა, ან მომხდურებს ადგილზე შეაკვდა.

იმ დროს გატაცებული ჯავახები სტამბოლის ტყვეთა ბაზარზე ისევ გამოჩნენ. იქ ტყვედ გაყიდულ ერთ-ერთ კოთელიელს, საბაშვილების გვარიდან, ნლების მერე, როგორღაც, მოუხერხებია თავის დახსნა, გამოქცეულა და სამშობლოში ჩამოსულა. მაგრამ მშობლიურ სოფელში დაბრუნება დაუმორცხვებია, გურიის ერთ-ერთ სოფელში დასახლებულა. მომდევნო წლებში იქ შემთხვევით სამუშაოდ მყოფი მისი ძმისშვილი ვახტანგი (ბახო), რომელიც თურმე გაჭრილი ვაშლის ნაჭერივით ჰგვანებია ბიძამისს, გურულებს ბიძამისისთვის დანახვისთანავე მიუმგავნებიათ, გაოცებულებს უმალ ბიძასთან მიუყვანიათ და ეს ამბავიც ასე გახმაურებულა.

სოფელ კოთელიის მოსახლეობაც, სხვების მსგავსად, მოთარეშეთა ბანდებს, მაისამდე როგორღაც უძალიანდებოდა. მაგრამ, როცა უკვე თურქების ასკერებმა დაიწყეს მოწოლა, გაჩერებას აზრი აღარ ჰქონდა, თანაც ერთ დღეს, თითქოს არსაიდან, ახალქალაქის

→

1918 წლის 3 მარტის ბრესტ-ლიტოვსკში (ბელარუსია) **ბოლშევიკურ რუსეთსა და ქემალისტურ თურქეთს შორის** დადებული ზავის თანახმად, **თურქეთს ბათუმის ოლქის სამხრეთი ნაწილი (ართვინის ოკრუგი), არტაანის და ოლთისის ოკრუგები** უნდა გადასცემოდა. იმხანად მოქმედ ამიერკავკასიის სეიმს და კომისარიატს ამ ზავის პირობების აღიარება არ სურდა, ტრაპიზონში თურქულ მხარესთან მოლაპარაკებებიც გაიმართა, მაგრამ თურქეთი არაფრის დათმობას არ აპირებდა და აღნიშნული ტერიტორიების ძალით დასაპყრობად მარტ-აპრილში საომარი მოქმედებები წამოიწყო, და წარმატებასაც მიაღწია. თურქების აგრესია ვერც სომხურმა და ვერც ქართულმა არმიამ ვერ შეაკავა. საქმეს ვერც **სამივე რესპუბლიკის (საქართელოს, სომხეთის და აზერბაიჯანის)** მიერ მაისში დამოუკიდებლობის გამოცხადებამ უშველა. 1918 წლის 4 ივნისს საქართელოს რესპუბლიკის მთავრობამ **ბათუმში** ხელმოწერილი შეთანხმების ძალით თურქების კაბალური პირობები აღიარა და ამ უკანასკნელმა, ფაქტიურად, 1828 წლამდე არსებული საზღვრები აღიდგინა. **მთელი ახალქალაქის მაზრა და ახალციხის მაზრის ნაწილი კვლავ თურქეთის გამგებლობაში გადავიდა.**

ამ მოვლენებით შეგულიანებულმა ადგილობრივმა მუსულმანებით დასახლებული სოფლების **რევანშიტულად და სეპარატისტულად განწყობილმა ჯგუფებმა ისარგებლეს შექმნილი მდგომარეობით და თავი აიშვეს.** 1917 წელს, რუსეთის ორი რევოლუციის შემდეგ, სამხრეთის ფრონტზე დემორალიზებულ და სამარცხვინოდ გაქცეულ რუსული არმიის ნაწილებმა გზად იმდენი სისაძაგლე ჩაიდინეს, ისე დაარბიეს საზღვრისპირა რეგიონებში მცხოვრები მაჰმადიანური

თავგადასავალი




საპიტიახშოს გზის დასაწყისი

მხრიდან კოთელიას მოაწყდა ლტოლვილთა – მოხუცებით, ბავშვებით, ქალებით სავსე ჩარდახიანი და სურსათ-სანოვაგით დატვირთული ურმების, ცხენების, ვირების, ცხვრის ფარების, ძროხების და კამეჩების ჯოგების უწყვეტი ქარავნები. გზა მათ ვეღარ იტევდა და ორივე მხარეს ფეხქვეშ ითელებოდა ხორბლის, ქერის, ბარდის და სელის ნათესები... ამ ყველაფერს გოდორას გორაზე, კვირაცხოვლის სალოცავთან, შეგროვილი კოთელიის გაოცებული და დაბნეული მოსახლეობა მანამდე უყურებდა, ვიდრე გააცნობიერებდა, რომ კალაპოტიდან ამოვარდნილი მდინარის ამ დინებას, ძალაუნებურად, თავადაც დროულად უნდა შეერთებოდა.

ჯავახეთიდან დევნილი მოსახლეობის ძირითადი ნაწილი **წალკის მაზრისკენ, სოფელ რეხისკენ გაიქცა** (როგორც ჩანს, რეხაში მანამდე, 1917 წლიდან ლტოლვილი რამდენიმე ჯავახური ოჯახი უკვე აფარებდა თავს). კოთელიის და ზოგიერთი ქართული სოფლის მოსახლეობა რეხაში დარჩა, დანარჩენები **წალკის სოფლებში მიმოიფანტა, ზოგი მანგლისისკენ და დმანისისკენაც წავიდა. დაუზუსტებელი მონაცემებით, მაშინ სამცხე-ჯავახეთიდან დაახლოებით 100 000 ადამიანი გაიქცა.**

საუკუნის წინათ, ჯავახეთიდან ქართველების და სომხების, მათ შორის კოთელიელების **ტაბაწყური-საპიტიახშო-ქციას გზით** წალკაში გადახვეწის თავგადასავალი ძალიან ჰგავს ოცდაათი წლის წინათ, 1993 წლის 27 სექტემბერს, სოხუმის დაცემის შემდეგ, ქართველი ლტოლვილების **აფხაზეთიდან კოდორის ხეობით** ტრაგიკული მსვლელობის ამბავს, რა დროსაც აუტანელ პირობებში, გზაში ასობით ადამიანი დაიღუპა.

გაქცევების თაობაზე თავის მოგონობებში ამ მსვლელობის უშუალო მომსწრე, კოთელიელი **ვლადიმერ კოპტონაშვილი** (ვ.კ) იხსენებდა: „საწყალ კაცს ქვა აღმართში მიეწიაო, სწორედ რომ ლტოლვილებზე აღესრულა, ...მოვიდა ჯერ მსხვილი სეტყვა, ისეთი რომ საქონელმა თავები მიწას დააკრეს, სეტყვის შემდეგ ჩამოწვა ჯანყი-ნისული, ხუთ ნაბიჯზე ვერაფერს ვარჩევდით. სწორედ ამ დროს გზა გადაგვიღობა ხუთმა შეიარაღებულმა, გამხეცებული ეცნენ ცხვარს და საქონელს. დედაჩემს ჩვენი „წაბლა“ ძროხა, რომელსაც ორივე რქა ძირში ჰქონდა მოტეხილი და ერთი მონველის დროს ერთ ვედრო რძეს იძლეოდა, საგანგებოდ ურმის ბოლოზე ჰყავდა მიბმული, რომ არ დაკარგვოდა. მომხვდურები ეცნენ წაბლას, შეხსნეს წასაყვანად, დედაჩემი არ დაიბნა, წაბლას ეცა კისერში და ბაწარზე ჩამოეკიდა. დედას ფეხებში ორჯერ ესროლეს, მაგრამ მაინც არ შეშინდა. უფროსმა მომხვდურებს უბრძანა თათრულად „ბრახ თარგი ვერ“ თავი დაანებეთო. ამ ხუთ ყაჩაღს დაემატა კიდევ რვა მომხდური და როგორც ჩვენი, ისე სხვების საქონელი გარეკეს, წაბლა ძროხა დედაჩემის წყალობით გადარჩა. დედას თათრული ესმოდა და როგორც გაარკვია ესენი ოსმალოები არ იყვნენ, არამედ ბორჩალოელი თათრები. გარდა ამისა მომხვდურები იტაცებდნენ ქალიშვილებს და დედაქალებს, ატყდებოდა წივილ-კივილი, თოფების სროლა, კაცებს ხოცავდნენ, ქალებს აუპატიურებდნენ.

ჩავედით წალკის რეხაში, საღამოსვე შევიტყვეთ – სოფელ კოთელიის მკვიდრ ძმებს მელიქიძეებს – სამსონს, იაკობს და მათ ბიძაშვილს ერეკლეს შეტაკებისას ბორჩალოს თათრების ბრბოდან ხუთი კაცი დაეხოცათ. თუმცა ლტოლვილთა მხრიდან სამი მამაკაცი, ორი ბავშვი და ოთხი ქალი დახოცილიყო.“(ვ.კ.)

კოთელიის მოსახლეობას და მათ შთამომავლობას არასდროს დაავიწყდება რეხის მოსახლეობის გასაოცარი სტუმართმოყვარეობა და გასაჭირში მყოფთათვის თანადგომა! მაშინ რეხელების თითოეულმა ოჯახმა ჯავახეთიდან ლტოლვილი რამდენიმე ათეული(!) ოჯახი შეიფარა, ლუკმა-პური გაუყო და გაუსაძლისი პირობების გამო საკუთარი თავიც დიდი საფრთხის ქვეშ ჩაიყენა. მაგრამ საშვილიშვილოდ ძალიან დიდი მადლი მოისხა.

თავშესაფარი მაინც ყველას არ ჰყოფნიდა და ლტოლვილთა დიდი ნაწილი, საცხვარეების და ბოსლების კუთხეებში (ცხოველებთან ერთად), ეზოებსა და მინდორში, ფარდაგებით გადახურულ მიწურ თხრილებში ცხოვრობდა. გაუჭირდათ ადგილობრივებსაც და გადმოხვეწილებსაც. ამდენ ხალხს საკმარისი არც საჭმელი ჰქონდა და არც ჩასაცმელი, მაგრამ ყველა ურთიერთ თანადგომით, გადარჩენისთვის იბრძოდა და ყველანაირ ტანჯვა-ვაებას სასწაულებრივად უძლებდა. „ზაფხულის თვეებში რეხელ და ლტოლვილ ბავშვებთან ერთად, ხშირად დავდიოდი მდინარე ქციაზე კალმახის ხელით დასაჭერად, ვინაიდან შიმშილი ყველას გვაწუხებდა. გადავთელავდით პურის ნათეს ყანებს, გამოვიტენდით უბეებს **ატოლით და ღიმით**, თან კრეფის დროს ბევრს ვჭამდით, შიმშილის დასაოკებლად. კბილები და ტუჩები შავი, ბალახისფერი გვქონდა. მინდვრებიდან კარგად ჩანდა წალკის ტაფობი, სადაც ახლო-მახლო სოფლების მოსახლეობა, ლტოლვილები – ქალი კაცი, მოხუცი თუ ბავშვი მოფენილიყო ატოლის და ღიმის საკრეფად. გვიან შემოდგომით ვიკვებებოდით მომკილ ყანებში ჩარჩენილი თავთავის მარცვლებით და კარტოფილის ნათეს ადგილებზე ჩარჩენილი კარტოფილით. ზოგი ისე იყო დაუძლურებული, შეგროვების თავიც არ ჰქონდა.“ (ვ.კ.)

ამ გაუსაძლისი, არაჰიგიენური პირობების გამო **სოფელში შავი ჭირის, ტიფის, ხოლერის და კიდევ ვინ იცის, რის ეპიდემიებმა იფეთქა.** ოჯახი არ დარჩა გაჭირვებული ავადმყოფი, რომ არ ჰყოლებოდა. ყოველდღიურად რეხელი და კოთელიელი გარდაცვლილებისთვის სამარეების გათხრას განაწამები ხალხის გაერთიანებული ძალებიც კი ვეღარ აუდიოდა. იმ დროიდან სოფელ რეხის სასაფლაოზე **კოთელიელი და დანარჩენი ჯავახელი მიცვალებულებისთვის ცალკე გამოყოფილი კუთხე გაჩენილა,** რომელიც დღემდე ხელშეუხებელია.

ზოგიერთებს, მაგ. ბერიძეების ერთ ოჯახს, რომელთაც ჯავახეთში უკან მალე დაბრუნების იმედი ჰქონებიათ, თავიანთი მიცვალებულები ფიჩვებში გახვეული ქერის ორმოში ჩაუკიდიათ, იმ მიზნით, რომ მალე უკან დაბრუნებულები მოახერხებდნენ მათ გადასვენებას და მშობლიური მიწისთვის სათანადოდ მიბარებას. მაგრამ უკან დაბრუნების შემგომაც ისეთი შიმშილი და სიდუხჭირე გადაუტანიათ, რომ ჩანაფიქრი ვერც მაშინ და ვერც წლების შემდეგ ვეღარ შეუსრულებიათ. აქვე გავუსწრებთ წინ მოვლენებს და კმაყოფილებით გაცნობებთ, რომ მადლობა ღმერთს, ჩვენმა სოფლელებმა, იქ დაღუპული ჩვენებურების შთამომავლებმა, **2018 წლის ზაფხულში, ამ ტრაგედიიდან ასი წლის თავზე,** მოვახერხეთ რეხაში გადასვლა, ადგილობრივებისთვის კიდევ ერთხელ უღრმესი მადლობის გადახდა და ჩვენი დაღუპული წინაპრების ხსოვნის საპატივცემლოდ ამ ადგილზე მომცრო ქვა-ჯვარის აღმართვა!

მაშინ რეხაში ლტოლვილი ჯავახების ზოგიერთი ოჯახი თითქმის მთლიანად ამოწყვეტილა, ან ძალიან შეთხელებულა. „მამაჩემის ძმას თედო კოპტონაშვილს ჰყავდა 14 შვილი, თვითონ, მეუღლე და ცხრა ქალიშვილი საშინელი სენის მსხვერპლნი გახდნენ. ასევე კოთელიის მკვიდრ კარაპეტოვ ვართანის 19 ქალ-ვაჟიდან 8 გადაურჩა სიკვდილს, სოფელ გოგაშენის მკვიდრი ნათენაძეების 72 სულიანი ოჯახიდან გადარჩა 4 სული“ (ვ.კ.) ჩემი ოლღა ბაბოს (წინწკალაძეების ქალის) 9 დედმამიშვილიდან 8 მშობლებთან ერთად რეხაში დაღუპულა. მთელი ოჯახიდან მხოლოდ ბებიაჩემი გადარჩენილა! ლტოლვილთა განლაგების სხვა სოფლებში და ადგილებშიც მეტ-ნაკლებად მსგავსი სიტუაცია ყოფილა. ამ ტრაგიკულ მოვლენებთან დაკავშირებით მაშინდელი გაზეთ „ერთობა“ სიმწრით მოსთქვამდა, რომ „წალკის ველზე და ბაკურიანის ტყეებში იღუპებოდნენ უკანასკნელი ქართველები, უკანასკნელი ქართული სოფლებისა!..“

მიუხედავად მძვინვარე ეპიდემიებისა და ამ ტრაგიკული სიტუაციისა, ცხოვრება მაინც გრძელდებოდა. **რეხის ორღობეებში ხშირად შეხვდებოდით ერთდროულად მექორწილეებსაც და სამგლოვიარო პროცესიის მონაწილეებსაც.** სოფლის ეკლესიაში მაინც ჯვარს იწერდნენ ახალგაზრდები და ახალი ოჯახები იქმნებოდა. ასე დაობლებულ და მარტოდ დარჩენილ, მთელს ჯავახეთში სილამაზით განთქმულ ჩვენს ოლღა ბაბოს (რომლის მშვენიერებით მოხიბლული ერთ-ერთი გოკიელი ბეგის შვილი მანამდე სპეციალურად ქრისტიანულადაც კი მონათლულა, რათა, როგორმე მოეგო ოლღას გული და ჯვარი კანონიერად დაეწერათ) და პირველი მსოფლიო ომიდან ახლად დაბრუნებულ მარკოზ პაპას (რომელსაც, ეტყობა, ოლღაი გოკიელზე უფრო ძლიერ უყვარდა და ბედმაც არგუნა) ჯვარი სწორედ მაშინ, იქვე რეხის ეკლესიაში დაუწერიათ. იმხანად რეხაში ლტოლვილი კოთელიელების გვერდით ყოფილა სოფლიდან გამოყოლილი მღვდელი ტყემალაძე, რომელსაც ჯვრისწერა ყველა წესის დაცვით ჩაუტარებია და ამ ფაქტის შესახებ ერთ-ერთი საეკლესიო წიგნის პირველ ფურცელზე შესაბამისი ჩანაწერიც გაუკეთებია.

ჯვრის წერა
30 ივნისი 1918 წ.
სასიძო ს. კოთელიელი
მარკოზ გიორგის ძე
მეტრეველი 22 წ.
სასძლო კოთელიაში მცხ.
ტროფიმე წინწკალაშვილის
ასული ოლღა 22 წ.
თავდ. სასიძოს მხარეს
ხელის მ. ივანე ალექსის ძე
დიასამიძე და პანტელ მიხეილის ძე
ჯუმუაშვილი
სასძლოს თავდ. კოთელიელი პოლე
ხელის მ. ბერიძე, ლუკა ანდროს
ძე ანანიაშვილი

ეს ჩანაწერი რეხის ტაძარში, ამ სოფლის იტორიის არაჩვეულებრივმა მკვლევარმა, ჩვენმა გულითადმა მეგობარმა, ქ-ნმა გულიკო საბაძემ მიაკვლია და სიხარულით შეგვატყობინა. საოცარი გრძნობა დაგვეუფლა, როცა საუკუნის შემდეგ პირველად ვიხილეთ ჩვენი პაპა-ბაბოს სევდიანი, ტრაგიკული, მაგრამ მაინც ძალიან ლირიული თავგადასავალის დოკუმენტური დადასტურება!

საბედნიეროდ სამხრეთ საქართველოს ეს ოკუპაცია ძალიან დიდხანს არ გაგრძელდა. **ოსმალეთი ანტანტის წინააღმდეგ ომში საბოლოოდ დამარცხდა** და 1918 წლის 30 ოქტომბერს იძულებული გახდა დათანხმებოდა **მუდროსის** დროებით ხელშეკრულებას, რომლის მიხედვითაც **ოსმალეთი ტოვებდა კავკასიაში ძალით დაკავებულ ყველა ტერიტორიას და მათ ადგილზე შესვლის უფლება მოკავშირეთა ჯარებს ეძლეოდათ.** თურქეთის მთავრობამ დაიწყო საქართველოს მიტაცებული ტერიტორიებიდან თავისი ჯარების გაყვანა და ქართულმა ჯარმა კი მათი დაკავება. მართალია საქართველოს მთავრობამ **1918 წლის 9 ნოემბერს ახალციხის და ახალქალაქის მაზრების მოსახლეობას სიხარულით მიმართა და მათ სამშობლოს წიაღში კანონიერად დაბრუნება აუწყა,** მაგრამ სათქმელად ადვილი იყო, პრობლემები ჩვენს მხარეში კიდევ კარგა ხსანს გაგრძელდა. ასკერები ფეხს ითრევდნენ, დაუნდობელი ბანდები კი ისევ დათარეშობდნენ და ცდილობდნენ, თუ რამე გადარჩათ, ისიც გაეტანათ. სიტუაციას რეაქციონერი სომხების მოქმედებები უფრო **ართულებდა. 1918 წლის 5 დეკემბერს, ქართული ჯარის ნაწილები ახალქალაქში განლაგდნენ,** რაც არ მოეწონა სომხეთის დაშნაკურ მთავრობას. **1918 წლის 6-8 დეკემბერს სომხებმა გადმოკვეთეს საქართველოს საზღვარი და ფაქტიურად უბრძოლველად დაიკავეს დღევანდელი ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის დუხობურებით დასახლებული გზისპირა სოფლები, ბოგდანოვკის ჩათვლით.** 13 დეკემბერს მათ ლორეს და ბორჩალოს მიმართულებითაც შემოუტიეს, **თბილისის აღება სურდათ.** საქართველოს მთავრობის და ხალხის გამოფხიზლებით და გაერთიანებით, სომხეთის მაშინდელი მთავრობის ეს მზაკვრული ავანტიურა ჩაიშალა. გამოუცხადებელი მტრის შემოტევა ჯერ მოგერიებულ იქნა, რამდენიმე დღეში კი სრული უპირატესობა ქართული ჯარის მხარეს გადავიდა და, რომ არა მოკავშირეების (განსაკუთებით ინგლისის) მთავრობების სასწრაფო ჩარევა, მის წინსვლას სომხეთის ტერიტორიის სიღრმეში დემორალიზებული სომხური ნაწილები ვეღარ გაუწევდნენ წინააღმდეგობას. **სომხეთ-საქართველოს ეს სამარცხვინო ომი 1918 წლის 31 დეკემბრის ღამით დამთავრდა.**

იმავე **1918 წლის 1 დეკემბერს ყარსში** პანთურქული ძალების შეკრებაზე **სამხრეთ-აღმოსავლეთ კავკასიის რესპუბლიკის შექმნა** გამოაცხადეს, რომლის შემადგენლობაში მთელი ყოფილი **სამცხე-საათაბაგოს** ტერიტორიაც მოიაზრებოდა. ახალციხე-ახალქალაქის მაზრებში სეპარატისტული მოძრაობის ლიდერად გათურქებული ათაბაგი **ოსმან-სერვერ ბეგ ჯაყელი** მოგვევლინა. მათი მიზანი **სამცხე-ჯავახეთის საქართველოსთვის ჩამოცილება და ყარსისთვის მიერთება იყო.** სიტუაცია უკიდურესად დაიძაბა, **ქრისტიანებსა და მაჰმადიანებს შორის შეტაკებებიც მოხდა.**

აი ასეთ, არეულ და უმძიმეს სიტუაციაში მოუწია ჯავახეთის გაქცეულ მოსახლეობას მონატრებულ მშობლიურ მიწა-წყალზე დაბრუნება. იმ წელს განსაკუთრებით ცივი და უხვთოვლიანი ზამთარიც თან დაერთო, მაგრამ თოვლს და ყინვებს არავინ შეუშინდა და წალკის სოფლებში გაბნეული დროებით **ლტოლვილი მოსახლეობის ქარავნებმა ისევ რეხის გავლით თითქმის ერთდროულად დაიწყეს უკან დაბრუნება.**

რეხელების საარაკო თანადგომით გულგამთბარ, მაგრამ ჭირგამოვლილ და მნიშვნელოვნად შეთხელებულ, საკუთარ სახლ-კარს და მიწა-წყალს უზომოდ მოწყურებულ კოთელიის მოსახლეობას თითქმის ერთი წლის შემდეგ უკან დაბრუნების დღე დაუდგა და ვიღა მოითმენდა?!

„ნახევრად მიწაში ჩაფლული სახლის კარი დედამ გააღო, მაგრამ იმდენი თოვლი მოსულიყო, გარეთ გასვლა შეუძლებელი გახდა. გვირაბი გამოვჭერით, მამამ სტიქიის ჭირვეულობას გადახედა და დედას უთხრა, ჩვენთვის თბილად ჩაეცმია. დაუყოვნებლივ უნდა დაგვეტოვებინა სოფელი რეხა, რომელმაც შვიდი თვე შეგვინახა. დედას ღაპა-ღუპით ნამოუვიდა ცრემლები, გვაცმევდა, გვკოჭავდა, ფუთავდა ლოგინებს, საოჯახო ნივთებს, ქალამნის ბაწრები ყველას სათითაოდ თავისი ხელით განმეორებით მოგვიკოჭა, მოგვცა ღამით მოხარშული ორ-ორი კარტოფილი, დაგვაიმედა, რომ ტაბაწყურის სოფელ წითელ საყდრამდე მალე მივალთ და მამაჩემის მეგობარი ალექსი სანდოძე პურს გვაჭმევდა. ჩვენ მოხარშული კარტოფილები უმალვე გადავსანსლეთ. ფიზიკურად ყველანი ჯანმრთელად ვიყავით, მაგრამ სისუსტე მაინც გვემჩნეოდა.

გაწამებული ლტოლვილთა ქარავნები მიემართებოდნენ ჯავახეთის მთიანეთის გადასასვლელზე, ბავშვებით, მოხუცებით, ფეხებზე ჭინჭებით, ბევრს ტყავის ქალამანიც არ ეცვა, დეკემბრის ჭირვეულ სტიქიას ერკინებოდნენ. ამინდი არ ცხრებოდა, თვალებში თოვლს აყრიდა, ადამიანები ერთმანეთს ეხეთქებოდნენ, თოვლში ვარდებოდნენ, ზოგი იქვე რჩებოდა, რადგან წამოდგომის თავიც არ ჰქონდა, და თოვლი წამიერად ფარავდა მათ სხეულს.

მივემართებოდით ჩვენც, ხუთი ცხენით დაბარგული ფუთა საოჯახო ნივთებით. ცხენებს მართავდნენ მამაჩემი არჩილი, ჩემი უფროსი ძმა ვანო და რეხელი სიმონ ხუციშვილი, რომელიც ბოლომდე ჩვენს გვერდით იდგა და დიდი დახმარება გაგვიწია.

მივადექით თავკეთილა და შავნაბადა მთების სამხრეთით მდებარე კამეჩის ვაკის მინდორს. ჩვენდა საბედნიეროდ, თოვაც შეწყდა, მზემ მიდამოს თვალი გადაავლო. წინამძღოლები გაჩერდნენ. დედამ ხუთივეს გვითხრა, წრე შეგვეკრა, მხოლოდ ერთიმეორისთვის გვემზირა და ისე დაგვესვენა. მაგრამ ცნობისმოყვარე ბავშვებმა დედას არ დავუჯერეთ და მივიხედ-მოვიხედეთ. გზის მარჯვენა მხარე ურემზე, რომელშიც უკვე ხარები აღარ ება, იჯდა გაყინული ახალგაზრდა ქალი ბავშვით ხელში, რომელიც ალბათ წლინახევრის იქნებოდა, და ისიც მიყინვოდა დედას მკერდზე. იქვე ურემთან ხუთი ადამიანის გვამი თოვლის ნამქერს სანახევროდ დაეფარა. ზოგს მოკრუნჩხული ხელი ამოეშვირა, ზოგს მხოლოდ იდაყვი უჩანდა, ერთს ახალგაზრდა ყმაწვილს, დამჯდარს, ულვაშები შეყინვოდა ზედ.

გზა გავაგრძელეთ, სანამ ტაბაწყურამდე მივიდოდით არა ერთი ტრაგიკული სურათის მნახველები გავხდით, გზის ორივე მხარე გაყინული გვამებით იყო მოფენილი. ტაბაწყურის წითელ საყდართან მზის ჩასვლისას შევედით. დედაჩემმა სოფლის განაპირას მდგომ ქალს ხელით ანიშნა, ამდენი ხალხი გზაზე რომ დამხვრჩალა და გაყინულა, რატომ სოფელი არ დაეხმარაო? ქალმა უპასუხა: სოფელმა ბევრი გადაარჩინა, მაგ დროს ჩვენი სოფლიდან ორი კაცი დაიხრჩო და სოფელი აღარ მიდის საშველადო„(ვ. კ.).

სოფელ **მოლითთან ქართული ჯარის ხერგილი იყო მოწყობილი,** სადაც სათითაოდ ჩხრეკდენენ ლტოლვილებს და მხოლოდ ამის შემდეგ აძლევდნენ სახლებში დაბრუნების უფლებას. **სოფელ ჭიხარულის შესასვლელში უკვე ოსმალოთა ასკერების ხერგილი იყო.** ისინიც ჩხრეკდნენ სათითაოდ და ართმევდნენ ყველას ყველაფერს, რაც კი მოეწონებოდათ.

„მამას ჩოხა ეცვა, პაპისეული ვერცხლის მესერებით და ქამრით, დედას არ დაუჯერა და ასე შეიმოსა, ყველაფერი წაართვეს, წინააღმდეგობის გაწევის გამო შორს გაიყვანეს, სცემეს და მოგვიანებით გამოუშვეს. ჩვენ კი იმ მთვარიან, სუსხიან ღამეში, ბეჟანოს ჭალაში ველოდით მამას და ფეხები რომ არ გაგვყინოდა, აქეთ-იქით დავრბოდით.

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)

მაკითხველი ეკვლევლეთაჭკვეი ჯესეთის საეკლესიო ჯკვის

გვანცა ბურდული

1906 წლის 2 ივნისს მუშაობა დაიწყო რუსეთის საეკლესიო კრების წინარე თათბირის მეორე განყოფილებამ (სექციამ), რომელსაც კავკასიაში უნდა გადაეწყვიტა საეკლესიო საკითხები. კრება გაიხსნა ალექსანდრე ნეველის ლავრაში, დილის 10 საათზე ყოვლადუსამღვდელოესი ნიკანდრის თავმჯდომარეობით. კრებას ესწრებოდნენ: ყოვლადსამღვდელო **სტეფანე** – მოგილევის ეპისკოპოსი; **კირიონი** – სოხუმის ეპისკოპოსი; **ექვთიმე** (ელიაშვილი) – გორის ეპისკოპოსი; დეკანოზები: ტ. ი. ბუტკევიჩი, თ. ი. ტიტოვი; პროფესორები: **ი. ს. ბერდნიკოვი, მ. ა. ოსტროუმოვი, ა. ი. ალმაზოვი, ვ. ზ. ზავიტნევიჩი, ნ. ნ. გლუბოკოვსკი, ი. ი. სოკოლოვი, ა. ი. ბრილიანტოვი და პ. ბ. მანსურო**ვი. თავმჯდომარემ განაცხადა, რომ მეორე განყოფილებაში განსახილველად შემოსული იყო საკითხი კავკასიაში საეკლესიო საქმეების მოწყობის თაობაზე. ამ საკითხის განხილვისათვის მოწვეულნი იყვნენ: ყოვლადსამღვდელო სტეფანე – მოგილევის ეპისკოპოსი; კირიონი – სოხუმის ეპისკოპოსი; ექვთიმე – გორის ეპისკოპოსი და დეკანოზი **იოანე ვოსტორგოვი.** ყოვლადსამღვდელო კირიონმა განყოფილების სხდომას წარუდგინა ორი მოხსენება:

1) „საქართველოს ეკლესიის საკითხისათვის„;

2)„რა აიძულებს ქართველებს, მიაღწიონ საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენას?“

აღნიშნული მოხსენებების წაკითხვის შემდეგ ეპისკოპოსმა სტეფანე მოგილეველმა სურვილი გამოთქვა, რომ საქმის სრულად შესწავლისათვის მოსმენილი ყოფილიყო ყოვლადსამღვდელო ლეონიდის მოხსენება. ეპისკოპოს ლეონიდის მოხსენებამ დამსწრეთა შორის დიდი აზრთა სხვადასხვაობა გამოიწვია. ალბათ, გასაკვირიც არ იყო, რომ იმერეთის ეპისკოპოსის მოხსენებას უარყოფითი გამოხმაურება მოჰყვებოდა რუს მღვდელმთავართა და მეცნიერთა მხრიდან.

ყოვლადსამღვდელო ლეონიდის მოხსენებაში რუსეთის ეკლესიის მიმართ წარმოდგენილი იყო შემდეგი ბრალდებები:

1. საქართველოს ეკლესიას რუსი ეგზარქოსები მართავდნენ თავიანთი უღირსი ფავორიტების მეშვეობით;

2. თრგუნავდნენ ყოველივე ქართულს, ეროვნულს, დევნიდნენ ყველაფერს: საქართველოს ეკლესიის წმიდა ტრადიციებს, რიტუალებს, რომლებსაც ეკლესია ინახავდა ქრისტიანობის გავრცელების პირველი საუკუნეებიდანვე;

3. სპობდნენ წმიდა ეკლესიის სიძველეებს;

4. მათი ქმედებების გამო ეგზარქოსები ვერ სარგებლობდნენ ქართველი საზოგადოების ნდობით;

5. ყოველივე ზემოთქმულის გამო ქართველმა სამღვდელოებამაც დაკარგა მრევლის ნდობა;

6. სასულიერო განათლების სფეროში ძირითადად რუსები მოღვაწეობდნენ;

7. სასულიერო სემინარიებსა და სასწავლებლებში დაეცა განათლების დონე;

8. 1883 წლამდე საქართველოს სასულიერო სემინარიასა და სასწავლებლებში ქართული ენა არ ისწავლებოდა, რის გამოც მომავალი ქართველი სამღვდელოება ვერ ფლობდა მრევლისათვის გასაგებ მშობლიურ ენას;

9. მოძღვრები ღებულობდნენ არასაეკლესიო განათლებას, ხოლო სასულიერო სემინარიის კურსდამთავრებულთაგან იშვიათად თუ ხდებოდა ვინმეს მღვდლად კურთხევა;

10. სამღვდელო ხარისხის მატარებელნი უღირსი საქციელით არა მარტო მრევლის, არამედ საზოგადოების არაეკლესიური ნაწილის აღშფოთებასაც კი იწვევდნენ. ეპისკოპოს ლეონიდის მოხსენებამ უკმაყოფილება გამოიწვია დამსწრეთა შორის.

ეპისკოპოსი სტეფანე შეეცადა მთლიანად გაექარწყლებინა მოხსენებაში ჩამოყალიბებული ბრალდებები. მან ასეთი მოსაზრება გამოთქვა: „მოხსენებაში ნაჩვენებია საქართველოს ეკლესიის თხუთმეტსაუკუნოვანი აყვავება და მისი დაცემა რუსული მმართველობის დროს, მაგრამ ეს ასე არ არის. თავის მხრივ ისტორია მოწმეა, რომ თვით დამოუკიდებლობის პერიოდშიც კი საქართველოს ეკლესია არ იყო ძლიერი. ამასვე ადასტურებენ უცხოელი მოგზაურები (შარდენი, XVI საუკუნე; დიაკონი პავლე ალეპოელი ანტიოქიის პატრიარქის მოგზაურობის აღწერისას). ცხადია, რომ საქართველოს სინოდალურ კანტორაში და წმიდა სინოდის არქივში, ასევე კავკასიის მთავარი სამოქალაქო მმართველობის არქივში, მოიძებნება უამრავი მიუკერძოებელი მოწმობა იმისა, თუ რა მდგომარეობაში იყო საქართვლოს ეკლესია რუსეთთან შეერთებამდე და რა მდგომარეობაში ჩაიბარა ის რუსეთმა. ვფიქრობთ, ამას ვერ ვუწოდებთ აყვავებას და ძნელად თუ ვინმეს, თავდადებულ ქართველს, მოუნდება აღადგინოს „უწინდელი საეკლესიო წესრიგი“, რომელიც სურს იდეალურად წარმოადგინოს მაღალსამღვდელო ლეონიდმა. ძალზე საკვირველია, მოელოდე ეკლესიის აყვავებას ქვეყანაში, რომელიც მთლიანად გაანადგურეს მეზობელმა დამპყრობლებმა – სპარსელებმა და თურქებმა. ასი წლის განმავლობაში მინასთან ასწორებდნენ არა მარტო ქართულ ქალაქებს, არამედ ქართულ ტაძრებსა და მონასტრებს, რომელთა ნანგრევები დღესაც გვხვდება ყოველ ნაბიჯზე, რაც საქართველოს ეკლესიის მცირე ხნის წინანდელი გამოუვალი მდგომარეობის ერთგვარი დასტურია. უამრავი გამაჰმადიანებული ქართველი ჰყავს საქართველოს, თვით ზოგიერთი ქართველი მეფენიც კი. საქართველოს მეფეები XVI საუკუნიდან, თუკი ადრეც არა, მუდმივად მიმართავდნენ რუს თვითმპყრობელებს დახმარებისათვის. ისინი ხშირად ითხოვდნენ რუსეთის მფარველობაში ყოფნას, რაც, მათი თქმით, განპირობებული იყო საქართველოში ეკლესიისა და თვით ქრისტიანობის დაცემით. საკმარისია ითქვას, რომ საქართველო რუსეთთან შეერთებამდე შეადგენდა: 30 000 კვადრატულ ვერსტს, მხოლოდ 459 დასახლებული პუნქტითა და 160 000 მცხოვრებლით, რომელთა რიცხვში შედიოდნენ – ოსები, სომხები და თათრები. ეს არის არა უმეტესი დღევანდელი მაზრის ტერიტორიისა. აქ საუბარი ეკლესიის კეთილდღეობაზე ისტორიის საწინააღმდეგოდ, გასაკვირია, მით უმეტეს, სურვილი ეკლესიის იმგვარ წესრიგზე დაბრუნებისა, როგორიც მაშინ იყო... საქართველოს ეკლესიის მართვის თაობაზე რუსეთთან შეერთებისას საჭიროა აღვნიშნოთ, რომ 1817 წლამდე ეგზარქოსები იყვნენ ქართველები და, მაშასადამე, ყველაფერი, რაც უწმიდესი სინოდის მიერ გაკეთებულა საქართველოს მართვის საქმეში ადრინდელი სისტემის შეცვლისათვის, კეთდებოდა თვით ქართველი მღვდელმთავრების თანხმობით. 1817 წლიდან დაიწყეს რუსი ეგზარქოსების დანიშვნა. ყოვლადსამღვდელო კირიონი შეეცადა პოლემიკაში ჩართულიყო და ეპისკოპოს სტეფანეს მიერ მოყვანილი ფაქტები გაექარწყლებინა. ქართველმა მღვდელმთავარმა სხდომის მონაწილეებს განუმარტა, რომ უსამღვდელოესი სტეფანე არამართებულად იყენებდა არქიდიაკონ პავლე ალეპოელის ცნობებს ანტიოქიის პატრიარქ მაკარის საქართველოში მოგზაურობის თაობაზე. პატრიარქ მაკარის არაფერი უთქვამს საქართველოს ეკლესიის დაკნინების თაობაზე. პირიქით, საგრძნობი იყო პატრიარქის პატივისცემა საქართველოს ეკლესიისა და ქართველი ერისადმი. ეს კიდევ ერთხელ დადასტურდა იმით, რომ მოსკოვში ყოფნის დროს ლიტურგიაზე, პატრიარქებისა და მეფის თანდასწრებით, მას სახარება წაუკითხავს ქართულად. ქართულადვე წარმოუთქვამს კვერექსი: „კათაკმეველნო, განვედით!“ ეპისკოპოს კირიონის განმარტებით, ყოვლადსამღვდელო სტეფანე ცდებოდა, როდესაც აცხადებდა, რომ თვით ქართველები ზრუნავდნენ რუსი ეროვნების ეგზარქოსების დანიშვნაზე. უსამღვდელოესი სტეფანე პოლემიკაში ჩაერთო და ამ საკითხის გადასაჭრელად მან საბუთებისა და დოკუმენტების შეგროვება მოითხოვა, რათა მათზე დაყრდნობით გამოერკვიათ, თუ ვინ ზრუნავდა ქართველი ეგზარქოსების რუსებით ჩანაცვლებაზე და რა მოტივით იყო გამოწვეული ასეთი ცვლილებები. თუმცა მას თათბირზე მოუწია განემარტა საქართველოს ეგზარქოსების საკითხი: „როცა ვსაუბრობდი, რომ 1817 წლამდე ეგზარქოსები იყვნენ ქართველები, მე ვიგულისხმე დროის ხანგრძლივობა და არა პირთა რაოდენობა“. ეპისკოპოსმა სტეფანემ კვლავ განაგრძო ყოვლადსამღვდელო ლეონიდის მოხსენების კრიტიკა. მასში მოყვანილი ფაქტები მან ცილისწამებად შერაცხა. რუსი მღვდელმთავრის აზრით, ცილისწამება იყო ისიც, რომ თითქოს რუსი ეგზარქოსები საეგზარქოსოს მართავდნენ მათთვის მისაღები პირების დახმარებით. ეპისკოპოსი სტეფანე ამტკიცებდა, რომ იგი თავად იყო თვითმხილველი იმისა, თუ როგორ იმართებოდა საეგზარქოსო და ადასტურებდა იმას, რომ არანაირი დამხმარე პირები ეგზარქოსებს არ ჰყავდათ. მაგალითად მოჰყავდა საქართველოს ეგზარქოსები: *ისიდორე, იოანიკე და პალადი.* ეს ეგზარქოსები, რუსი მღვდელმთავრის აზრით, პატივისცემითა და სიყვარულით სარგებლობდნენ საქართველოში. ეპისკოპოსი სტეფანე მიიჩნევდა, რომ ქართველებმა ვერ შეიყვარეს ეგზარქოსი *პავლე* (ლებედევი - გ. ბ.) მისი სიმკაცრის გამო. რუსი მღვდელმთავრი მიიჩნევდა, რომ ეგზარქოსი პავლე თავისი მოღვაწეობით ყველაზე გამორჩეული იყო და შეუძლებელი იყო, მასზე რაიმე სახის ზეგავლენა მოეხდინა მასთან დაახლოებულ პირთაც კი. ეპისკოპოსმა სტეფანემ მოსთხოვა გორის ეპისკოპოს ექვთიმეს, გაეხსენებინა საქართველოში ეგზარქოსების მმართველობის პერიოდი (1811-1917 წწ.- გ. ბ.) და ნათელი მოეფინა სიმართლისათვის. ეპისკოპოსმა ექვთიმემ აღნიშნა, რომ ეგზარქოსი *თეოფილაქტე* (რუსანოვი - გ. ბ.) და მომდევნო ეგზარქოსები დამოუკიდებლად მართავდნენ თავიანთ სამწყსოს. ქართველი მღვდელმთავარი სიყვარულით იხსენებდა ეგზარქოს *ისიდორეს* (ნიკოლსკის - გ. ბ.) და ახასიათებდა მას, როგორც ქველმოქმედს, მრავალი ეკლესიისა და მონასტრის დამფუძნებელს და განმაახლებელს. ეპისკოპოსი ექვთიმე დადებითად ახასიათებდა საქართველოს ეგზარქოსებს: *ევსევის* (ილინსკის - გ. ბ.), *იოანიკეს* (რუდნევს - გ. ბ.), პავლესა (ლებედევსა - გ. ბ.) და *პალადის* (რაევს - გ. ბ.), თუმცა, მისივე თქმით, გამონაკლისი იყო ეგზარქოსი ევსევი, რომელმაც საქართველოში მოღვაწეობის პერიოდში დაიახლოვა დეკანოზი ბასხაროვი. საზოგადოება უკმაყოფილებას გამოთქვამდა როგორც ბასხაროვის, ისე ევსევის მიმართ, რის გამოც რუსეთის ეკლესიის უწმიდეს სინოდს საჩივრითაც მიმართეს. ამ საჩივრებისა და სხვა უცნობი მიზეზების გამო სინოდმა მალევე გასცა განკარგულება საქართველოდან ევსევის გადაყვანის თაობაზე.

ყოვლადსამღვდელო კირიონმა აღნიშნა, რომ საქართველოს ეგზარქოსმა *თეოფილაქტემ* (რუსანოვმა - გ. ბ.) ჯერ კიდევ რუსეთში ყოფნის დროს ფიცხი და ამავე დროს სუსტი ხასიათი გამოავლინა. მას ჰქონდა არასასიამოვნო ურთიერთობა რუსეთის ეკლესიის ბევრ მღვდელმთავართან. მაგალითად, მოგილევის მთავარეპისკოპოს ვარლამს მისი წარდგინებით ჩამოართვეს სამღვდელმთავრო ხარისხი; სმოლენსკის ეპისკოპოს ირინეოს ფალკოვსკისთან მტრული ურთიერთობის გამო თეოფილაქტე იძულებული გახდა, უარი ეთქვა თავის კათედრაზე და გადასულიყო კიევში. რუსეთში თეოფილაქტე რუსანოვი ვერ შეეგუა მიტროპოლიტ ფილარეტს, რის გამოც იგი გადაიყვანეს კავკასიაში, სადაც კავკასიის მთავარმართებლის კანცელარიის მმართველი იყო მექრთამეობით ცნობილი მისი ღვიძლი ძმა. ეპისკოპოსი კირიონი შეეხო თბილისის რუსულ სასულიერო სემინარიას. მისი თქმით, საქართველოში რუსეთთან შეერთებამდე იყო ორი სემინარია, რუსეთთან შეერთების შემდეგ ისინი დახურეს. მართალია, 17 წლის შემდეგ გახსნეს, მაგრამ მხოლოდ ერთი და ისიც რუსული. სემინარიების საკითხმა პოლემიკა გამოიწვია. სხდომის მონაწილენი არ დაეთანხმნენ ეპისკოპოს კირიონის მოსაზრებას. ეპისკოპოსი სტეფანე თვლიდა, რომ საქართველოში სემინარიები დაიხურა ჯერ კიდევ კათოლიკოს-პატრიარქ ანტონ II-ის დროს და არ გახსნილა პირველი ქართველი ეგზარქოსის ვარლამის (ერისთავის) დროსაც. მხოლოდ რუსი ეგზარქოსების მოღვაწეობის პერიოდში მოხდა სასულიერო სემინარიისა და სასწავლებლის დაარსება. დეკანოზი თ. ი. ტიტოვი დიდი სიყვარულით იხსენებდა საქართველოს ეგზარქოს იოანიკეს (რუდნევს - ავტ.), რომელმაც საქართველოში დააარსა პირველი ქალთა სასულიერო სასწავლებელი. მისი აზრით, ეგზარქოსი იოანიკე მთელ შემოსავალს ქართველებს გადასცემდა სხვადასხვა დანიშნულებისათვის. იგი დიდად უკმაყოფილი იყო ეპისკოპოს ლეონიდის მოხსენებით, რომელიც ცუდად ახასიათებდა რუს ეგზარქოსებს. დეკანოზი ტ. ი. ბუტკევიჩი და პროფესორი ნ. ნ. გლუბოკოვსკიც მთლიანად დაეთანხმნენ დეკანოზ თ. ი. ტიტოვის განცხადებას და დაჟინებით მოითხოვეს ეპისკოპოს ლეონიდის მიერ საქართველოს ეგზარქოსებისათვის წაყენებული ბრალდებების მთელი სიმკაცრითა და სიზუსტით შემოწმება.

ყოვლადსამღვდელო კირიონი შეეცადა გამოხმაურებოდა ეპისკოპოს ლეონიდის მოხსენებაში აღნიშნულ ფაქტებს, რომლებიც საქართველოს ეკლესიის დაცემას ეხებოდა. მისი აზრით, ეკლესიის დაკნინებაზე არა მხოლოდ ეპისკოპოსი ლეონიდი ჩიოდა, ეკლესიის სავალალო მდგომარეობაზე საუბარი იყო უწმიდესი სინოდის ობერ- პროკურორის ანგარიშებშიც. ქართველი მღვდელმთავრის განცხადებას ყველა არ დაე- თანხმა. დეკანოზი *ტ. ი. ბუტკევიჩი* მიიჩნევდა, რომ ეკლესიის დაკნინება მოხდა ყველგან – ევროპაშიც და რუსეთშიც. საქართველოში კი რწმენის შესუსტებას იგი ქართველი სამღვდელოების უსაქმურობით ხსნიდა, რომლებმაც ვერ გამოიჩინეს სიმტკიცე. ამის დასტურად მან ქართველი სასულიერო პირებისა და საზოგადოების თაობაზე თედო ჟორდანიას აღწერილობები დაასახელა. ტ. ი. ბუტკევიჩი საბოლოოდ იმ დასკვნამდე მივიდა, რომ საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის საკითხი მთლიანად პოლიტიკურ ნიადაგზე იყო აღმოცენებული. ტ. ი. ბუტკევიჩიც და ნ. ნ. გლუბოკოვსკიც მოითხოვდნენ, შეკრებილიყო ცნობები საქართველოში რუსი ეგზარქოსების მოღვაწეობის თაობაზე. მათი აზრით, ეს იმისთვის იყო საჭირო, რომ გარკვეულიყო, თუ როგორი დამოკიდებულება ჰქონდათ ქართველებს რუს ეგზარქოსებთან. საუკეთესო წყაროდ ნ. ნ. გლუბოკოვსკი მიიჩნევდა საქართველოდან რუსი ეგზაქოსების გაცილებისას წარმოთქმულ სიტყვებს. მისი აზრით, ამ სიტყვებში რუსი ეგზარქოსებისადმი ქართველების არანაირი უარყოფითი დამოკიდებულება არ იგრძნობოდა. ნ. ნ. გლუბოკოვსკის მოსაზრებას არ დაეთანხმა ეპისკოპოსი კირიონი. ქართველი მღვდელმთავრის აზრით, ეგზარქოსების გაცილების დროს წარმოთქმული სიტყვები ვერ იქნებოდა ავტორიტეტული წყარო მათი მოღვაწეობის შესაფასებლად: *„როცა აცილებენ, ან ხვდებიან, ყოველთვის აუცილებელია, ითქვას რაიმე კარგი“* . ეპისკოპოს ლეონიდის მოხსენებამ იმდენად დიდი უკმაყოფილება გამოიწვია, რომ საბოლოოდ სხდომის მონაწილეებს ყოვლადსამღვდელო კირიონმა შესთავაზა, მიემართათ ყოვლადსამღვდელო ლეონიდისთვის, რათა მას მოხსენებაში აღნიშნული მოვლენების დამამტკიცებელი ფაქტები წარმოედგინა. სხდომის მონაწილეები მოითხოვდნენ საკითხის ბოლომდე განხილვას, რადგან ეპისკოპოს ლეონიდის მიერ წარმოდგენილი ბრალდებები საქართველოში კეთილმოწესეობის დარღვევას უკავშირდებოდა. პროფესორმა *მ. ა. ოსტროუმოვმა* აღიარა საქართველოს ეკლესიის სავალალო მდგომარეობა, თუმცა მანაც მოითხოვა, რომ გარკვეულიყო, სად ეძებნათ ეკლესიის დაცემის მიზეზები: ეგზარქოსების მმართველობაში, თუ საქართველოში ქართველების ძველი დროისადმი ტრფიალში. პროფესორ ვ. ზ. ზავიტნევიჩის აზრით, თვითონ საქართველოს შეერთება რუსეთთან ადასტურებდა იმას, რომ საქართველოს ეკლესია შორს იყო აღმავლობისაგან. მისი განცხადებით, უკიდურესად მძიმე ვითარებაში მოხდა საქართველოს შეერთება რუსეთთან, რაც იმას მოწმობდა, რომ რუსეთის საეკლესიო ხელისუფლებამ საქართველოში საეკლესიო ცხოვრების ამაღლებისათვის განახორციელა განსაკუთრებული ღონისძიებები. პროფესორმა *ა. ი. ალმაზოვმა* მოითხოვა, გაშუქებულიყო არა მარტო ეგზარქოსების ურთიერთობა საქართველოს მოსახლეობასთან, არამედ თავად ქართველების ურთიერთობა ეგზარქოსებთან. მას საეჭვოდ მიაჩნდა ის ფაქტი, რომ ყველა ეგზარქოსი საქართველოდან წასვლას ეშურებოდა. პროფესორი სვამდა კითხვას:

„რა არის ამის მიზეზი? ამ კითხვაზე პასუხი ყოვლადსამღვდელო კირიონს ჰქონდა და ეს პასუხიც ძალიან მართივი იყო: „იმიტომ, რომ მათ არ ჰქონდათ კავშირი მრევლთან, ამიტომაც ვერ ძლებდნენ ისინი“. პროფესორმა ნ. ნ. გლუბოკოვსკიმ კითხვით მიმართა უსამღვდელოეს კირიონს: *„აი, თქვენ, ყოვლადსამღვდელოებავ, გადახვედით ორიოლიდან სოხუმში, – შეიძლება ითქვას, ჩამოქვეითდით. ნუთუ ეს იმას ნიშნავს, რომ თქვენ „ვერ შეძელით გაძლება“ ორიოლში და „არ გქონდათ კავშირი საზოგადოებასთან?..“ და საქართველოდან ხომ არა მარტო რუსი იერარქები გარბოდნენ. გაიხსენეთ ცოტა ხნის წინანდელი ყოვლადსამღვდელო დიმიტრის სამწუხარო მაგალითი, რომელიც წარმოშობით ქართველი თავადის აბაშიძეთა გვარიდან იყო და მოისმინეთ მიუკერძოებლად, თუ რას ლაპარაკობს იგი ამ საკითხზე!“* ყოვლადსამღვდელო კირიონი მხოლოდ მცირე განმარტებებს აძლევდა გამომსვლელთა თითოეულ შენიშვნას, თუმცა მისი მცირე პასუხები ამომწურავი იყო. ქართველმა მღვდელმთავარმა მისი დამოკიდებულება მრევლთან იმით ახსნა, რომ მას კარგად ესმოდა მრევლის ენა და კმაყოფილი იყო ორიოლში ყოფნით, ისევე, როგორც მრევლი იყო კმაყოფილი მისით. ეპისკოპოს კირიონის აზრით, მრევლის ენის ცოდნა არც თუ ისე მცირე ფაქტორი იყო მასთან დაახლოებისათვის. პროფესორი ნ. ნ. გლუბოკოვსკი კვლავ ჩაება კამათში ყოვლადსამღვდელო კირიონთან. მისი აზრით, დიმიტრი აბაშიძეც ქართულად საუბრობდა, მაგრამ ის აიძულეს გაქცეულიყო საქართველოდან, მხოლოდ რუსეთში არ განიცდიდა ის დევნას.

რუსი პროფესორების აზრით, საქართველოში ქრისტიანობის დაცემის თაობაზე ცნობები დაცული იქნებოდა „კავკასიაში მართლმადიდებელი ქრისტიანობის აღმდგენი საზოგადოების“ ანგარიშებში. ამ მოსაზრებას კვლავ გამოეხმაურა ყოვლადსამღვდელო კირიონი. ქართველი მღვდელმთავარი თვლიდა, რომ უნდა გათვალისწინებულიყო ის არეალი, სადაც კავკასიაში ქრისტიანობის აღმდგენი საზოგადოება საქმიანობდა. ქრისტიანობის აღმდგენი კომისია მუშაობდა ჩრდილოეთ კავკასიაში და არა საქართველოში. მის ანგარიშებში კი ცნობები დაცულია მხოლოდ მთიელი ქართველებისა და სამურზაყანოს მოსახლეობის თაობაზე, სადაც ცხოვრობდა დაახლოებით 100 ათასი კაცი. ეპისკოპოს კირიონის აზრით, 100 ათასი ქართველის მიხედვით არ შეიძლებო-

წინაჯვრ ისტორიკოს ეკლესიანის ცხოვრებაზე



და მსჯელობა საქართველოს მთელ მოსახლეობაზე, ხოლო თუ მაინც-დამაინც აუცილებელი იყო მასალების მოგროვება, მაშინ იგი უწმიდესი სინოდისა და ობერ-პროკურორის ანგარიშებში უნდა მოეძიათ. პროფესორი *ა. ი. ალმაზოვი* შეეცადა, საქართველოს ისტორიის ცოდნა გამოემჟღავნებინა. მან აღნიშნა, რომ გაეცნო ქართული ხელნაწერების თედო ჟორდანიასეულ აღწერილობას და ასეთ დასკვნამდე მივიდა: საქართველოში სასულიერო განათლების აღმავლობა შეინიშნებოდა მხოლოდ X-XII საუკუნეებში, შემდეგ კი, რუსეთთან შეერთებამდე, ერთიანი დაცემის პერიოდში წარიმართა, რამაც მძიმე მდგომარეობაში ჩააგდო საქართველო. პროფესორ ა. ი. ალმაზოვის აზრით, მხოლოდ XVIII საუკუნის ბოლოს იწყებოდა ზრუნვა საქართველოში სასულიერო განათლების აღმავლობისათვის. ეს, რუსი პროფესორის აზრით, იმის დამადასტურებელი იყო, რომ ჯერ კიდევ რუსეთთან შეერთებამდე დიდი ხნით ადრე ფეხს იკიდებდა რუსეთის გავლენა საქართველოს საგანმანათლებლო სისტემაში. რუსი პროფესორებისა თუ სამღვდელოების მიერ გამოთქმულ ყოველ ასეთ მოსაზრებაზე პასუხის გაცემა უხდებოდა ყოვლადსამღვდელო კირიონს, რომელსაც არ შეეძლო მდუმარედ მოესმინა ყოველივე ზემოთქმული. პროფესორ ა. ი. ალმაზოვის სიტყვებს ქართველი მღვდელმთავარი შემდეგნაირად გამოეხმაურა: *„რა გამოდის? ეს იმას ნიშნავს, რომ მუზეუმში XII საუკუნიდან მოყოლებული არ ყოფილა ხელნაწერები? სინამდვილეში კი ისინი შემონახულია და არცთუ ისე მცირე რაოდენობა. იმ ფაქტს, რომ საქართველოს მუზეუმებში XII საუკუნის შემდგომ პერიოდში შექმნილი საკმაოდ დიდი რაოდენობის ხელნაწერი იყო დაცული, იქ მყოფნი ვერ უარყოფდნენ. ამასთან ერთად, რუსები მიიჩნევდნენ, რომ მუზეუმებში საერთოდ ძალზე მცირე რაოდენობით იყო დაცული ქართული ხელნაწერები. რუსი მეცნიერებისა და სამღვდელოების აზრით, ის, რასაც ქართველები ქართულ ხელნაწერებად მიიჩნევდნენ, უმეტეს შემთხვევაში კომპილაცია იყო და სხვა არაფერი. მათი აზრით, დამოუკიდებელი სასულიერო-სალიტერატურო მოღვაწეობა საქართველოში დიდი ხნის წინ შეწყდა და ახალი თარგმანებიც ძალზე იშვიათად სრულდებოდა. რუსი პროფესორებისა და სამღვდელოების აზრით, ქართული ლიტერატურა ძირითადად მთარგმნელობითი ან მიბაძვითი ხასიათისა იყო. შოთა რუსთაველიც კი მათთვის სპარსული პოეზიის გავლენას განიცდიდა“...*

პროფესორი ნ. ნ. გლუბოკოვსკი შეეცადა თავის სასარგებლოდ გამოეყენებინა **ნიკო მარის** ერთი ნაშრომი, რომელშიც აღნიშნული იყო, რომ რუსეთთან შეერთების დროს საქართველოში სკოლები მცირე რაოდენობით იყო. ნ. ნ. გლუბოკოვსკის აზრით, რუსეთის მთავრობამ ბევრი გააკეთა საქართველოში სასკოლო საქმის ორგანიზებისა და სწავლების დონის ამაღლებისათვის. პროფესორმა *ი. ი. სოკოლოვმა* სხვადასხვა ფაქტი გაიხსენა საქართველოს ისტორიიდან. მისი თქმით, საქართველოს პოლიტიკურ და კულტურულ ცხოვრებაში იყო აღმავლობისა და დაცემის პერიოდები. საქართველოს ისტორიაში ბრწყინვალე ეპოქად რუს პროფესორს XI-XIII საუკუნეები მიაჩნდა, თუმცა XIII საუკუნის პირველ მეოთხედში საქართველოში მონღოლები გამოჩნდნენ, რომლებიც ათეული წლების მანძილზე ანგრევდნენ და ანადგურებდნენ ქვეყანას. მონღოლებს მოჰყვნენ სპარსელები და თურქები. დიდხანს გრძელდებოდა ქართველ მეფეთა ბრძოლა ეკლესიისა და სამშობლოს დასაცავად. რასაკვირველია, ამ ვითარებამ, პროფესორ ი. ი. სოკოლოვის აზრით, თავისი გავლენა მოახდინა ეკლესიაზეც და განათლებაზეც. მხოლოდ XVII-XVIII საუკუნეებში შეიმჩნეოდა განათლების აღმავლობა. ეპისკოპოსი სტეფანეკ საქართველოში საეკლესიო ცხოვრების დაცემას მუსლიმებთან მრავალსაუკუნოვან ბრძოლას უკავშირებდა. ეპისკოპოს კირიონის აზრით კი, საქართველოში ეკლესიის დაცემა არ მომხდარა. ამაზე მეტყველებდა თვით მუსლიმებთან ბრძოლაც. ამ დაპირისპირების პროცესში ქრისტიანობა მუდამ რჩებოდა წმიდა და ყოველივეზე ამაღლებული. ყოვლადსამღვდელო კირიონი თვლიდა, რომ ეკლესიის დაცემა ხდებოდა მშვიდი და წყნარი ცხოვრების დროს.

რუსეთის საეკლესიო კრების წინარე თათბირის მეორე განყოფილების (სექციის) მუშაობის პროცესში რუსი პროფესორები ყოველგვარ ხერხს მიმართავდნენ, რათა დაემტკიცებინათ საქართველოში სასულიერო განათლების არარსებობა. რუს სამღვდელოთა და პროფესორთა ბრალდებას იმის თაობაზე, რომ ქართველები იყვნენ დამნაშავენი ეკლესიის დაცემაში, გორის ეპისკოპოსი ექვთიმე გამოეხმაურა. მან აღნიშნა, რომ ქართველები თავდადებით იბრძოდნენ და თავს სწირავდნენ ეკლესიისათვის. ქართველი ეპისკოპოსი არ გამორიცხავდა ეკლესიის დაცემას საქართველოში, მაგრამ ამ მოვლენას გარეშე მტრების შემოსევას უკავშირებდა.

მეორე განყოფილებაში საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის საკითხის განხილვამ განკითხვის სახე მიიღო. თავად რუს პროფესორთა და სამღვდელოთა შორისაც აზრთა სხვადასხვაობამ იჩინა თავი. პროფესორ ი. ი. სოკოლოვს მიაჩნდა, რომ იმ საკითხის გადასაჭრელად, რომელიც საქართველოს ეკლესიას და ქართველ ხალხს აწუხებდა, არ იყო საჭირო საქართველოს ეკლესიის ისტორიაში ასე ჩაღრმავება. მისგან განსხვავებით პროფესორებისა და სამღვდელოების უმრავლესობა დაჟინებით მოითხოვდა საქართველოს ეკლესიის ისტორიის რუსეთის შემადგენლობაში შესვლამდელი პერიოდის განხილვას, ნაწილი პროფესორებისა ითხოვდა საქართველოში სამეფო დინასტიის არსებობისდროინდელი ვითარების შედარებას საეგზარქოსოს პერიოდში არსებულ ვითარებასთან, თუმცა რამდენად გადაწყვეტდა ეს შედარება ავტოკეფალიის საკითხს, გაურკვეველი იყო. ერთადერთი ისევ ი. ი. სოკოლოვი აღმოჩნდა, რომელიც არ დაეთანხმა კოლეგების მოთხოვნას. რუსი პროფესორის აზრით, წარმოუდგენელი იყო სამეფო დინასტიის არსებობისდროინდელი ვითარების შედარება საეგზარქოსოსდროინდელ საქართველოსთან. პირველ შემთხვევაში ეკლესია დამოუკიდებელი იყო და მაშინ ვერავინ წარმოიდგენდა ალბათ, იმას, რომ ერთ დღეს საქართველო რუსეთის შემადგენლობაში შევიდოდა. ეგზარქოსების პერიოდში საქართველოს ეკლესიას უკვე აღარ ჰყავდა კათოლიკოსი. ამიტომ ეს ორი ეპოქა (სამეფო დინასტიისა და საეგზარქოსოს არსებობის პერიოდები) თავისი არსით ერთმანეთისაგან სრულიად განსხვავდებოდა. ცხადი იყო, რომ მარტო პროფესორ ი. ი. სოკოლოვის მოსაზრება დამსწრეთ აზრს ვერ შეაცვლევინებდა. ყოვლადსამღვდელო კირიონი იძულებული გახდა, სხდომის მონაწილეთათვის შეეხსენებინა საქართველოს ეკლესიის არსებობის ხანგრძლივობა. მისი ერთი ფრაზა: **„ჩვენ რა უფლება გვაქვს, ძალა გამოვიყენოთ საქართველოს ეკლესიის მიმართ, რომელიც ექვსი საუკუნით უფროსია რუსეთის ეკლესიაზე?“** – თითქოს საკმარისი უნდა ყოფილიყო, რომ რუს მეცნიერებსა და სამღვდელოებას დაეთმოთ საკუთარი პოზიციები. მოხდა პირიქით. საბოლოოდ, ყოვლადსამღვდელო კირიონმა სხდომას შესთავაზა, რომ ემსჯელათ საქართველოს ეკლესიის მმართველობის სინოდალურ პერიოდზე (1811-1917 წწ. - გ. ბ.). პროფესორები დიდი დაჟინებით ითხოვდნენ საჭირო ცნობების შეგროვებას საქართველოს ეკლესიის თაობაზე. ისინი თითქოს ხელჩასაკიდ არგუმენტებს ეძებდნენ საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის კანონიერების უარყოფისათვის. რუსებისათვის აუცილებელი იყო, სცოდნოდათ საქართველოს ეკლესიის იურისდიქციის გავრცელების არეალი, აინტერესებდათ მართლმადიდებელი მოსახლეობის, სამღვდელოებისა და სამრევლოების რაოდენობა. მეორე განყოფილების სხდომის მსვლელობიდან გამომდინარე, თანდათან ცხადი ხდებოდა, რომ კომპრომისი საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის საკითხთან დაკავშირებით შეუძლებელი იყო. საკუთარი პოზიციების დათმობას არც სხდომის მონაწილე ქართველი მღვდელმთავრები (ყოვლადსამღვდელო კირიონი, ყოვლადსამღვდელო ლეონიდი) და ქართველი მეცნიერები (ნიკო მარი, ალექსანდრე ცაგარელი, ალექსანდრე ხახანაშვილი) აპირებდნენ. დეკანოზი თ. ი. ტიტოვი თვლიდა, რომ საქართველოს ეკლესიაში ბევრი რამ გაურკვეველი იყო, ისევე როგორც გაურკვეველი იყო საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის საკითხი. იგი მოითხოვდა, ხმის მიცემით გადაწყვეტილიყო საკითხი, ეკუთვნოდა თუ არა საქართველოს ეკლესიას ავტოკეფალია უსამღვდელოესმა კირიონმა დეკანოზ **თ. ი. ტიტოვის** შენიშვნას ასე უპასუხა: *„თუკი ვისაუბრებთ საქართველოს ეკლესიის ნაკლოვანებებზე, კარგი იქნება, ვისაუბროთ რუსეთის ეკლესიის ნაკლოვანებებზეც“.* მისმა ერთმა ფრაზამ დაფიქრა დეკანოზი *ტ. ი. ბუტკევიჩი,* რომელმაც მიზანშეწონილად მიიჩნია, გაეთვალისწინებინათ რუსეთის ეკლესიაში არსებული ნაკლოვანებებიც. რასაკვირველია, კოლეგები არ დაეთანხმნენ ამ მოსაზრებას, რადგან იხილებოდა საქართველოს ეკლესიის და არა რუსეთის ეკლესიის საკითხი. რადგან საქართველოს ეკლესია ითხოვდა ავტოკეფალიას, ამიტომ რუსი მეცნიერები და სამღვდელოება მოითხოვდნენ, დეტალურად გარკვეულიყო საქართველოს ეკლესიის მდგომარეობა რუსეთთან შეერთებამდე და შეერთების შემდგომ. სხდომის მსვლელობისას კიდევ ერთი საკითხი დააყენა განსახილველად პროფესორმა **ა. ი. ალმაზოვმა.** ის დამატებით ითხოვდა, შესწავლილიყო არა მარტო საქართველოს ეკლესიის, არამედ საქართველოს კათოლიკოსების მდგომარეობა XVI-XVIII საუკუნეებში. რუს პროფესორს აინტერესებდა, იყო თუ არა კათოლიკოსი საერო (სამეფო) ხელისუფლების გავლენის ქვეშ ფაქტობრივადაც და იურიდიულადაც. კვლავ ყოვლადსამღვდელო კირიონს მოუწია ამ საკითხზე განმარტების გაკეთება. ეპისკოპოსმა კირიონმა დამსწრეთ აუხსნა, რომ საქართველოში მოქმედებდა როგორც სახელმწიფო, ისე საეკლესიო კანონები. ამ კანონების თანახმად:

კათოლიკოსი განიხილებოდა, როგორც ეკლესიის დამოუკიდებელი მმართველი. ანალოგიურად სახელმწიფოს დამოუკიდებელი მმართველი იყო მეფე. ქართული კანონმდებლობით, კათოლიკოსი ისეთივე „სულის მეფე“ იყო („Царь души“), როგორც „სხეულისა“ („Царь плоти“). ყოვლადსამღვდელო კირიონმა განმარტა, რომ კათოლიკოსი ახორციელებდა სრულიად დამოუკიდებელ მმართველობას როგორც ეკლესიაზე, ისე ეკლესიის წევრებსა და საეკლესიო გლეხებზე. ვახტანგ VI-ის კანონები ასე განმარტავდნენ კათოლიკოსის უფლებრივ მდგომარეობას: *„მეფისა და კათალიკოზის საქმე – უკადრისი თუ რაც რამ ფერი – ორისავე სწორი არს, ამიტომ რომე ერთი ხორცის ხელმწიფე არი(ს) და მეორე – სულისა. კურთხევა და პატივიც ღვთისაგან და კაცთაგან სწორედ აქვთ. დასტურ, მეფეს უფროსს პატივს სცემენ, მაგრამ ხორციელის შიშით იქმონენ. ამიტომ მათი საქმე ჩვენ სწორად დაგვიწერია; თუ არა სჯობდეს, ვინც უკეთ იცოდეს, ჩვენ ნურას გვაბრალებს, იმან დაწეროს“.*

ეპისკოპოსმა სტეფანემ კვლავ განაგრძო ყოვლადსამღვდელო ლეონიდის მოხსენების განხილვა და მასში მოყვანილი ფაქტების სიცრუედ გამოცხადება. მისი აზრით, სიმართლეს არ შეეფერებოდა შემდეგი ფაქტები:

1. საქართველოს ტაძრებში წირვა-ლოცვის რუსულ ენაზე აღვლენა;

2. ყოველგვარი ქართულის დევნა და შევიწროება.

ეპისკოპოს სტეფანეს თქმით, საქართველოს ეპარქიებში ქართველი სასულიერო პირები ღვთისმსახურებას ყველგან ქართულ ენაზე აღასრულებდნენ. რუსი ეპისკოპოსის აზრით, არაქართულ სამრევლოებში მომსახურე ქართველი სასულიერო პირები იყვნენ, რომლებიც ნაკლებად ზრუნავდნენ არაქართველი მოსახლეობის ეროვნული ინტერესების დაცვაზე. ეპისკოპოსმა სტეფანემ დაასახელა ისეთი შემთხვევებიც, როდესაც ქართველები თვითონ ითხოვდნენ ქართველი მღვდლებისაგან საღვთო ლიტურგიის სლავურ (რუსულ) ენაზე აღვლენას. მისი გამოსვლიდან გამომდინარე, ქართული ენისა და ქართველი სამღვდელოების დევნის თაობაზე საუბარიც კი ზედმეტი იყო. ეპისკოპოს სტეფანეს კიდევ ერთი ბრალდების თანახმად, მცხეთის სვეტიცხოვლის ტაძარში ფრესკები შეთეთრებული იყო ქართველი სამღვდელოების სურვილით. სწორედ ქართველი სასულიერო პირები იყვნენ დამნაშავენი სიძველეებისადმი გულგრილი დამოკიდებულების გამოვლენაში. ერთადერთი ადამიანი, ვინც აღნიშნულ ფაქტებს დუმილით ვერ შეხვდებოდა, ისევ ყოვლადსამღვდელო კირიონი იყო. აღნიშნულ ბრალდებებს ისევ ქართველმა მღვდელმთავარმა უპასუხა. მისი აზრით, ქართული ენის დევნის პირველი დამადასტურებელი ფაქტი იყო საეკლესიო მსახურების აკრძალვა სასაფლაოს ეკლესიებში. რაც შეეხებოდა ეკლესია-მონასტრებს, აქ ეს პროცესი შედარებით ნელი ტემპით წარიმართა. მაგალითად, სიონის საკათედრო ტაძარში სამი დღე მსახურება ქართულად აღესრულებოდა, სამი დღე – სლავურად (რუსულად), საუფლო დღეებში კი წირვა-ლოცვა ყოველთვის სლავურ (რუსულ) ენაზე ტარდებოდა. ეპისკოპოსი კირიონი გულისტკივილით იხსენებდა, რომ მას შემდეგ 50 წელი იყო გასული, რაც სიონის ტაძარში ღვთისმსახურება ქართულად არ აღსრულებულა. ქართველმა მღვდელმთავარმა აღნიშნა, რომ სვეტიცხოვლის ტაძარი ეგზარქოს ისიდორეს მოღვაწეობის დროს (1844-1858 წწ. - გ. ბ.) შეთეთრდა. ეპისკოპოს კირიონის აზრით, პირველი დანაშაული ეგზარქოსებისა ის იყო, რომ მათ დახურეს საეკლესიო კათედრები და მონასტრები. თუკი ერთ მონასტერში ერთი ბერი მაინც იქნებოდა, საეკლესიო წესრიგი არ დაირღვეოდა. თუმცა ეგზარქოსები, როდესაც მონასტრებს ხურავდნენ, ამაზე ნაკლებად ფიქრობდნენ. მეორე განყოფილებაში განხილვის საგნად იქცა საქართველოში არსებული საეკლესიო ტრადიციები. საქართველოში საეკლესიო ტრადიციების დევნასა და აკრძალვას შეეხო ყოვლადსამღვდელო ლეონიდი თავის მოხსენებაში. როგორც უკვე ზემოთ აღინიშნა, ეპისკოპოს ლეონიდის მოხსენებას მწვავედ აკრიტიკებდა მოგილევის ეპისკოპოსი სტეფანე. ფაქტობრივად, ეპისკოპოს ლეონიდის მოხსენებაში არ ყოფილა ისეთი საკითხი, რომელიც რუს ეპისკოპოს მწვავედ არ გაეკრიტიკებინა. ცხადია, არც საეკლესიო ტრადიციებს დატოვებდა იგი უყურადღებოდ. ყოვლადსამღვდელო ლეონიდის მოხსენებაში აღნიშნული ფაქტები სავსებით მიუღებელი აღმოჩნდა ეპისკოპოს სტეფანესათვის. მისთვის, პირველ რიგში, მიუღებელი იყო საქართველოს რუსი ეგზარქოსების დადანაშაულება ქართული საეკლესიო ტრადიციების დევნაში, რადგან, მისი აზრით, ასეთი მოვლენები არ ყოფილა. თუმცა მოგილევის ეპისკოპოსს მოუწია ისეთი ფაქტების გახსენებაც, რომლებიც ნამდვილად ადასტურებდნენ საქართველოში საეკლესიო ტრადიციების დევნას. ყოველივე ეს კი, მისი აზრით, განპირობებული იყო ქართველებისადმი ეგზარქოსების კეთილგანწყობით. ყოვლადსამღვდელო კირიონმა უპასუხა რუსი ეპისკოპოსის გამოსვლას. ქართველმა მღვდელმთავარმა განმარტა, რომ რუსი ეგზარქოსები ებრძოდნენ უძველეს ტრადიციებს, კრძალავდნენ ტაძარში ცოცხალი შესაწირის (ცხვარი და სხვ. - გ. ბ.) მიყვანას, აიკრძალა მრევლისთვის საერთო ტრაპეზის გამართვა წირვის დასრულების შემდეგ. საქართველოს ეკლესიას კიდევ ერთი კარგი ტრადიცია ჰქონდა: ყველა ეკლესიას ჰყავდა მონაზონი ქალი, რომელიც ზრუნავდა საეკლესო შესამოსლისა და ტაძრის სისუფთავეზე. ეს ტრადიციაც გაუქმებული იქნა საქართველოში ეგზარქოსობის მიერ.

ყოვლადსამღვდელო ლეონიდის მოხსენების განხილვამ ფაქტობრივად დაჩრდილა მთავარი საკითხი, რისთვისაც რუსეთის საეკლესიო კრების წინარე თათბირის მეორე განყოფილება იყო შეკრებილი. სხდომაზე უამრავი საკითხი წამოიჭრა, რაც განხილვას საჭიროებდა. ის დრო, რაც მეორე განყოფილებამ საქართველოს ეკლესიის საკითხის განხილვას დაუთმო, არასაკმარისი აღმოჩნდა აღნიშნული თემის გადასაწყვეტად. საბოლოოდ, სხდომაზე მყოფი სასულიერო და საერო პირები შეთანხმდნენ, რომ შემოფარგლულიყვნენ მხოლოდ რუსეთის ეკლესიის უწმიდესი სინოდის არქივში არსებული მასალების შესწავლითა და მათი განხილვით. საარქივო მასალების შესწავლის სურვილი გამოთქვა დეკანოზმა ტ. ი. ბუტკევიჩმა, ქართული დელეგაციის მხრიდან კი - ყოვლადსამღვდელო კირიონმა. სხდომა კვლავ ეპისკოპოს ლეონიდის მოხსენების გარშემო ტრიალებდა. განყოფილების მუშაობისას გამოითქვა აზრი ყოვლადსამღვდელო ლეონიდის მოხსენების განხილვის გადადების თაობაზე, რაც რუსმა სასულიერო პირებმა არ გაიზიარეს. ეპისკოპოსი სტეფანე თვლიდა, რომ ყოვლადსამღვდელო ლეონიდის მოხსენებით რუსეთის ეკლესია ამოსვარეს ტალახში იმ სიკეთის სანაცვლოდ, რაც მან საქართველოს ეკლესიისათვის გაიღო. ამიტომაც მოხსენების განხილვის გადადება არაფრით არ შეიძლებოდა: *„თუკი ავტოკეფალიას მოითხოვენ, სახელდობრ, აქ წარმოდგენილი ბრალდების ნაყლობით, მაშინ ჩვენი ვალია, დავიცვათ ჩვენი ეკლესია და მისი წარმომადგენლები წამოყენებული ცილისწამებისაგან, თუგინდ ავტოკეფალიის საკითხისაგან დამოუკიდებლად“.* საარქივო მასალების შესწავლა დაევალა დეკანოზ ტ. ი. ბუტკევიჩს, რომელიც დაწერდა მოხსენებას საქართველოს რელიგიურ-ზნეობრივ მდგომარეობაზე რუსეთთან შეერთების დროისათვის. უნდა გადაწყვეტილიყო, ვინ შეისწავლიდა საქართველოს ეკლესიის ისტორიას რუსეთთან შეერთებამდე. ყოვლადსამღვდელო კირიონი მიიჩნევდა, რომ იმის გარკვევას, თუ როგორი იყო საქართველოს ეკლესია რუსეთთან შეერთების დროისათვის, კავშირი არ ჰქონდა ავტოკეფალიის საკითხთან. მთავარი იყო ორი საკითხის გადაწყვეტა:

1) მინიჭებული ჰქონდა თუ არა საქართველოს ეკლესიას ავტოკეფალია?

2) შესაძლებელი იყო თუ არა ავტოკეფალიის აღდგენა?

ეპისკოპოს კირიონის მოთხოვნა სხდომის მონაწილეებმა არ გაითვალისწინეს, ამიტომ იგი იძულებული გახდა, რუსი პროფესორებისა და სამღვდელოებისათვის შეეხსენებინა: *„მთავარია ავტოკეფალია, რაც სურს ხალხს... მთელი წელიწადია იხილება ავტოკეფალიის საქმე, მაგრამ წინ იოტისოდენადაც კი ვერ წაიწია. საჭიროა რაღაც მოვიმოქმედოთ ხალხის სურვილის დასაკმაყოფილებლად“.* თუმცა ქართველი მღვდელმთავრის შეთავაზებას რუსებმა ბრალდებით უპასუხეს. პროფესორმა ნ. ნ. გლუბოკოვსკიმ განაცხადა: ავტოკეფალიის საქმე იმიტომ არ მიდის წინ, რომ ეპისკოპოსი კირიონი არ თმობს თავის პოზიციებს; საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის საკითხი რომ კვლავ გადაუჭრელია, ამაში ყოვლადსამღვდელო კირიონს მიუძღვის ბრალიო. კრებაზე მყოფი პროფესორები მიიჩნევდნენ, რომ ქართველი ეპისკოპოსი ფორმალურ მხარეს ანიჭებდა უპირატესობას, ხოლო ავტოკეფალიის მოთხოვნა სხვა მიზანს ემსახურებოდა. საბოლოოდ სხდომაზე მყოფნი შეთანხმდნენ, რომ უნდა გამორკვეულიყო შემდეგი საკითხები:

1) ჰქონდა თუ არა საერთოდ საქართველოს ეკლესიას ავტოკეფალია;

2) როდის, რა ვითარებაში და რა სახით გაუქმდა იგი;

3) როგორ შეხვდა ავტოკეფალიის გაუქმებას საქართველოს ეკლესია;

4) რას ემყარებოდა საქართველოს ეკლესიის აღდგენის მოთხოვნა.

(გაგრძელება იქნება)

◀ დასაწყისი გვ. 1

მისთვის კონკურენცია გაეწია, რის გამოც ბათუმი ყოველი მხრიდან ჩაკეტა. ასეთმა მკაცრმა საბაჟო-საკარანტინო რეჟიმმა ბათუმის ოლქის მოსახლეობის მძიმე ეკონომიკური მდგომარეობა კიდევ უფრო დასცა. ასეთი ვითარება ადგილობრივ მოსახლეობასა და რუსულ ადმინისტრაციას შორის ურთიერთობას უფრო ამწვავებდა: ,,პორტო-ფრანკოს შედეგად დაწესებული რუსული რეჟიმი იმდენად აუტანელი შეიქმნა ადგილობრივი მოსახლეობისათვის, რომ ხალხი სტოვებდა თავის მშობლიურ, საყვარელ კუთხეს და თურქეთში გარბოდა. მეფის შოვინისტი მოხელეები ხელს უწყობდნენ კიდეც მოსახლეობის მასობრივ ემიგრაციას¨ . იმდროინდელ ქართულ პრესაში მდიდარი მასალა მოიპოვება პორტო-ფრანკოს პირობებში რა მდგომარეობაში აღმოჩნდა ადგილობრივი მოსახლეობა. 1879 წელს „დროება“ მიუთითებდა „...იყიდიან რაიმეს და იმასაც მამასისხლად, სამი ოთხი არშინის ჩანახევის გამოტანა არ შეუძლიათ უბაჟოდ და მთელი დღე დამოჟნიის კარებზე დგას ბეჭდის დასასმელათ... ხალხს თავის ეზოში მოწეულის ხილის გაყიდვაც არ შეეძლო მოხელის ბილეთის გარეშე“.

სერგეი მესხი სტატიაში - „ბათუმის მაზრის მდგომარეობა“ წერდა: „ნახევარი ალაბი საახალოხე ჩითი და საპერანგე მიტკალი ვერ უყიდნია გლეხს ისე, რომ არ გააჩერონ საბაჟოზე, სადაც ბეჭედი უნდა დააკრან. ადრე მოდიოდა ბათუმში გლეხი, ყიდულობდა ოსმალოს და ფრანგის საქონელს და უშიშრად მიდიოდა შინ, იცოდა, რომ საბაჟოს ყაჩაღები შინ არ დაუხვდებოდნენ და არ წაართმევდნენ ნავაჭრს. ახლა კი ამ პორტო-ფრანკოს შემოღებამ ეს გვიყო: ამას წინათ ერთ ჩაქველ გლეხს ვიღაც მოკვდომოდა, ბათუმში მოსულიყო, ეყიდნა მიცვალებულისათვის სასუდარეთ რამდენიმე ალაბი მიტკალი და რადგან ეგონა მიცვალებულისათვის მიმაქვსო, ბაჟს არ მთხოვენო, არ შეევლო დამოჟნაში ბეჭდის დასაკრავად, მაგრამ გზაზე დახვდნენ და ეს მიტკალი სულ წაერთმიათ...„

პორტო ფრაკოს პერიოდში შექმნილ ვითარებას, რომელსაც ემატებოდა ჩინოსანთა თვითნებობა, ასე გვიწერს 1882 წელს ბათუმში ჩამოსული დავით კლდიაშვილი: „...პორტო-ფრანკოს დროს ქალაქის გარშემო სადარაჯოები იყო, ყოველი გამვლელ-გამომვლელი იჩხრიკებოდა. გატანილ ნავაჭრზე, რაც უნდა მცირე ყოფილიყო, ბაჟი უნდა გადაეხადა. აქ, რასაკვირველია, დარაჯებიდან ათასი თვითნებობა და შევიწროება ხდებოდა. ერთი სიტყვით, სოფლელები, რომელნიც ქალაქს ვერ რჩებოდნენ, ძლიერ გაჭირვებულნი იყვნენ...

ერთი აჭარელი კაცი მიდიოდა ცხენით ბათუმიდან სახლში. კახაბრის დამოჟნიის პოსტზე სალდათებმა უპოვეს ამ კაცს უნაგირის ქვეშ სამი უბრალო ხელსახოცი. დაიჭირეს და წარადგინეს საცა ჯერ არს, როგორც კონდრაბანდის მიმქონი. დამოჟნიის კანონებით მეკონტრაბანდეს უნდა გადახდეს ხუთჯერ მეტი იმ ფასისა, რაც დაჭერილი საქონელი ღირს, საქონელიც უნდა გაიყიდოს. უბედური აჭარელი ამას არ დააჯერეს და ცხენიც გაუყიდეს... ცხენი რაღა შუაში იყო, ნუთუ ესეც კონტრაბანდად იცვნეს?„

ოსმალეთში გადასახლების ერთ-ერთ ძირითად მიზეზად სამართლიანად მიიჩნევენ რუსეთის ხელისუფლების მიერ ახლად შემოერთებულ მხარეში საადგილმამულო ურთიერთობებისა და მიწისმფლობელობის საკითხის გადაუჭრელობას.

მუჰაჯირობის ერთ-ერთი მიზეზი რელიგიური ფაქტორიც იყო, რომლის გამოყენებასაც მოხერხებულად ცდილობდნენ ოსმალეთი და მისი ემისრები აჭარაში. სამწუხაროდ რუსეთის ხელისუფლება ამ პროცესს პრაქტიკულად ვერაფერს და არაფერს უპირისპირებდა. მხოლოდ პატრიოტულად განწყობილი მამულიშვილები ცდილობდნენ ამ საგანგაშო მოვლენის შეჩერებას. 1880 წ. ცნობილი ქართველთ მოღვაწე ლევან მჭედლიშვილი ბათუმიდან „დროებას“ წერდა: „ვისაც ამ უბედურ ხალხისათვის გული შესტკივა და იცის ამათი ვითარება, ყველა დაგვეთანხმება, რომ ამ ხალხს უბედურების დროს გზაზედ უნდა გადაველობოთ და უფსკრულში დასაღუპათ არ მივსცეთ ნება, არ გავუშვათ. ეს არ იქნება ჩვენგან შეუძლებელი, რადგანაც ჩვენ უკვე ხელში გვაქვს ოსმალოს კომიტეტის ოსმალური პროკლამაციები, რითაც იგინი ხალხს იწვევენ წასვლისათვის. ჩვენ ევროპის სახელმწიფოთ უნდა მივმართოთ და დავავალოთ, რომ მათ როგორც ოსმალეთის შინაური ეკონომიური კითხვების კარგად მცოდნეთ, უწყიან, რომ ისეც დაღუპულს და გაღატაკებულს სახელმწიფოში აქედამ ხალხს ნუ იხმობენ, ნუ ატყუებენო“- ო.

მუფთი ახმედ ხალიფაშვილი

მუსლიმანი დიდებულების მუჰაჯირობის მასშტაბების გაზრდას ხელი შეუწყო ახალი ხელისუფლების მიერ იმ პენსიების გაცემაზე უარის თქმამ, რომელიც მათ ოსმალთა ბატონობის პერიოდში ჰქონდათ დანიშნული. როგორც ცნობილია, თანზიმათის შემდეგ ოსმალეთმა ბეგებს, რომელთა საკარგავები სახელმწიფო საკუთრება გახდა, პენსია დაუნიშნა., ბერლინის კონგრესის დადგენილებამდე აჭარა-ქობულეთის 19 ბეგი პენსიას ღებულობდა. რუსულმა მმართველობამ რიგ მოსაზრებათა გამო უარი განაცხადა აღნიშნული პენსიების გაცემაზე.

„დროებას“ აჭარიდან ატყობინებდნენ მუჰაჯირობასთან დაკავშირებულ ყველა კონკრეტულ ფაქტს: „ბათუმიდამ გვაცნობებენ, რომ ამ რამდენიმე დღის განმავლობაში ჩამოსულა იქ ორასამდის მოსახლე კაცი მაჭახლიდამ, რომელნიც ტრაპიზონიდამ გემს უცდიან ოსმალეთში წასაყვანად ანუ გადასასახლებლად. საცოდავობა იყო ამათი ნახვა. მშიერ-მწყურვალი დედაკაცები და ბავშვები რამდენიმე დღე ეყარნენ ზღვის ნაპირას, გემს ელოდებოდენ. მაჭახლელების გარდასახლებას აბრალებენ ადგილობრივ სული ბეგს, რომელიც თვითონ ოსმალში ადრე იყო გადასახლებული, ახლა ჩამოვიდა და არია ხალხიო...“

მომდევნო ნომრებში „დროება" არაერთხელ დაუბრუნდა ამ საკითხს – „გაზაფხულდა და ხელახლა მოგვდის ცნობები, რომ ბათუმის მაზრიდამ ხალხი მიდის, მაჭახლიდამ 200 კომლი წავიდა, მიდიან აგრეთვე ქობულეთელები, ზემო აჭარა და ქვემო აჭარა ხომ შარშან დაცარიელდა თითქმის, ხალხი სტოვებს მამაპაპეულს მიწა-წყალს, სახლ-კარს, რაც გააჩნია, არ დასდევს იმას, თუ რა მოელის შემდეგში და მიდის უცხო ადგილას, გადადის ჩვენის საზღვარიდამ სხვის საზღვარზედ თავის ოჯახის დასაღუპად. ასეთ უბედურებას ერთის მხრით თურმე ჩვენი მოხელეც აქეზებდეს:„წადით, გადასახლდით! ჩვენთვის თქვენ აღარ ხართ საჭირო, თქვენს მაგიერ აქ ჩვენთვის სხვა ხალხს დავასახლებთო. ერთის მხრით ამისთანა ჩვენებური მქადაგებელნი იყვნენ და მეორეს მხრით, მათსავე გვერდით სტამბოლიდამ მოსული მოლები და ხოჯები, რომლებიც ხალხს ეუბნებოდნენ:

„წავიდეთ ოსმალში, აქ თქვენ დასადგომი პირი არ გაქვსთ. რუსის ხელში თქვენ არ გაძლებით. გიაურთა მართლმსაჯულება მაჰმადიანს კაცს არასოდეს არ შეიწყნარებს. მაჰმადის ბრძანება არის, რომ ვინც გიაურის ქვეყანაში მოკვდება, იგი ედემს ვერ ეღირსება, წაწყმდებაო...„

საბედნიეროდ, უნდა ითქვას, რომ იშვიათი არ იყვნენ ადგილობრივ მაჰმადიან კულტის მსახურთა შორის ისეთები, რომლებიც უცხოეთში გადახვწეას მშობლიურ მიწაზე დარჩენას არჩევდნენ და ამასვე მოუწოდებდნენ თავიანთ მრევლსაც. ერთ-ერთი ასეთი მაჰმადიანი სამღვდელოს შესახებ მოგვითხრობს ზ. ჭიჭინაძე წერილში „აჭარა“, რომელიც ეხება აჭარიდან მუჰაჯირად წასულთა საკითხს: ,,ოცდა-ხუთ-ათას სულამდის შეიკრიბა და რჩევა ჰქმნეს გადასახლების შესახებ. ზოგმა თქვა, რომ წავიდეთ და ქედის მუფთის ვკითხოთ და რასაც ის გვეტყვის, რა გვარის რჩევასაც ის მოგვცემს, ჩვენც ისე მოვიქცეთ. ამ დროს აქ მუფთად იყო სოფელ მერისელი, ხალიფაშვილი, ღრმად მოხუცებული, სტამბოლში ნასწავლი. მან მოისმინა ხალხის კითხვები და პასუხი აგო ასე ქართულად: ,,ხალხნო, გაჩერდით... რასაც სხვადასხვა ხოჯები და მოლები გეუბნებიან, ის სულ ტყუილია... ჩვენ მათ არ ვიცნობთ, ისინი ჩვენ არ გვიცნობენ და ჩვენ კი რაღაც ჭორებს ვლაპარაკობთ. მოიცადეთ პატარა, მოვიდნენ, გავეცნოთ და თუ მართლა


ზაჭარია ჭიჭინაძე

ა. ფრენკელი, რომელმაც 1879 წელს იმოგზაურა აჭარაში, წერდა: „ასეთმა გადასახლებამ, ჯერ ერთი, შეიძლება ჩვენ დაგვაკარგვინოს მამაცი მოსახლეობის კონტიგენტი, ამავე დროს მან შეიძლება შეარყიოს ჩვენი გავლენა მცირე აზიაში და უახლოეს დროში უამრავი წარუმატებლობის წყაროდ იქცეს. არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ მცირე აზია მალე შეიძლება გახდეს ჩვენი „საბოლოო“ ანგარიშების ასპარეზი თურქეთთან და მის მოკავშირე ინგლისთან. მაშინ ჩვენ ვინანებთ მოუსვენარ აჭარლებზე, რომელთაგან განთავისუფლებასაც ახლა ასე ვჩქარობთ¨ . ა. ფრენკელი ერთადერთი არ ყოფილა, საღად მოაზროვნე რუსი ჩინოვნიკები კარგად ხედავდნენ ახლადდამყარებული რუსული მმართველობის ნაკლოვანებებს, რაც ადგილობრივთა სამართლიან გულისწყრომას იწვევდა და სხვა ფაქტორებთან ერთად უბიძგებდა უცხოეთში გადასახლებისაკენ - მუჰაჯირობისაკენ. 1880 წლის დეკემბერში ბათუმში მოვლინებული იქნა მეფისნაცვლის სამმართველოს უფროსი, გენერალ-ლეიტენანტი სტაროსელსკი. მისი მიზანი იყო, გაერკვია ამ უწყებისადმი დაქვემდებარებული მოსახლეობის საჩივრების საფუძველი. სტაროსელსკი წერს: „ადგილზე საქმის ვითარების გარკვევის შემდეგ გამოვლინდა, რომ ბათუმში ჩვენი მმართველობით ყველაზე მეტად უკმაყოფილოა უმაღლესი წოდების წარმომადგენლები, ბეგები. თუმცა, უნდა აღინიშნოს ისიც, რომ უკმაყოფილებას გამოთქვამენ სხვა სოციალური წრის წარმომადგენლებიც. ბათუმის ყველაზე გავლენიანმა 10 ბეგმა მთხოვა, რომ მათ საიდუმლოდ შეეხვედროდი. შეხვედრაზე ბეგებმა განმიცხადეს, რომ მათ თურქთა ბატონობის დროს აქ, ბათუმში ჰქონდათ სამსახური და რეალური ძალაუფლება. სამსახურისათვის ისინი იღებდნენ ჯამაგირს. ეხლა კი სამსახური არ აქვთ და ისინი მოწყვეტილი არიან საარსებო წყაროს. ამიტომ ბევრმა ბეგმა, მათივე თქმით, დაიწყო არცთუ ისე კარგი და კანონიერი საქმიანობა. ასე მაგალითად: ზოგიერთმა ბეგმა, იმის გამო, რომ აღარ ჰქონდა საარსებოდ რაიმე საშუალება, დაიწყო მოსახლეობის აგიტაცია თურქეთში გადასასახლებლად.„

სტაროსელსკის პატაკის მოცემული მონაკვეთიდან ნათლად ჩანს, რომ ბეგთა მიერ რეალური ძალაუფლებისა და საარსებო წყაროს დაკარგვას თან მოჰყვა მათი უცხოეთში გადახვეწა, რამაც, თავის მხრივ, მოსახლეობის დიდი ნაწილის მუჰაჯირობა გამოიწვია.

აჭარიდან გადასახლებული მოსახლეობა საერთოდ ბედის ანაბარად აღმოჩნდა ოსმალეთში, რამაც წასულთა დიდი ნაწილის უკან დაბრუნება გამოიწვია. ასეთი ფაქტები უკვე 1879 წელს მრავლად დაფიქსირდა, ,,ბათუმში დაიწყო იმათი დაბრუნება, რომელთაც ქალაქი დატოვეს, როცა ბათუმის რუსეთზე გადაცემის შესახებ გამოცხადდა. დაბრუნებული ოჯახების გადმოცემით, გადასახლებულთა მთელი მასა, მოხუცები, ქალები და ბავშვები, ტრაპიზონში ყოფნის დროს იძულებულნი იყვნენ ღია ცის ქვეშ ეცხოვრათ, დაკმაყოფილებულიყვნენ მოწყალებით, ეავადმყოფათ, ეშიმშილათ. თურქეთის ხელისუფლებამ თავშესაფარი მისცა 200 გადასახლებულს, როცა მათი რიცხვი 4000-ზე მეტი იყო. დანარჩენი ბედის ანაბარა დარჩა. ასეთმა ინფორმაციამ გადასახლების მსურველებს ხელი ააღებინა განზრახვაზე. 1879 წელს არაერთი ოჯახი დაბრუნდა ქობულეთში, რომლებიც დევრიშ ფაშას ჯარებს გაჰყვნენ თავის დროზე ოსმალეთში. მეფის რუსეთის ხელისუფლება თანდათან ცდილობდა რამდენადმე წაეხალისებინა გადასახლებულთა უკან დაბრუნების პროცესი. ,,მთავრობა დიდის კმაყოფილებით ღებულობს იმ აჭარლებს, რომელნიც ოსმალ ეთში გადავიდნენ, იქ შიმშილით კინაღამ ამოწყდნენ და ახლა უკანვე ბრუნდებიან, ისევ თავიანთ ადგილმამულზე დასასახლებლად. მთავრობა უბრუნებს ამათ თავიანთ ადგილ-მამულს და კმაყოფილებით ასახლებს იმიტომ, რომ ესენი კარგი მუშა ხალხი და ქვეყნისათვის გამოსადეგი არიან“ - წერდა 1882 წელს „დროება“.

დღევანდელ მკითხველსაც შესძრავს სამშობლოდან გადახვენილ აჭარის მკვიდრთა თავიანთ ოჯახებში გამოგზავნილი წერილები, რომელიც ნათლად აჩვენებს, როგორ მდგომარეობაში აღმოჩდნენ ოსმალეთში აჭარიდან მუჰაჯირად წასულები. მოვიყვანთ მხოლოდ ორ მაგალითს.

მუჰაჯირად წასული ძმის წერილი:

„ღმერთის ნებით იყოს, რომ ჩვენ შინ დავბრუნდეთ, თორემ ფუხარა ნახდა. ქალ-ბაღანას პური არ აქვს, ტანთ არაფერი აცვია, ფარაც არ გვაქვს. გვიშველეთ რამით. მთლა მუსულმანობა წახდა. მუჰაჯირი ნუ მოდის, დეიღუპვის მათი საქმე. ჩვენები ახლა სხვაგან წევიდნენ, იქაც ფარა არ არის. ისევე მანდ იყავით, მანდ სჯობია, აქ მოკვდებით ყველანი, ჩვენც სულ ვკვდებით შიმშილით და სიტიტვლით. ჩვენი ქვეყანა კარგი არის, ძვირი არის, აქეთ ნუ მოხვალთ, ჩვენი თხოვნა ეს არის“.

მუჰაჯირად წასული მამის წერილი შვილისადმი:

„შვილო! მათ უნახავს (იგულისხმება შვილიშვილები – *ავტ.*) ნუ მომკლავ. აქ მუჰაჯირათ არ დამტოვო, ცოტა ფარა მომაშველე და მე მაშინათვე წამოვალ ღმერთის ძალით... დუნია წახდა, დეიღუპა ჩვენი საქმე, მუჰაჯირი წახდა, აქეთ ნუღარავინ წამოვა, თორემ მთლა წახდება მათი პური. აქ ვერას იშოვნიან, ნუ წამოვლენ, ყველა გააფრთხილე, მანდ სიკვდილი სჯობია, ჩვენ ყველა მუჰაჯირს თვალი მანდით გვიჭირამს. სელამი ყველას, მანდ შიმშილით მოვკვდეის მირჩევნია, აქ არ დავრჩე. უბედურება ვნახეთ, დეიღუპა ჩვენი საქმე“.

აჭარიდან მუჰაჯირობას საყურადღებო შეფასებას აძლევს პროფესორი ვახტანგ გურული: „მესხთა, აფხაზთა და აჭარელთა მუჰაჯირობა (ოსმალეთში გადასახლება), მთლიანად რუსეთის კოლონიური პოლიტიკის შედეგი იყო: რუსეთის მთავრობა ცდილობდა ოსმალეთის მოსაზღვრე რაიონებში (სასაზღვრო ზოლში), ასევე შავი ზღვის სანაპირო ზოლში ისლამის აღმსარებელი ქართველები არ დაეტოვებინა. ამ უმთავრეს და ზოგად მიზეზს სამცხე-ჯავახეთში, აფხაზეთსა და აჭარაში კიდევ სხვა კონკრეტული ფაქტორებიც ემატებოდა. აჭარაში ასეთი იყო: ბათუმში პორტო-ფრანკოს რეჟიმის შემოღებით აჭარის მკვიდრი მოსახლეობისათვის გაუსაძლისი პირობების შექმნა (აჭარის მოსახლეობა ერთადერთ ეკონომიკურ ცენტრს მოსწყვიტეს და შემოსავლის მნიშვნელოვანი წყარო მოუსპეს); რუს მოხელეთა ძალმომრეობა; რუსული სამართლის შეუსაბამობა ადგილობრივების ტრადიციებსა და ადათ-წესებთან და სხვ. ცხადია, შედეგი გამოიღო ოსმალეთის მთავრობის აგიტაციამაც.

დოკუმეტურადაა დადასტურებული, რომ როგორც რუსეთის მთავრობა და კავკასიის სამეფინასცვლოს ადმინისტრაცია, ისე ბათუმის ოლქისა და ბათუმის ოლქში შემავალი ოკრუგების ადმინისტრაცია აქეზებდნენ და ხელს უწყობდნენ მუჰაჯირობას. აჭარელთა მუჰაჯირობა არა იმდენად ოსმალეთის მთავრობის აგიტაციით, არამედ რუსეთის მთავრობის პოლიტიკით იყო გამოწვეული. სწორედ ამითი იყო განპირობებული ის, რომ აჭარიდან ოსმალეთში 28 000-30 000 მუსლიმი ქართველი გადაიხვეწა“.

ოსმალეთის ხელისუფლების უყურადღებობამ ერთის მხრივ, ბევრს ხელი ააღებინა წასვლაზე (მუჰაჯირობაზე), ხოლო მეორეს მხრივ, უკვე წასულთა უკან დაბრუნებაც განაპირობა. 1879 წელს გაზეთი ,,კავკაზი“ იუწყებოდა: „აი, უკვე ერთ თვეზე მეტია, რაც არც ერთი განცხადება არ ყოფილა გადასახლების თაობაზე და საერთოდ, უნდა ვივარაუდოთ, რომ აჭარის ოკრუგში დარჩენილმა მოსახლეობამ საერთოდ დაივიწყა მსგავსი განზრახვა... გადასახლებულთაგან ზოგიერთი უკვე დაბრუნებულის მონათხრობით. გადასახლებულები თურქეთში საშინელ მდგომარეობაში იმყოფებოდნენ. თურქეთის მთავრობას ჯერჯერობით მათთვის არანაირი მიწა არ გამოუყვია და არანაირი დახმარება არ გაუწევია, ამიტომ გადასახლებულთა დიდი ნაწილი ეძებს შემთხვევას თურქეთიდან უკან გამოსაქცევად“ .

თუ რამდენი ადამიანი წავიდა აჭარიდან მუჰაჯირად? ამ საკითხზე ისტორიოგრაფიაში სხვადასხვა შეხედულებაა. ვ. ლისოვსკი - 38000 სულს მიიჩნევს წასულად , თ. სახოკია- 21. 500 . ჩვენ უფრო სარწმუნოდ მიგვაჩნია პროფესორ ვახტანგ გურულისა და მკვლევარ ჯ. ვარდმანიძის თვალსაზრისი, რომ აჭარიდან გადასახლებულთა რაოდენობა 28-30 ათას სულს შორის უნდა მერყეობდეს .

თუმცა, ამ ციფრის დაზუსტებაც მოსალოდნელია, თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ ოსმალეთში წასასვლელად მომზადებულნი ცდილობდნენ ოჯახების რაოდენობა გაეზარდათ, რათა შემდეგ შეძლებოდათ ცალ - ცალკე მიწის ნაკვეთების მიღება. 1879 წ. ,,კავკაზი“ აჭარის ოკრუგის უფროსის სტეპანოვის ცნობებზე დაყრდნობით იუწყებოდა: თუ უნდა შევნიშნოთ, რომ ოჯახების რაოდენობა, რომელთაც ნამდვილად გამოთქვეს სურვილი გადასახლებულიყვნენ, გაცილებით ცოტაა, ვიდრე ნაჩვენებია. რადგან სამი ან ოთხი ძმა ერთი და იგივე ოჯახიდან ღებულობდნენ ცნობას თითოეული ცალკ-ცალკე, როგორც დამოუკიდებელი კომლი, იმ გათვლით, რომ თურქეთში მიეღოთ ცალკე ნადელი“. თუ ამ ცნობას გავიზიარებთ, შეიძლება მუჰაჯირთა რაოდენობა უფრო შემცირდეს.

ოსმალეთისა და რუსეთის ფაქტობრივად შეთანხმებული პოლიტიკის მიუხედავად, ქართველ მამულიშვილთა (ილია ჭავჭავაძე, გრიგოლ ორბელიანი, სერგი მესხი და სხვა) და სამუსლიმანო საქართველოს პატრიოტულად განწყობილ წარმომადგენელთა (გულო კაიკაციშვილი, ხალიფაშვილი, ხალვაში და სხვა) ძალისხმევით აჭარის მოსახლეობის უმრავლესობა მაინც სამშობლოში დარჩა, ხოლო, წასულთა მნიშვნელოვანი ნაწილი შემდეგ დაუბრუნდა მამა-პაპეულ კერას.

მუჰაჯირობა აჭარიდან


დავით კლდიაშვილი

ყოველთა ლიჯღაბდაბა რომში და მისი მკვლელობა

ვახტანგ ინაური

(გაგრძელება. დასაწყ. წინა ნომერში)

ძნელია წუნი შეიტანო ბრუტუსის ასეთ ლოგიკურად გათვლილი და მეტად დამაჯერებელი ფაქტებითა და არგუმენტებით გამყარებულ და დამაჯერებელ ვერაგულ რჩევასა და რიტორიკას, ამ საუბრით იგი კეისრის ვაჟკაცობას, სიმამაცესა და მის სასურველ სამეფო გვირგვინს ერთმანეთს უკავშირებდა. ამდენად, კეისრის წაუსვლელობა სენატში მის კომპრომიტირებას ნიშნავდა. ამასთან, იჩრდილებოდა მისი ავტორიტეტი. ასე რომ, ბრუტუსმა თავისი დემაგოგიით აიძულა იულიუსი სენატში მისულიყო თუნდაც სხდომის გადადების მიზნით, შეთქმულებისთვის ესეც საკმარისი აღმოჩნდა, მხოლოდ მისი მისვლა იყო საჭირო, რომ ფარულად და მზაკვრულად დასხმოდნენ მას თავს.



ყველა მცდელობა, გაეგო კეისარს შეთქმულების შესახებ, ამაო აღმოჩნდა. ფორტუნა კეისრის საწინააღმდეგოდ იყო განწყობილი. თვითონაც გაუცნობიერებელი სიმტკიცით მიდიოდა სენატში, იმ დროს, როდესაც მას გზად ის მკითხავი (წინასწარმეტყველი) შემოხვდა, რომელმაც ,,კეისარს ურჩია, გაჰფრთხილებოდა დიდ განსაცდელს მარტის თვის იმ დღეს, რომელსაც რომაელები იდებს ეძახდნენ, როცა ეს დღე დადგა, სენატში მიმავალმა კეისარმა გზად შემომხვდარ მკითხავს სალამი მისცა და ხუმრობით უთხრა: ,,აი ხომ დადგა მარტის იდებიო! – დიახ, დადგა, მაგრამ ჯერ არ გასულაო! აუღელვებულად უპასუხა კეისარს მკითხავმა" (პლუტარქე 532). არც ამ ფაქტს მიაქცია იულიუსმა ყურადღება, ის ნამკითხავები და ნაწინასწარმეტყველები დღე იდგა და ის კვლავ ჯიუტად აგრძელებდა თავის საქმიანობას, სავარაუდოა, რომ მას გამორიცხული ჰქონდა სენატში თავდასხმა, ამიტომაც იქ განსაცდელსა და საფრთხეს არ ელოდა.

წინა დღით მარკუს ლაპიდუსთან სუფრაზე მიწვეულმა კეისარმა, წერილებს რომ აწერდა ხელს, საკითხზე, თუ რომელი სახის სიკვდილია ყველაზე კარგიო, ყველას დაასწრო და ,,წამოიძახა,მოულოდნელიო!"(პლუტარქე. 533). სწორედ ასეთი სიკვდილით მოკვდა იულიუსი – ნაღალატევი ,,ნავერაგალი, მზაკვრული და მოულოდნელი სიკვდილით.

პლუტარქე გადმოგვცემს, რომ ამ პერიოდში კეისარი ავადმყოფობას იმიზეზებდაო. შეიძლება ეს მართალიც იყო, გაზაფხული ეპილეფსიის გამწვავების სეზონია. სენის შეტევის დროს შეიძლება ავადმყოფმა ყოველთვის გონება არ დაკარგოს, მაგრამ მის ფსიქიკაზე და აღქმის უნარზე ძლიერ მოქმედებს. სხვაგვარად ვერ ავხსნით, რატომ ვერ მიხვდა იგი შეთქმულების მომზადებას ამდენი ფაქტისა და ინფორმაციის შემდეგ. როგორც წესი, ხელისუფალი ყველაზე მეტად ეჭვიანობს ხოლმე და ძალიან ფრთხილობს მის კარიერას წინააღმდეგობა არ გაუწიოს ვინმემ. იულიუსი კი არაფრად თვლის ახლობელთა და მეგობართა მიტანილ ამბავს. არ ამახვილებს ყურადღებას, მოდუნებული აქვს სიფხიზლე. ეს შეიძლება შეუდარებლად დიდი ავტორიტეტის გამო მოხდა ან, როგორც ვთქვით, ავადმყოფობის მოძალებით. შეთქმულები კი სტაბილურად ფრთხილად მოქმედებდნენ მიზნის მისაღწევად. ბრუტუსს დავალებული ჰქონდა კეისრის სენატის სხდომაზე მიყვანა. შეთქმულები ფარულად შეიარაღებული უნდა მისულიყვნენ, მახვილები ტოგას ქვეშ უნდა დაემალათ და თავს დასხმოდნენ კეისარს ანაზდეულად. ანტონიუსი ბრუტუს ალბინუსს უნდა გაეჩერებინა განზრახ გრძელი საუბრისთვის, რომ ფიზიკურად ძლიერ და კეისრის ერთგულ ანტონიუსს ხელი არ შეეშალა ცეზარის მკვლელობაში. შეიძლება ითქვას, იგი არა მარტო ხელს შეუშლიდა, არამედ კეისართან ერთად შეთქმულებას მოიგერიებდნენ და, ამასობაში, სხვა სენატორებიც გონს მოეგებოდნენ. რაც, ფაქტობრივად, იულიუსის გადარჩენას ნიშნავდა, რადგან მას უკვე ვეღარ მოკლავდნენ. მაგრამ მათ სწრაფად და გამიზნულად იმოქმედეს. წამებში მოხდა ყველაფერი. ჩქარობდნენ, რომ ვერ მოესწროთ სხვა სენატორებს გაეაზრებინათ, რა ხდებოდა კეისრის თავს.

პლუტარქე, აპიანე, ლივიუსი და სხვები ძირითადად ერთნაირად აღწერენ სენატში დატრიალებულ ტრაგედიას. პლუტარქე ამ ამბავს დეტალურად აღწერს, როგორც კი „შევიდა შენობაში კეისარი. ბრუტუსის გარშემო თავმოყრილი შეთქმულნი ორ ნაწილად გაიყვნენ, ერთნი კეისრის სავარძელს ამოუდგნენ უკან, მეორენი კი პირისპირ შეხვდნენ კეისარს და ტულიუს ციმბერთან ერთად მისი გაძევებული ძმის პატიების თხოვნა დაუწყეს: სავარძლამდე ამ თხოვნით მიაცილეს. კეისარი სავარძელში ჩაჯდა და შეთქმულთა თხოვნა უკუაგდო: მაგრამ ისინი არ მოეშვნენ და კიდევ უფრო მეტი დაჟინებით მოითხოვდნენ თავისას, კეისარი ამაზე განრისხდა და აბეზარა მთხოვნელები სათითაოდ გაკიცხა. მაშინ ტელიუსმა ორივე ხელი სტაცა მას ტოგაში და კისერზე ჩამოაღლიტა. ეს უკვე თავდასხმის ნიშანი იყო. პირველი კასკამ დაჰკრა მახვილი კეისარს კეფაში, მაგრამ ეს დაკვრა საკმაოდ მსუბუქი იყო და მომაკვდინებელი არ გამოდგა: კასკა, როგორც ჩანს, დასაწყისში შეშფოთებული იყო ესოდენ ფრიად გაბედული საქციელით. კეისარი მყისვე შეტრიალდა მისკენ, მის მახვილს ხელი სტაცა და ღონივრად ჩაეჭიდა. დაჭრილმა კეისარმა ლათინურად შესძახა კასკას: ,,კასკავ, რას შვრები!" თავდამსხმელმა კი თავის ძმას ბერძნულად მოუხმო საშველად: ,,არიქა, ძმაო, დამეხმარე!"... ამასობაში ყოველმა შეთქმულმა იშიშვლა მახვილი კეისრის მოსაკლავად და ისე შემოერტყნენ გარს, რომ საითაც კი არ მოაბრუნებდა თავს,



ყველგან მახვილს აწყდებოდა, რომელსაც სახესა და თვალებში ატაკებდნენ. გაშმაგებული კეისარი ნადირივით ტრიალებდა შეთქმულთა წრეში, რაკი ყოველი შეთქმული ვალდებული იყო მონაწილეობა მიეღო კეისრის მოკვლაში, ამიტომ ერთხელ ბრუტუსმა დასცა კეისარს მახვილი ფერდში. ზოგიერთი გადმოგცემს, – კეისარი შეთქმულთ ებრძოდა და ყვირილით ხან აქეთ აწყდებოდა, ხან იქითო; მაგრამ როცა მახვილამოწვდილი ბრუტუსი დაინახა, თავზე ტოგა წაიფარა და წინაღმდეგობა შეწყვიტაო (პლუტარქე. 536).

სხვა გადმოცემათა თანახმად, კეისარმა მარკუს იუნიუს ბრუტუსს ბერძნულად შესძახა: ,,კაი სი ტექნონ" (შენც, ჩემო შვილო?!) (პლუტარქე 700). არის სხვა გადმოცემაც: „შენც, ბრუტუს.“ შეთქმულებმა თავი დაიზღვიეს იმით, რომ სენატთან გლადიატორები დაყენეს, რომლებიც ვითომდა სანახაობის მოსაწყობად ჰყავდათ მოყვანილი. როგორც ჩანს ეს სწრაფად აღიქვა ანტონიუსმა და ლიპიდუსმა და თავს უშველეს, მაგრამ მალევე დაიწყეს ბრძოლა ცეზარის მკვლელების წინააღმდეგ, რომლებმაც ვერ დაიყოლიეს ფორუმი, თუმცა, ხალხს არც საპირისპირო აზრი გამოუთქვამს. ბუნებრივია, ხალხი თანაუგრძნობდა ცეზარს, მაგრამ პატივს სცემდა ბრუტუსს. შეთქმულებს სენატმა გარკვეული ღირსება და პატივი მიანიჭა, თანამდებობებზე დანიშნა ისინი, პროვინციები უბოძა, ამავე დროს კეისრის ყველა კანონი ძალაში დარჩა და გადაწყდა კეისრისთვის ღვთაებრივი პატივი ეცათ, მაგრამ კეისრის ანდერძი რომ მოისმინეს, ყველაფერი შეიცვალა, ფაქტობრივად შეთქმულების მოთხოვნა სენატში, ტირანად გამოეცხადებინათ კეისარი და მისი გვამი მდინარე ტიბრში გადაეგდოთ, ამასთან მადლობა გამოეცხადებინათ ბრუტუსის, კასიუსის და სხვა შეთქმულებისთვის, არ შესრულდა. პირიქით, კეისარს ღვთაებრივი პატივი მიაგეს და მისი არც ერთი კანონი არ გაუქმებულა... ვიზუალურად თითქოს დამშვიდდა რომი, თითქოს კოაბიტაცია შესაძლებელი იყო, მაგრამ როცა კეისრის ანდერძი გახსნეს და აღმოჩნდა, რომ კეისარი კარგა მნიშვნელოვან საჩუქარს აძლევდა ყოველ რომაელს, ხოლო მერე კი ფორუმზე ჭრილობებისაგან საშინლად დასახიჩრებული გვამი იხილეს, რომაელებმა სიმშვიდე და წესრიგი ვეღარ დაიცვეს. მოედნიდან მოტანილი მერხები, ხარიხები და მაგიდები კეისრის გვამის ირგვლივ მოაგროვეს, ცეცხლი შეუნთეს და გვამი დაწვეს. ამის შემდეგ ხალხის ერთმა ნაწილმა ხელი სტაცა აგიზგიზებულ მუგუზლებს და კეისრის მკვლელთა სახლების გადასაბუგად გაეშურა, სხვანი კი ქალაქის ყოველ კუნჭულში დარბოდნენ და შეთქმულთ დაეძებდნენ, რათა შეეპყროთ ისინი და ნაკუწ-ნაკუწად დაეგლეჯათ" (პლუტარქე. 538). ახლა უკვე კეისრის მკვლელები იმალებოდნენ, მაგრამ ამაოდ.



როგორც პლუტარქე წერს: ,,მისი მფარველი კეთილი სული, რომელიც სიცოცხლეში შემწეობას უჩენდა კეისარს, არც სიკვდილის შემდეგ ჩამოშორებია, იგი მისი მკვლელების შურისმგებლად გადაიქცა. სდევნიდა მკვლელებს, ხმელეთსა თუ ზღვაზე და დაეძებდა მათ კვალს მანამ, სანამ არც ერთი მათგანი არ დარჩა ცოცხალთა შორის (პლუტარქე, 539). ამოწყდა ყველა, ისიც, ვინც აზრებითა და განწყობილებით მონაწილეობდა შეთქმულებთან. განსაკუთრებით მწარე ბედი ხვდა ბრუტუსსა და კასიუსს, ანუ ვინც პირველად დაჰკრა მახვილი კეისარს და ვინც ბოლოს, მომაკვდინებელი ჭრილობა მიაყენა მას.

ბრუტუსს ორჯერ გამოეცხადა ცეზარის აჩრდილი, რაც რომაული რელიგიური გააზრებით იმას მიანიშნებდა, რომ ,,ღმერთებს არ მოსწონდა მისი მოკვლა"(პლუტარქე. 539). ამიტომაც ბრუტუსმა სცადა ბრძოლაში მომკვდარიყო, მაგრამ არ ეწერა ბრძოლის ველზე სიკვდილი, ,,რომელიღაც მეგობრის დახმარებით მახვილზე მკერდით დაეგო და სიცოცხლეს გამოესალმა" (პლუტარქე. 540).

.,,ყველაზე საოცარი ბედი, რაც შეიძლება ადამიანს ერგოს, ,,წილად ხვდა კასიუსს. ფილიპთან დამარცხებულმა კასიუსმა სიცოცხლე მოისწრაფა, სწორედ იმ მახვილით, რომელიც მან კეისრის წინააღმდეგ აღმართა"(პლუტარქე. 539).

კასიუსი იგივე კასკაა. კასკა მიმართვის ფორმაა. მან პირველმა ჩასცა მახვილი კეისარს კისერში. ძვ. წ-აღ-ით 42 წელს თრაკიის ქალაქ ფიპინთან მოხდა გენერალური შეტაკება პომპეუსისა და კეისრის მომხრე ჯარებს შორის, ბრძოლაში ანტონიუსმა და ოქტავიანემ გაანადგურეს ბრუტუსის, კასიუსის და სხვა შეთქმულთა ძალები. რომში ამ ისტორიულ ეტაპზე დამთავრდა დაპირისპირება.

კეისრის მკვლელობის შემდეგ, შეთქმულთა სენატსა და ფორუმზე გამოსვლების ანალიზიდან ნათლად ჩანს, რომ მისი მოკვლის ძირითადი მოტივი მეფის სტატუსის გაუქმება ან იგნორირება არ ყოფილა. სენატის მიერ ცეზარი აღიარებული იყო მუდმივ დიქტატორად, მას ჰქონდა ჯარის მიერ მინიჭებული იმპერატორის სტატუსი, რომელიც სენატს არ გაუუქმებია. კეისრის ამ ტიტულებს ყველა შეთქმული აღიარებდა კეისრის მოკვლამდე, სენატში მათ არ დაუყენებიათ საკითხი იმპერატორის წოდების მოხსნის ან გაუქმების შესახებ, მათ კეისრისთვის არ უთქვამთ, უარი ეთქვა იმპერატორობაზე, რომელიც უდაოდ მოუსმენდა და ამისთვის მათ არ დასჯიდა, მაგრამ ეს მათ არ გააკეთეს. ჩაიფიქრეს და ვერაგულად მოკლეს იგი.

ფორუმს კი უთხრეს, მეფე მოვკალით და თქვენ თავისუფლება მოგენიჭათო, მაგრამ იქვე მათ წამოაყენეს საკითხი სახალხო ტრიბუნების თავის უფლებებში აღდგენის შესახებ, რომლებიც მათი მომხრეები იყვნენ და მათთან ერთად სენატში პრიორიტეტს მოიპოვებდნენ. ეს გასაგებია, აქ არ ჩანს მკვლელობის მთავარი მიზეზი, მაგრამ როცა მათ კანონი არ გაუქმებულა... ვიზუალურად თითქოს დამშვიდდა რომი, თითქოს კოაბიტაცია შესაძლებელი იყო, მაგრამ როცა კეისრის ანდერძი გახსნეს და აღმოჩნდა, რომ კეისარი კარგა მნიშვნელოვან საჩუქარს აძლევდა ყოველ რომაელს, ხოლო მერე კი ფორუმზე ჭრილობებისაგან საშინლად დასახიჩრებული გვამი იხილეს, რომაელებმა სიმშვიდე და წესრიგი ვეღარ დაიცვეს. მოედნიდან მოტანილი მერხები, ხარიხები და მაგიდები კეისრის გვამის ირგვლივ მოაგროვეს, ცეცხლი შეუნთეს და გვამი დაწვეს. ამის შემდეგ ხალხის ერთმა ნაწილმა ხელი სტაცა აგიზგიზებულ მუგუზლებს და კეისრის მკვლელთა სახლების გადასაბუგად გაეშურა, სხვანი კი ქალაქის ყოველ კუნჭულში დარბოდნენ და შეთქმულთ დაეძებდნენ, რათა შეეპყროთ ისინი და ნაკუწ-ნაკუწად დაეგლეჯათ" (პლუტარქე. 538). ახლა უკვე კეისრის მკვლელები იმალებოდნენ, მაგრამ ამაოდ.

გნეუს პომპეუსის შვილის სექტუს პომპეუსის მოწვევა მოითხოვეს, ამით დაადასტურეს, რომ ისინი კვლავ პომპეუსელები ყოფილან და ვერაგულად გადასულან კეისრის მხარეს, ბრუტუსი კატონის სიძე იყო, კატონი კი კეისრის მტერი, რომელიც დამარცხდა და თავი მოიკლა. მკვლელად, ცხადია, ცეზარი მიაჩნდათ, რაც მათ შურისძიების ჟინს აღუძრავდა. გასათვალისწინებელია ის ფაქტიც, რომ აშკარა იქნებოდა ცოლის – კატონის ქალიშვილის ზემოქმედება ბრუტუსზე და, ალბათ, შვილების – კატონის შვილიშვილების ცეზარისადმი მტრული პოზიცია. ისე რომ, პომპეუსი, კატონი, სციპიონი, ბრუტუსი ერთ ნათესაურ კავშირს შეადგენდნენ და მათი მემკვიდრეები აუცილებლად შურისძიებისათვის უკან არ დაიხევდნენ, რადგან პირადი კარიერული მიზნების გარდა ვენდეტას აღსრულება ძველი რომაული წესი იყო, რომელიც დიდხანს შემორჩა იტალიაში, ესპანეთსა და კორსიკაზე.

მათ სწორედ დაგეგმეს და აღასრულეს კეისრის მკვლელობა, მაგრამ არასწორად გათვალეს შედეგები და საბედისწერო შეცდომა დაუშვეს, არა მარტო იმიტომ, რომ ისინი დაიღუპნენ, არამედ იმიტომაც, რომ ფორუმის განწყობა ვერ გაითვალისწინეს თავიანთ გადაწყვეტილებაში და საკუთარ თავში დარწმუნებულებმა ვერ გაიაზრეს, რომ კეისარზე ბევრად ნაკლები ავტორიტეტტო ჰქონდათ და, ცხადია, მასზე მაღლა არც ხალხი და არც სენატი, მათ არ დააყენებდა.

მათი უფრო დიდი შეცდომა ის იყო, რომ კეისრის მოკვლის შემდეგ, რა მოხდებოდა ქალაქში და რა ქაოსი დაიწყებოდა, ვერ გაიანგარიშეს და მართლაც რომი დიდხანს არ დაწყნარებულა, სანამ ანტონიუსსა და ოქტავიანეს დაპირისპირება არ დასრულდა ოქტავიანეს გამარჯვებით.

შეთქმულებმა ვერც იმპერატორის სტატუსი გააუქმეს, რადგან კეისრის მოკვლით ეს ტიტული არ გაუქმდებოდა. ვინც არ უნდა მოსულიყო რომის ხელისუფლებაში, ნებისმიერი მიიღებდა ცეზარის მიერ დადგენილ ტიტულატურას.

მისი სიკვდილის შემდეგ უმაღლესი თანამდებობის აღმნიშვნელ ტერმინად იქცა „ცეზარი“ ანუ „კეისარი“. ლათინურად „ცეზარ“, ბერძნულად „კეისარ.“ ძველ ბერძნულში ,,ც" ბგერა არ იყო და ,,ც„-ს ნაცვლად ,,კ" გამოიყენებოდა, პლუტარქე ყველგან ,,კეისარს" წერს, ლივიუსი – „ცეზარს.“ ორივე ერთი და იგივე სახელია და ნაკლებ მნიშვნელოვანია, რომ იულიუსი პირველი კაცი იყო, რომელიც საკეისროთი დაიბადა. „ცეზარიც“ და „კეისარიც“ გაიუს იულიუსის ზედწოდება იყო, რომელიც მთელს ევროპაში გავრცელდა, როგორც მეფის აღმნიშვნელი ტერმინი. მაგ. გერმანიაში „კაიზერი,“ კეისრიდან მოდის და „მეფეს“ ნიშნავს – რუსეთში ,,ცარ" ცეზარიდარ არის მიღებული და ა.შ.

გარდა ამისა რომში და შემდეგ ბიზანტიაშიც კეისარი ქვეყნის აბსოლიტურ – საერო და სასულიერო მმართველად გაიაზრებოდა. იულიუს კეისრის ავტორიტეტი მკვლელობამ უფრო აამაღლა, მისი ბრუტუსისადმი მიმართვა –,,შენც, ბრუტუს". თუ ზოგიერთი წყაროთი ,,შენც, ჩემო შვილო, მის სიმამაცესა და მაღალ სულს წარმოაჩენს და მკვლელთა სულმდაბლობას, ღაჩრობას; ერთ კაცს და, თანაც, კეისარს ოცდასამი ჭრილობა მიაყენეს თვალებში, სახეზე, თავში, ფერდებში, კისერში და სხვა ადგილებში, ეს იყო მგლების მსგავსი თავდასხმა კეისარზე, რაც არც ერთ შემთხვევაში არ შერჩებოდათ მათ. უზნეოდ და ღაჩრულად წარმოჩნდება სენატიც, რომელიც ცეზარის რომში შესვლის დროსაც გაიქცა და მისი მოკვლის მერეც. საკვირველია ყოველი მათგანი მეომარია, მხედართმთავარია, ასე როგორ ჩიავდებოდნენ, რომ გაჭირვების ჟამს დარბაზიდან გაქცეულები, ერთმანეთს ასწრებდნენ. სავარაუდოდ საკუთარი ქონების დასაცავად თუ გადასამალად გარბიან. სენატში თითქოს ყველა ყველაფერზე აგებს პასუხს, ხოლო საჭიროების დროს, არავინ არაფერზე პასუხისმგებლობას არ კისრულობს, საკუთარ ღირსებასაც არ უფრთხილდებიან. იმპერატორი კი ყველაფერზე პასუხისმგებელია და ქვეყანაში სტაბილიზაციის გარანტი. ბრუტუსმა და მისმა შეთქმულებმა კი კეისრის დასაცავად და მისი ჯანმრთელობის მოფრთხილების ნაცვლად უსულგულოდ მოკლეს და რომის განვითარება საგრძნობლად შეაფერხეს, ამასთან სამწუხაროა, რომ მათ მოკლეს მსოფლიოში უდიდესი პოლიტიკური და სამხედრო ავტორიტეტი. რითაც კაცობრიობის წინაშე დიდი დანაშაული ჩაიდინეს. ცეზარის სახელი ისტორიას შემორჩა, როგორც განუმეორებელი ხელისუფალი, სიმამაცის, სიბრძნის, გონიერებისა და დაუღლავი მეომრის და მმართველის სიმბოლო, ხოლო ბრუტუსი და მისი მომხრეები დარჩნენ კაცობრიობის ხსოვნაში, როგორც მოღალატე, უმადური, ვერაგი და უსულგულო ადამიანები.

წმინდა პეტრეს აკლდამის აღმოჩენა

თამაზ ჩიკვაიძე

1939 წლის 10 თებერვალს გარდაიცვალა რომის პაპი პიუს XI. რომში წმინდა პეტრეს ტაძარში ათასობით ქრისტიანი ლოცვით და ტირილით ეთხოვებოდა კათოლიკური ეკლესიის პატრიარქს.

ამ დროს, ტაძრის სამხრეთ კედელთან, მუშები გაცხოველებული ტემპით იღებდნენ იატაკის მარმარილოს ფილებს და გარდაცვლილს უმზადებდნენ სამუდამო განსასვენებელს. როცა გახსნეს პაპის ხელით დაწერილი ანდერძი, აღმოჩნდა, რომ მისი სურვილი იყო იგი დაეკრძალათ ტაძრის სამხრეთის კედელთან, პაპის – პიუს X-ის გვერდით. გადმოცემით, სწორედ ამ ადგილზე უნდა ყოფილიყო იესო ქრისტეს პირველი მოწაფე – წმინდა პეტრე დაკრძალული.

როცა გამოაცხადეს პაპის ანდერძი, ეკლესიის საქმეთა მმართველმა, კარდინალმა პაჩელიმ, განკარგულება გასცა, მოემზადებინათ განსვენებულისათვის შესაფერისი აკლდამა. არქიტექტორებმა დაათვალიერეს მითითებული ადგილი და აღმოჩნდა, რომ იქ ახალი საფლავისთვის ადგილი აღარ იყო. მაშინ კარდინალმა ბრძანა, ფრთხილად გაეთხარათ ტაძრის კედლის ფუნდამენტის ძირი და გამოენთავისუფლებინათ საჭირო ფართობი. საფლავზე მომუშავე ხელოსნებმა უცებ შეწყვიტეს მუშაობა. სამუშაოების ზედამხედველმა ყურადღებით დაათვალიერა ამოღებული მიწის მასა და სასწრაფოდ კარდინალ პაჩელისკენ გაემართა. ამ ზედამხედველის სახელი და გვარი ლიუდვიგ კასი იყო,



ბა უაღრესად სარისკო და, პრაქტიკული თვალსაზრისით, ძალიან საეჭვო იყო. რადგან არქეოლოგებს განსაკუთრებული სიფრთხილით უნდა ეწარმოებინათ სამუშაოები, ვინაიდან შეიძლებოდა დარღვეულიყო მთელი ეკლესიის მყიფე წონასწორობა.

ჯერ კიდევ 1822 წელს, როდესაც პაპის – პიუს VI-ის ბიუსტს დგამდნენ, ხელოსნებმა შეამჩნიეს, რომ სადრენაჟო სამუშაოებს შეიძლება მთელი შენობის ჩამოშლა გამოეწვია. მათ უდიდესი სიფრთხილით და განსაკუთრებული ზომების მიღებით შეძლეს სამუშაოების დამთავრება, მაგრამ მთავარი მაინც სხვა იყო. ვაი თუ წმინდა პეტრე ვატიკანში საერთოდ არ ყოფილა და არქეოლოგიური გათხრები ვაითუ ყოველგვარი შედეგების გარეშე დამთავრდებოდა? არადა, იყვნენ ისტორიკოსები, რომლებიც ამტკიცებდნენ, რომ წმინდანი რომში საერთოდ არ ყოფილა. ევანგელისტური ტექსტების მიხედვით, იგი ყოფილა ანტიოქიაში, პონტოში, ბითვინიაში, კაპადოკიაში და მაკედონიაში. იქიდან იგი ჩავიდა რომში, სადაც 25 წელს ცხოვრობდა, მაგრამ შეიძლებოდა ამ ტექსტებზე დაყრდნობით პაპის – პიუს XII-ეს მიეღო ასეთი სარისკო გადაწყვეტილება? შეიძლება წმინდანი მართლაც იყო რომში, იქვე აღესრულა, მაგრამ იყო კი იგი დაკრძალული იმ ადგილზე, სადაც შემდეგ ეკლესია აშენდა?

ამრიგად, არქეოლოგიურ გათხრებს შეეძლო, როგორც გაეძლიერებინა, ისე დაესუსტებინა პაპის და ეკლესიის ავტორიტეტი. პაპმა პიუს XII-ემ გააანალიზა რა ყველა შესაძლო ვარიანტი, მიიღო გადაწყვეტილება, დაეწყო არქეოლოგიური გათხრები. მის ხელმძღვანელებად პაპმა დანიშნა ორი იეზუიტი – ფერუა და კიშბაუმი, ასევე არქეოლოგები – აპოლონ გეტი და ბატონი ხოსი. გათხრების შესახებ არავინ არაფერი არ იცოდა. მუშები მკაცრად გააფრთხილეს, რომ ოჯახის წევრებთანაც არ ესაუბრათ ამ საკითხზე.

დაიწყო თუ არა არქეოლოგიური გათხრები, სწორედ მაშინ დაიწყო მეორე



ტანტინემ ტაძრის ასაშენებლად ასეთი დამრეცი ზედაპირის ფართობი, მაშინ, როცა გვერდზე, აბსოლუტურად სწორ ზედაპირზე, აშენებული იყო ნერონის ცირკი. ამ პატარა ფართობის ჩრდილოეთიდან სამხრეთისკენ დახრა შეადგენდა 11 მეტრს, იმპერატორის არქიტექტორებს, ცხადია, დიდი ძალისხმევა დასჭირდებოდათ სამშენებლო მოედნის მოსაწყობად.

გარდა ამისა, მეცნიერებმა დაადგინეს, რომ ტაძრის ფუნდამენტის მოსაწყობად მშენებლებს მოუწიათ ზოგიერთი საფლავის განადგურება, რაც ძველ რომში უდიდეს ცოდვად ითვლებოდა. არსებული კანონები კრძალავდა მიცვალებულთა საფლავების ხელყოფას. მხოლოდ იმპერატორს შეეძლო თავისი განსაკუთრებული უფლების გამოყენებით ამ სამუშაოებზე ნებართვის გაცემა.

III საუკუნეში წმინდა კიპრიანე ანათემით ემუქრებოდა ქრისტიანებს, რომლებიც თავის მიცვალებულებს წარმართთა სასაფლაოზე დაკრძალავდნენ. მათთვის სასაფლაოდ განკუთვნილი იყო ე.წ. ქრისტიანთა გამოქვაბულები. რატომ ცდილობდნენ „წითელი კედლის“ გარშემო დაესუფთავებინათ თავიანთი მიცვალებულების საფლავები? იმიტომ ხომ არა, რომ იქ წმინდა პეტრე იყო დაკრძალული?

შემოღობილი ფართობიდან რამდენიმე მეტრში, ერთ-ერთ ქრისტიანულ მავზოლეუმში, აღმოჩნდა მოზაიკა, რომელიც გამოსახავდა ბალილეველ მეთევზეს, რომელსაც ქრისტემ დაავალა მის შემდგომ ყოფილიყო მწყემსი. კედელზე ბერძნული ასოებით იყო წარ-

გერმანელი, ეკლესიის ისტორიის პროფესორი, რომელსაც თეოლოგიის დოქტორის ხარისხი ჰქონდა. თავის დროზე რომის პაპმა პიუს X-ემ მას დაავალა გამოეკვლია მთელი ეკლესიის მიწისქვეშეთი. იგი რამდენიმე წლის განმავლობაში გულდასმით ასრულებდა პაპის დავალებას. ამ დროს მან აღმოაჩინა 359 წელს დაკრძალული რომის პრეფექტის აკლდამა, ასევე გერმანიის იმპერატორ ოტონ I-ის, რომის პაპის – ადრიანე IV-ის და შვეციის დედოფლის – ქრისტინას სარკოფაგები. ყველა მათგანის სურვილი იყო დაეკრძალათ იმ ადგილზე, რომელშიც, გადმოცემით, უნდა ყოფილიყო წმინდა პეტრეს საფლავი.

კარდინალ პაჩელის მთელი ცხოვრების მანძილზე აწუხებდა წმინდა პეტრეს საფლავის საიდუმლოება. როცა კარდინალების კონკლავმა პაჩელი ახალ რომის პაპად აირჩია და მიიღო პიუს XII-ის სახელი, იგი ჩავიდა ეკლესიის იატაკქვეშეთში და ყურადღებით დაათვალიერა ლიუდვიგ კასის მითითებული ადგილი. ხანგრძლივი ფიქრის შემდეგ მიიღო ისეთი გადაწყვეტილება, რომლის გაფიქრებასაც ვერ ბედავდნენ მისი წინამორბედი პაპები – დაეწყო არქეოლოგიური გათხრები ეკლესიის ფუნდამენტის ქვეშ. მას მტკიცედ სწამდა, რომ იპოვიდა წმინდა პეტრეს საფლავს.

ური გათხრები ვაითუ ყოველგვარი შედეგების გარეშე დამთავრდებოდა? არადა, იყვნენ ისტორიკოსები, რომლებიც ამტკიცებდნენ, რომ წმინდანი რომში საერთოდ არ ყოფილა. ევანგელისტური ტექსტების მიხედვით, იგი ყოფილა ანტიოქიაში, პონტოში, ბითვინიაში, კაპადოკიაში და მაკედონიაში. იქიდან იგი ჩავიდა რომში, სადაც 25 წელს ცხოვრობდა, მაგრამ შეიძლებოდა ამ ტექსტებზე დაყრდნობით პაპის – პიუს XII-ეს მიეღო ასეთი სარისკო გადაწყვეტილება? შეიძლება წმინდანი მართლაც იყო რომში,

მსოფლიო ომიც, რომელიც თითქმის 6 წელს გაგრძელდა. ამ ხნის განმავლობაში გათხრები შეუფერხებლად მიმდინარეობდა. როდესაც ომი დამთავრდა, მსოფლიომ მხოლოდ ის გაიგო, რომ სამუშაოები კვლავ გრძელდებოდა. ყველას აინტერესებდა ეკლესიაში რა მიზნით ტარდებოდა სამუშაოები, რატომ იყო ყველაფერი ასე გასაიდუმლოებული და ამ ხნის მანძილზე რა შედეგებს მიაღწია არქეოლოგიურმა გათხრებმა.

თავის საჯარო გამოსვლებში პაპი პიუს XII ისეთ ორაზროვან განცხადებებს აკეთებდა, რომელიც არ აკმაყოფილებდა როგორც მორწმუნე საზოგადოებას, ისე მეცნიერებს.

საბოლოოდ 1952 წლის იანვარში გამოქვეყნდა ტაძარში ჩატარებული სამუშაოების ოფიციალური ანგარიში. გათხრები შეუფერხებლად გრძელდებოდა 10 წელიწადს. ახლა შეიძლებოდა პასუხის გაცემა კითხვაზე – იპოვეს თუ არა წმინდა პეტრეს საფლავი?

ადრე ვარაუდობდნენ, რომ ტაძრის სამხრეთი კედლები ეყრდნობოდა ნერონის ცირკის კედლებს. თვლიდნენ, რომ ტაძრის ნაწილი იდგა იმ ადგილზე, სადაც ნერონის დროს კლავდნენ ქრისტიანებს და, სავარაუდოდ, წმინდა პეტრე აქვე აღესრულა მოწამეობრივი სიკვდილით. სინამდვილეში სრულიად საწინააღმდეგო აჩვენა გათხრებმა. აღმოჩნდა, რომ იმპერატორ კონსტანტინეს მიერ აშენებული ბაზილიკა ნერონის ცირკის ადგილზე კი არ იყო აღმართული, არამედ უძველეს სასაფლაოზე. როდესაც არქეოლოგები ბაზილიკის იატაკის ქვეშ ჩავიდნენ, მათ შემოხვდათ ჯერ ერთი, შემდეგ მეორე, მესამე და კიდევ მრავალი სხვა მიცვალებულის მავზოლეუმი. ყველა ისინი ჩამწკრივებული იყვნენ ერთ რიგში და ქმნიდნენ თავისებურ ქუჩას. ეს იყო ძველ რომში ყველაზე დიდი სასაფლაო, რაც კი არქეოლოგებს უნახავთ. ზოგიერთ მავზოლეუმში შესანიშნავად იყო შენახული როგორც მოზაიკა, ისე ფრესკები. კედლებზე შეიძლებოდა წარწერების გარჩევა, რამაც განსაკუთრებით დაინტერესა მეცნიერები. წარწერების წაკითხვით გაირკვა, რომ მავზოლეუმები ძირითადად ეკუთვნოდა წარმართებს, მხოლოდ რამდენიმეში იყო ქრისტიანი დაკრძალული. მათ კრძალავდნენ ქრისტიანობის გარიჟრაჟზე და ეს იყო მანამდე, სანამ იმპერატორი კონსტანტინე ამ ადგილზე ტაძარს ააშენებდა. რატომ კრძალავდნენ ქრისტიანები წარმართთა სასაფლაოზე მიცვალებულებს? აი კითხვა, რომელზეც პასუხი უნდა გაეცა არქეოლოგიურ გათხრებს. ხომ არ იყო ამ ადგილზე დასაფლავებული წმინდა პეტრე? ეჭვს აძლიერებდა ისიც, რომ სასაფლაოს შუაში აღმოჩნდა ცარიელი ოთხკუთხედი ადგილი, რომელიც გარშემორტყმული იყო საფლავებით. სწორედ ამ ცარიელი ადგილის თავზე იყო ტაძრის ფუნდამენტი. საიდუმლო საფლავის გარშემო აღმართული იყო 2,5 მეტრი სიმაღლის, 60 სანტიმეტრი სისქის ე.წ. „წითელი კედელი“, რომელიც სიგრძით 7 მეტრი იყო.

„წითელ კედელში“ აღმოჩნდა 3 ნიშა. ერთში, რომელიც მიწის ქვეშ გადიოდა, კედლები მოპირკეთებული იყო ტუფით. მეორე მოთავსებული იყო პირველის თავზე მიწის ზედაპირის დონეზე და მას ეხურა ზემოდან კირქვის დიდი ფილა. მისი ბოლო ნაწილი ღრმად შედიოდა კედელში, ხოლო თავისი ნაწილი ეყრდნობოდა მარმარილოს ორ ბოძს. მეცნიერები თვლიან, რომ ეს წმინდა პეტრეს აკლდამაა. იმისათვის, რომ გამოეტანათ სათანადო დასკვნა, მეცნიერებმა გააანალიზეს მთელი რიგი ფაქტორები – რატომ ამოარჩია იმპერატორმა კონსტანტინემ ტაძრის ასაშენებლად ასეთი დამრეცი ზედაპირის ფართობი, მაშინ, როცა გვერდზე, აბსოლუტურად სწორ ზედაპირზე, აშენებული იყო ნერონის ცირკი. ამ პატარა ფართობის ჩრდილოეთიდან სამხრეთისკენ დახრა შეადგენდა 11 მეტრს, იმპერატორის არქიტექტორებს, ცხადია, დიდი ძალისხმევა დასჭირდებოდათ სამშენებლო მოედნის მოსაწყობად.

გარდა ამისა, მეცნიერებმა დაადგინეს, რომ ტაძრის ფუნდამენტის მოსაწყობად მშენებლებს მოუწიათ ზოგიერთი საფლავის განადგურება, რაც ძველ რომში უდიდეს ცოდვად ითვლებოდა. არსებული კანონები კრძალავდა მიცვალებულთა საფლავების ხელყოფას. მხოლოდ იმპერატორს შეეძლო თავისი განსაკუთრებული უფლების გამოყენებით ამ სამუშაოებზე ნებართვის გაცემა.

III საუკუნეში წმინდა კიპრიანე ანათემით ემუქრებოდა ქრისტიანებს, რომლებიც თავის მიცვალებულებს წარმართთა სასაფლაოზე დაკრძალავდნენ. მათთვის სასაფლაოდ განკუთვნილი იყო ე.წ. ქრისტიანთა გამოქვაბულები. რატომ ცდილობდნენ „წითელი კედლის“ გარშემო დაესუფთავებინათ თავიანთი მიცვალებულების საფლავები? იმიტომ ხომ არა, რომ იქ წმინდა პეტრე იყო დაკრძალული?

შემოღობილი ფართობიდან რამდენიმე მეტრში, ერთ-ერთ ქრისტიანულ მავზოლეუმში, აღმოჩნდა მოზაიკა, რომელიც გამოსახავდა ბალილეველ მეთევზეს, რომელსაც ქრისტემ დაავალა მის შემდგომ ყოფილიყო მწყემსი. კედელზე ბერძნული ასოებით იყო წარწერა – „პეტრე“.

მეცნიერებმა ქრონოლოგიურად აღადგინეს იმ დროის მოვლენები. 67 წელს ნერონის ცირკში სიკვდილით დასაჯეს წმინდა პეტრე და იქვე მდებარე სასაფლაოზე დამარხეს. დაახლოებით 80 წლიდან, ქრისტიანებმა დაიწყეს საფლავის დაცვა და მას გარს შემოავლეს ე.წ. წმინდა „წითელი კედელი“. მაგრამ იბადება კითხვა: აკლდამა ნაპოვნია, მაგრამ სად წავიდა მისი წმინდა ნაწილები?

კათოლიციზმის ისტორიის სპეციალისტი რუისხარტი აღნიშნავს: ერთ-ერთ ნიშაში ვიპოვეთ ხანდაზმული ადამიანის უთავო ჩონჩხი. ეს ნიშა ღრმად შედიოდა კედელში და მოპირკეთებული იყო მარმარილოს ფილებით. მეცნიერები თვლიან, რომ სწორედ მიცვალებულის ეს ნაშთები არის წმინდა პეტრეს ნაწილები.

ამრიგად, 1939 წლის ივნისში, რომის პაპმა პიუს XII-ემ, ხანგრძლივი ფიქრის შემდეგ, მიიღო გადაწყვეტილება, მოენახა პასუხი იმ კითხვაზე, რომელიც მას მთელი სიცოცხლის მანძილზე აწუხებდა. სამუშაოების ჩატარების შემდეგ იგი დარწმუნდა, რომ ცხოვრებაში აისრულა ის, რაც მტკიცედ სწამდა და ამ კითხვაზე პასუხი მანამდე ჰქონდა გაცემული, ვიდრე არქეოლოგები მას, ფაქტიურად, დაადასტურებდნენ.

ჭეშმარიტი რწმენა ხშირად წინ უსწრებს მეცნიერებას.

მიხეილ ხალიჩაშვილი

ღმერთო

შენ ვერასოდეს ვერ შემამჩნიე
და არ იცოდი არასდროს, ღმერთო,
თუ ჩემი სახით შენს წინ რამხელა,
რა მობრიალე ხანძარი ენთო.
მე გეძახოდი ათას ცის იქით,
ჩამქრალ ელვათა ვდიე აჩრდილებს,
რომ დავაშენე ცრემლის ტაძარი
შენს ცისფერ მხრებზე, ვერ შეამჩნიე.
სულის მთებიდან ცრემლმდინარეში
ვეგდე დამხვრჩალი, თავი მოგანდე,
გულზე მელაგა თეთრი ღრუბლები
და დუმფარები თვალს მილოკავდნენ.
ამბობენ, ქვეყნად ხედავ ყველაფერს,
ვერ დაინახე თუმცა ერთხელაც,
როგორ ვიდექი მატადორივით,
სიკვდილის ხარი როგორ მეძგერა.
და ბრბომაც როგორ დაიღრიალა
და ნისლმა როგორ შემსვა პეშვებით,
როგორ გამეხსნა სულის იარა
და წამოვიდა წარღვნად ლექსები.
მე ამ სტრიქონებს საფლავში ვწერდი,
მკლავს ამოსვლოდა ვენა იებად,
თუ ღმერთისათვის არსებობს ღმერთი,
უნდა იელვოს შურისძიებამ.
ეს ღამე სხრაფი ქარის ფრთით არის,
გაიშრიალებს შორს იქ, ბოდბეზე,...
ცხრა ჯოჯოხეთის ერთად მზიდავი
გული ეცემა ყვითელ ფოთლებზე.
კალმისტარი და ფიქრების შიში,
გასიებული გულში ნაღველი,
მე უსახელო საფლავად ვიშვი,
ვერ მივაწერე ჩემი სახელი.
ნეტავ თავისი ყველას მიეგოს,
და სამართალმა შეჭამოს პური,
ჰო, მომეფერეთ ლურჯო იებო,
ჰო, დამიმშვიდეთ მღელვარე სული.

მარტოობის ბედუინი

მარტოობაზე ცუდი ლექსი არ იწერება,
აი, ეს არის უბედური ყოფის მიზეზი,
ჩემი ლექსები ცაზე სხედან, როგორც მტრედები,
და მარტოობის უდაბნოში ოაზისები
რომ ჩანს,
მე ახლა იმ უდაბნოს ბედუინი ვარ.
მე მარტო ვცხოვრობ და არასდროს არ მყავს არავინ,
პირუტყვის ნაცვლად ლექსებს ვმწემსავ დიდი ხანია,
თხის მატყლისაგან მოქსოვილი დამაქვს კარავი,
ბედნიერებას ხელი ვკარი... ვიღაც მაფიცებს,
რომ წვიმით სავსე შევიყვარო ღრუბლის კასრები
და მეწამული ზღვის კი არა, განცდის ნაპირზე
ახალი მექა დავაარსო და იასრები.

ფიქრობ და თბები

დაგინთე ყვითლად ეს ჭადრები ტიტანთა სიმსხო,
დევების მკლავით გადაგიდგი ნისლულა მთები,
კანში ჯინივით ჩაკეტილი სულიდან მიხმობ,
ხმელა გრძნობებთან დაჯდები და ფიქრობ და
თბები.
ჩამოგეღვარა მირონივით მხრებამდე თმები,
იასამნების ირონიით ისწორებ, კეცავ...
თხელკედლა ლარნაკს მივახატე ლამაზი ზვრები,
მოვედი, ჰეშვით მოგიტანე კამკამა ზეცა.
ეგდო ღვთისმშობლის ნანნავივით მოთეთრო ღამე,
ჭაღარა გვენთოს დაღვრილ თმებზე, დრო მოვა როცა,
მომადე თავი... ვიოცნებოთ ათასი რამე...
თვალების ქორებს გავატანოთ ღმერთამდე ლოცვა.
მარტის მზეები ბავშვებივით დარბიან სულში
და აუტანელ სიმარტოვეს ადგილს უცვლიან,
ფოთლის მუცლიდან დაიღვარა სიჩუმე გუშინ,
გუშინ სიჩუმე დაიღვარა ფოთლის მუცლიდან.
დევების მკლავით გადავცურე ქარები... მთები...
დაგინთე ყვითლად ეს ჭადრები ტიტანთა სიმსხო,
ხმელა გრძნობებთან დაჯდები და
ფიქრობ და თბები,
კანში ჯინივით ჩაკეტილი სულიდან მიხმობ...

უსათაურო

ელვა დავახატე, გაშავდა მოლბერტი,
სამყაროს ჯადოქარს და თითქოს ფიზიკოსს
მეგონა, გადმომცეს პრემია ჰუმბოლდტის,
ვუსმენდი პლანეტის ცურვათა მუსიკას...
როგორც ლიმონი ანდა გრეიფრუტი,
წვიმა წამოვიდა ტანზე დამეცა და
თითქოს მთელი ზეცა სულიდან შევისრუტე,
მიკვირდა... მსგავსი რამ არასდროს განმეცადა...
მდინარის ნაპირზე ვით ალბერტ ჰიჩკოკი,
ვეძებდი შთაგონებას,
შორს ჩანდა ბარისახო
და თითქოს, სიმშვიდე სული წმინდის მადლით,
იმ წამსვე დედამინას სხეულში ჩაესახა.
გულაღმა ვიწექი, ტკივილი მიხაროდა,
რატომ და არ ვიცი!
მეძახდნენ ობლები...
მე, როგორც პოეტი, ზეცისთვის გზა ვიყავ
და ჩემზე დადიოდა ვარსკვლავთა ბორბლებით.
აქ ჩემი სახელი, არც ცოლმა იცოდა,
არც შვილმა...
ხალხშიაც ვჩნდებოდი ნიღაბით
და მხოლოდ,
კვლავ მხოლოდ, სამყარომ იცოდა:
როგორი დიდი და მაღალი ვიყავი.

თანამედროვე ფიროსმანივით

თანამედროვე ფიროსმანივით
ვცხოვრობ უაზროდ,
დრო ნერვებს ჭიმავს...
და მე ვუყურებ შენს თმებზე ღამეს,
როგორც ფოთლებზე დაღუპულ წვიმას.
ისე, ფიქრებში... თორემ აქ სად ხარ?!
ხომ მიერთგულე ბოლომდე ლამის.
ჩემ გვერდზე თვითონ მე მიჭირს ყოფნა,
რადგანაც ვგავარ მოჟამულ ამინდს.
ისევ ღამეთა შავი შაბლონი,
ისევ დღეების თეთრი რუტინა.
იმ საფერფლესაც, შენ რომ მაჩუქე,
ველარ შევეხე წელან უტირლად.
თავის ქალაზე ტყვიის ნასხლეტი
შემრჩება, როცა დავხუჭავ თვალებს.
რაც შენ წახვედი, მე ვარ ასკეტი,
ვუმიჯნურდები უდაბნოს ქარებს.
ცხოვრებამ ცოტა გამაბოროტა,
აბელის მსგავსად დღეს ვგავარ კაენს.
ვიწრო ოთახში ვსუნთქავ ყოველ წამს:
სიკვდილით, სისხლით გაჟღენთილ ჰაერს.
ეშმამ ნაიღოს ეს პოეზიაც.
ტკივილი, როცა საზარლად მიტევს!
მამშვიდებს, როცა სოფელს ვიხსენებ,
ანდა ბებიის დაკოჟრილ თითებს.

ნახული და გაგონილი

(მგზავრის შენიშვნები)



ახალციხე. მე-19 ს-ის 90-იანი წლები

მგზავრობა მტკვრის აყოლება – ბორჯომის ხეობა – კარი სამცხე-საათაბაგო. – უწინდელი ციხე-სიმაგრეები – ბურჯნი ქრისტიანობისა და თავისუფლებისა. – აწყური, ახალციხე და ხერთვისი. – ვისი იყო სამცხე-საათაბაგო და ვისია ეხლა? – ოდნავ-მბჟუტავი ქართველობა. – ქართველები ასე მალე რამ გაამაჰმადიანა? – სკოლები მართლ-მადიდებლობის გამავრცელებელი საზოგადოებასა. – გათათრებულ სოფლებში მშვენიერი ხალხი სცხოვრობს და ქრისტიანთა სოფლებში კი ზნეობრივაც და თვალ-ტანადობითაც დაჩაგრული. – ჯავახეთის ბუნება. – ჯავახეთის ახალ-ქალაქი.

ღამის თერთმეტი საათი იყო. ფოსტის ტროიკა მირიხინებდა მშვენიერს გზა-ტკეცილზედ, ფიჭვის ხეების სუნს, მათ სუნთქვას, მთების კალთებიდამ ხეობაში უხვად მონაბერს, ადვილად გრძნობდა ადამიანი, თითქო გაზაფხულის ჰაერს ამ ბუნების ნებივრებისათვისაც – ზამთარ-ზაფხულ მდიდრად შემოსილებისათვის – მეტი სიცოცხლე მიენიჭებინა. ცა იყო უმთვარო, მაგრამ ამ გაზაფხულის ღამეს ვარსკვლავები თითქო მთვარეს სინათლით შესცილებოდნენ. მტკვარი წყნარად მოდიოდა და მისი შეურყეველი ზედაპირი ოდნავ–მბჟუტავ ვარსკვლავებსაც კი უყურადღებოდ არ სტოვებდა და ყველას ართმევდა ხარკს – სინათლეს – შეძლების კვალობაზედ. გრილი ნიავი... მაგრამ განა რამე ბორჯომის ხეობას გრილი ნიავი მოაკლდება? ვინ ილაპარაკებს წყლის სისველეზედ, ქვის სიმტკიცეზედ, თუ არ უბედო და მე სრულებითაც არ მინდა, რომ ყბედობა დამსწამოს ვინმემ.

ჩვენ მივდიოდით ბორჯომის ხეობაზედ. უკან დარჩა ბორჯომი, ეს ევროპიდამ გაუვალს ტყეში გადმორგული შენობათა სიმრავლე, ეს ახალი ათაბაგთ საათაბაგო და წინ გვედვა ახალ-ციხის მაზრა, ძველებური სამცხე-საათაბაგო.

თითქმის ხაშურიდამ მოყოლებული ახალ-ციხემდე ფოსტის გზა-მტკვრის მარცხენა ნაპირს მისდევს. ჩინებულია ეს გზა, მაგრამ დიდი ხარჯიც დასჭირდება მის გაყვანას. ვინ მოსთვლის რამდენის მთის გაჭრა დასჭირებიათ იმ მთებისა, რომელთ კალთები მტკვრის ტალღებამდე არიან ჩასულნი და მტკვარი შეუპოვრად ებრძვის მათ, იერიშით მიდის და ყოველს მისვლაზედ რამდენსამე კენჭს, მიწას და ხანდისხან დიდს ლოდებსაც აცლის. ეხლა კი კაი გზაა გაყვანილი, მაგრამ უწინ, სამცხე-საათაბაგოს და ათაბაგების დროს, ეს გზა ძნელად გასავლელი უნდა ყოფილიყო. გზის უქონლობამ და ამ ქვეყნის მივარდნილობამ ჩააგონა ალბათ სამცხე-საათაბაგოს მთავრობას, – გასდგომოდნენ საქართველოს მეფეებს და ეძიათ თავისუფლება, სადაც ბუნება არ შველოდათ. უზარმაზარი ციხეები ბუნების მაგიერობას ჩადიოდნენ. თავისუფლებისა და უფლების სიყვარულმა გაიტაცა სამცხე-საათაბაგოს უფროსნი და მეცამეტე საუკუნეშივე სარგის სპასალარმა თითქმის დამოუკიდელობა მიიღო და იმის შვილის-შვილი სარგის ათაბაგად დაამტკიცა საქართველოს მეფემ გიორგი ბრწყინვალემ.

მაგრამ მარტო საქართველოს მეფეები არ იყვნენ საშიშნი სამცხე-საათაბაგოს თავისუფლებისათვის, მეორე მხარეს უფრო საშიში მტერი ჰყავდა, რომელიც თავისუფლების გარდა სარწმუნოებასაც ავის თვალით უცქერდა. ეს მტერი იყო ოსმალეთი.

პირველს ხანას სამცხე-საათაბაგოს ისტორიისას – საქართველოს მეფეების ხელიდამ განთავისუფლების ძებნას მოჰყვა მეორე ხანაც – განუწყვეტელი ბრძოლა ოსმალეთთან თავისუფლებისა და ქრიატიანობის დასაცველად.

წელანვე ვთქვი, რომ სადაც კი ბუნება მთა-გორებით ვერ იფარავდა სამცხე-საათაბაგოს, იქ ხალხს დიდროვანი ციხე-სიმაგრეები აუშენებია. ბევრგან არის ეს ციხე-სიმაგრეები, მაგრამ უფრო იმისთანა ადგილებშია მოქცეული, სადაც მტერი გზას ვერ აუქცევდა. ქართლიდამ მომავალს ჯარს შიგ კრიჭაში აქვს ჩადგმული აწყურის ციხე; ჯავახეთიდამ მომავალს წინ უზარმაზარი ხერთვისის და ასპინძის ციხე დახვდება, სამცხე-საათაბაგოს შუაგულში კიდევ ახალ-ციხის ციხეა მაღლა აჭიმული.

თუმცა ხალხმა ურიცხვი ოფლი და სისხლი დაღვარა ამ ციხეების აშენებაზედ, მაგრამ მაინც პირველსავე იერიშით მოსვლას ოსმელებისას ვერ გაუძლეს. ციხეების ამშენებლებს ზარბაზნების ტყვიის ძალა სახეში არ მიეღოთ და ოსმალებს ზარბაზნებით მალე დაერღვიათ სამცხე-საათაბაგოს ციხე-სიმაგრეები.

მაგრამ ოსმალები პირველშივე თურმე ასე ბრიყულად არ იქცეოდნენ. ორპირული პოლიტიკა ოსმალების ხელობაა და აიმ გვარი პოლიტიკა სამცხე-საათაბაგოსთანაც ეხმარათ. 1626 წ. ათაბაგმა ბექა მესამემ უღალატა მამა-პაპის სარწმუნოებას და გამაჰმადიანდა, მაგრამ უფლება კი არა ჩამორთმევია-რა და თუ ხარჯს იხდიდა, ამ ხარჯსაც ნება-ყოფლობითი მნიშვნელობა ჰქონდა. პირველში ოსმალოს ჯარი არ მოდიოდა სამცხე-საათაბაგოში, თუ თითონ ათაბაგი არ მოიწვევდა. ქრისტიანობაც ჯერ-ჯერობით ხელ-უხლებელი იყო და ოსმალოს მთავრობა ცდილობდა მხოლოდ ძალად – შეერთებულ ქვეყნის თავადაზნაურობისა და ათაბაგებს შორის შუღლი ჩამოეგდო და ამით დაენაწილებინა ოსმალეთის წინააღმდეგ მომქმედი ძალა, ბოლოს, წარსულ საუკუნის ნახევარში, სრულიად ჩამოართვა უფლება ათაბაგების გვარსა და მიანიჭა იმ დიდებულ გვართა, რომელნიც გამაჰმადიანდნენ და ოსმალეთის ერთგულობას სხვებზედ მეტად იჩენდნენ. რასაკვირველია, ოსმალეთის მთავრობა ამ შემთხვევაში იხმარებდა ცბიერის მთავრობის ჩვეულებრივს ღონეს – მაბეზღართა და თავის ქვეყნის ორგულთა დაჯილდოებას და მამულის შვილების დაჩაგვრას, დაძაბუნებას, მამულიდამ განდევნას.

ოსმალეთის მთავრობამ ყოველ ამ ღონეს გარდა იხმარა ერთი სხვა ღონეც, რომელმაც ორასის წლის განმავლობაში ბევრად უმეტესი ნაწილი ქართველობისა გაათათრა, თავიანთ მამა-პაპის რჯული დაავიწყებინა:

ეს ღონე არის ბატონ-ყმობის მოსპობა.

ამ ღონის ხმარებას ნურც ოსმალეთის შორს-გამჭვრეტელობას დავაბრალებთ. თვით რჯული მაჰმადისა უკრძალავს მებატონეებს მაჰმადიანების ყმებად ყოლას და რაკი ეს რჯული სამცხე-საათაბაგოში გავრცელდა, ბატონ-ყმობაც თავისით უნდა მოსპობილიყო.

თუმცა რჯულის გამოცვლა ბრწყინვალე მომავალს უქადიდა გლეხკაცობას, მაგრამ დღესაც ბევრია ახალ-ციხისა და ჯავახეთის ახალ-ქალაქის მაზრაში სოფლები, რომლებშიაც ქართველებს ქრისტიანობა წმინდად დაუცავთ. რამოდენა წვალება უნდა გამოეარა ამ გაბნეულ ქართველობას, ცალკე თავიანთ გათათრებულ მეზობლებისაგან, ცალკე ოსმალეთის მთავრობისაგან, ცალკე თავიანთ მებატონეებისაგან!

ამ ჭირში და წვალებაში გაუტარებიათ მთელი ორი საუკუნე ხიზაბავრას, ქილდას, ბარალეთს და სხვა კიდევ ბევრ სოფლებს. მაგრამ ეს სოფლები ახალ-ციხესა და ახალ-ქალაქს შუა მდებარეობდნენ და ჩვენ ახალ-ციხეს არც კი გავცილებივართ.

ახალ-ციხის მაზრას ძალიან მაღალი მდებარეობა აქვს, მაგრამ რადგან ნიადაგი მეტად კირ-ნარევია, ადვილად ხურდება და დიდს სიტკბოს აძლევს მასზედ ამოცენებულს ხეხილს. ამიტომაც ახალ-ციხის ხეხილი, მეტადრე ვაშლი და მსხალი მეტად განთქმულია.

ვიდრე ახალ-ციხეს მივიდოდეს კაცი, უნდა გაშორდეს მტკვარს და აჰყვეს მტკვრის ჩასართავს მდინარეს – ფოცხოვს, საკმაოდ ღრმასა და განიერს. თვითონ ახალ-ციხე ამ მდინარეზედა მდებარეობს და ეს მდინარე ჰყოფს ძველსა და ახალს ქალაქს ერთმანეთისაგან.

ახალ-ციხეში, როგორც თითქმის ყოველს საქართველოს ქალაქში, არეული მოსახლეობაა: სომხები, ფრანგები, ებრაელები, თითქმის ყველანი ქართულად ლაპარაკობენ, გარდა უკანასკნელად ერზრუმიდან გადმოსახლებულ სომხებისა, რომელნიც კალიასავით მოსდებიან მთელს მხარეს და მთელი ვაჭრობა ხელთ ჩაუგდიათ. ახალ-ციხეში კიდევ ეტყობა, ვისი ყოფილა უწინ ეს ქვეყანა, მაგრამ გარშემო სოფლები რომ დაიაროს კაცმა, ასე ეგონება ანის ქალაქის არემარეში დავდივარ, ან კიდევ ქურთისტანშიო. აქ წმინდა ქართველობა ძალიან ნაკლებად არის. უფრო შეხვდებით გათათრებულ ქართველობას, სომხობას, ქურთებს და თარაქმებს, რაღაც უცხო ხალხებს, რომელთ დასაწყისი მეცნიერთ ჯერედაც არ გამოუკვლევიათ.

ეს ძველის-ძველი ქართველების ქვეყანა, დიდებული სამშობლო რუსთაველისა, ეს ქრიატიანების სისხლით მორწყული ნიადაგი, ეხლა ქურთების, ერზრუმელების სადგურად გადაქცეულა. მოგზაურს უგრძნობლად ეუბნება კუჩერი – ახალ-ციხეს იქით პირველი სტანცია რუსთავიაო, მასუკან ასპინძაო. რუსთავი... ეს არის ეხლა პატარა, ნეხვით სავსე სოფელი, რომელშიაც ათიოდ ნახევარზედ ველური ქურთი სდგას, ასპინძა... ეს არის ეხლა გათათრებულ ქართველების ბუდე.

სწორედ ეხლაა შესაფერი, რომ კაცი მიუბრუნდეს ასპინძისა და რუსთავის გვერდით მომდინარე მტკვარსა და უთხრას:

„ვინ იცის მტკვარო, რას ბუტბუტებ, ვისთვის რას იტყვი!

„მრავალ დროების მოწამე ხარ, მაგრამ ხარ უტყვი.„

ასპინძაში ხეხილი ბლომად არის და აქაური მცხოვრებნი ხვნა-თესვასაც მისდევენ. აპრილის დამდეგი იყო და ასპინძის მინდვრებში ჯეჯილი მწვანედ ბიბინებდა. ხალხს აგრეთვე მამულის გაპატივებაც ჰყვარებია. მინდვრებში ყველგან უხვად იყო ჩამწკრივებული პატივის გროვები. იმ მინდვრებში, რომელნიც ოდესმე, ამ ასის წლის წინად, უხვად იყვნენ კაცის სისხლით გაპატივებულნი.

ასპინძელებს სახეზედ ეტყობათ, რომ ესენი სწორედ ქართველის სისხლისანი არიან და ოსმალოს სისხლი თითქმის სრულებით არ ურევიათ, მაგრამ, ღმერთო! რა ცვლილება მოუხდენია სარწმუნოების ცვლილებას ამათ ცხოვრებასა და ხასიათში! რენანი ამბობს, რომ ეროვნების დედა-აზრი სარწმუნოებაზედ არ არის დამყარებულიო. დიაღაც ასეა, სადაც სარწმუნოება ერს უომრად რგებია და უომრადვე აქვს დაცული. მაგრამ რომელს ერსაც კი იმდენი ხანი დასჭირდა სარწმუნოებისათვის ბრძოლა, რა ხანიც ქართველობა იბრძოდა, ამ ერისათვის სარწმუნოების შეცვლა და შეცვლა ეროვნებისა, ერთი და იგივეა. ჰკითხეთ, მაგალითად, ასპინძის მცხოვრებს:

ვინ ხარო? მოგიგებთ, მუსულმანი ვარო. ქართველობას აღარა კითხულობს, რაკი სარწმუნოება შეეცვალა, შეეცვალა ენაც, ჩვეულებაც, ზნეც; შეეცვალა ერთის სიტყვით, ყოველისფერი, რაც კი ერთს ერს მეორისაგან განარჩევს, გარდა სასის მეტყველებისა, რომელიც შეეცვლება აგრეთვე დროთა-ვითარებისაგან. სარწმუნოება მრავალ საუკუნე ომ-გამოვლილ ხალხისათვის შეადგენდა უმთავრეს ბურჯს ეროვნებისას. იმ ბურჯზედ სხვა მცირე კოშკებიც იყვნენ აშენებულნი, მაგრამ ნება-უნებლიედ უმთავრეს ბურჯთან ერთად უნდა დამხობილყვნენ.

მე მომიხდა ერთს ასპინძელთან იმის ვინაობაზედ ლაპარაკი, თუ ლაპარაკი დაერქმის ჩემგან ქართულად ორიოდ კითხვას და იმისგან პასუხად თავის დაქნევას. ქართული ესმოდა, მაგრამ პასუხის მოცემას კი ვერ ახერხებდა, ან არ უნდოდა. ეს კი მითხრა, რომ დედა-ჩემმა კარგი ქართული იცისო. ეტყობა ამ ხალხში ქართულის სწავლა თან-და-თან კლებულობს.

თათრების შემოსვლის შემდეგ, შემოსული ხალხი უფრო ციხეებისკენ მიიწევდა, ამიტომ აწყურში, ასპინძაში, ხერთვისში თათრობა უფრო გავრცელებულია და ქართულიც ისე არ ეხერხებათ, როგორც სხვა გათათრებულ სოფლებში.

ასპინძას იქით გზა მტკვარ-მტკვარ მიზდევს და გვერდით უვლის წმინდა ქართულ სოფლებს: ხიზაბავრას, ბარალეთს, ქილდას, რომელნიც მთის გადაღმა მის იღლიებში ამოფარებულან. ამათ ენასთან და სარწმუნოებასთან ერთად-ერთი ქართველური თვისებაც კიდევ შერჩენიათ – ღვინის სიყვარული. უნდა ნახოთ, რა წვალებითა და ტანჯვით გაუკეთებიათ კიბეები მტკვრის მხარეს და როგორ დაურგავთ ამ კიბეებზედ ვაზები. ღვინო თუმცა მჟავე მოდის, მაგრამ ისეთის ხალისითა და გულ-დადებით უვლიან ამ ვაზებს, თითქო ვეჯინისა და წინანდლის ღვინო გამოიწურება მათის მტევნებიდამაო.

ამ სოფლების პირდაპირ, თუ მტკვარი მოდიდებულია, ფოსტის ტროიკა რამდენსამე ალაგას მტკვრის ტოტებში უნდა გავიდეს, რომელთაც უიმისოდაც უმზგავსი გზა დეჭერილი აქვთ. აქ ერთი საზარელი შემთხვევა ვნახეთ და ამ შემთხვევამ ცხადად დაგვანახა, რომ ყოველისფრით უკან ჩამორჩომილან ქრისტიანები გათათრებულ ქართველობას.

მტკვარი ავდრების გამო მოდიდებულიყო და ხიზაბავრას პირდაპირ ორ ტოტად იყოფებოდა. წყლის ნაპირას ერთს წყალზედ გამოგზავნილს ათის წლის ბავშვს ფეხი მოსხლეტოდა, ჩავარდნილიყო და მტკვარს შუაზედ მიეგდო. იქ ბავშვს რაღაც უღონო ჩირგვისთვის ჩაევლო ხელი და საწყალობელის ხმით შველას თხოულობდა. ვენახებში მომუშავე ბევრნი შეიყარნენ წყლის ნაპირზედ, მაგრამ ვერც ერთმა ვერ შებედა. არც ერთმა წყლის ნაპირას მცხოვრებმა ცურვა არ იცოდა. დაიწყეს ძახილი, ხერთვისში კაცი გავგზავნოთ, იქ თითქმის ყველამ ცურვა იცისო. მაგრამ ხერთვისი ათს ვერსზედ იყო მოშორებული და ბავშვი კი ძლივსღა ეჭიდებოდა ჩირგს. სიცივისაგან დახრუკულის ხელებით. კარგია, წამოგვეშველა ერთი ფოსტის კუჩერი, რომელმაც ცოტათი იცოდა ცურვა, თოკმობმული შევიდა წყალში და უვნებლივ გამოიყვანა ბავშვი.

მარტო სიმარჯვით არა სჯობნის გათათრებული ქართველობა ქრისტიანებს. ვერც სახით, ვერც ტანით ქართველები არ არიან მოხდენილნი, მაგრამ გათათრებულები კი სილამაზით ზოგიერთ სოფლებში ქვეყნიერებაზე ულამაზეს ხალხს უკან არ ჩამორჩებიან. რას უნდა დაბრალდეს ეს მოვლენა? რასაკვირველია იმას, რომ გათათრებულებს უფრო მეტი ძალა და გავლენა ჰქონდათ ამ მხარეში და საცა კი ლამაზი ქალი გაჩნდებოდა, თავისთვის მიჰყავდათ. ამ გვარად, როგორც ეხლა პარიჟში გროვდება, რაც კი რამ მშვენიერია მთელს საფრანგეთში, ისე, რაც კი რამ სახარბიელო იყო სამცხე-საათაბაგოში, ყოველივე გათათრებულ სოფლებში გროვდებოდა, მეტადრე იმ სოფლებში, სადაც ოსმალეთიდამ მოსულები სახლდებოდნენ, ე.ი. ციხეების ახლო.

ამით აიხსნება, რომ ხერთვისისთანა ლამაზი ხალხი ეხლა ვგონებ გურიაში და სამეგრელოშიაც არ მოიპოვება, იქაური ქალები სინაზით და პირის-კანის გამჭვირვალობით განთქმულ შაჰალის ვაშლს მოგაგონებენ.

ხერთვისის ხეობა ძალიან ხილიანი მხარეა. ვაშლი და მსხალი აუარებელია. მთელი სოფელი ბაღებშია და ხილითა სცხოვრობს. ეს ისეთი ვიწრო ხეობაა, რომ სახნავ-სათესი მიწა არსად არის. ხეხილის მოსავალზედ არის დამოკიდებული ხერთვისელების ყოფა-ცხოვრება.

ხერთვისში მე მომიხდა იქაურ სკოლაში შესვლა. ეს სკოლაა ქრიატიანობის აღმადგინებელ საზოგადოებისა და ქართულის სწავლება ამ საზოგადოების სკოლებში არსად არ არის მიღებული. მასწავლებელმა ბ.გ-ძემ კი მითხრა, რომ ბავშვებს ეხალისებათ ქართულის სწავლა და წიგნები რომ არა გვაქვს, ვეწვალებით და ხელ-ნაწერებზედ ვასწავლითო.

ამ მხარეში ამ საზოგადოებას თურმე ექვსი სკოლა აქვს: ხერთვისში, ბარალეთში, ხიზაბავრაში, ტოლოშში, ქილდაში და მუსხში. ეს სოფლები, გარდა ხერთვისისა, წმინდა ქართული სოფლებია და ქართულის სწავლა კი გამოკლებულია. ეხლა ვიგრძენ, რა კარგი განძიც მიმქონდა ამ სკოლებისათვის – ეს იყო სამასიოდე ქართული წიგნი, წერა-კითხვის საზოგადოებისაგან გაგზავნილი ამ სკოლებში დასარიგებლად. სადაც კი ქართველი მასწავლებლები არიან, იქ ადვილად შეიძლებენ ქართულის სწავლებას, მაგრამ ზოგან, მაგ. მუსხში, ბერძენი დაუნიშნავთ, რომელსაც, რასაკვირველია, ეს ძალიან გაუძნელდება.

ხერთვისი მდებარებს ახალ-ქალაქ - ჩაის შესართავზედ, მტკვართან. აქ გზა

გაგრძელება გვ. 12 ▶

ახალი გამოცემები

არც თუ ისე დიდი ხანია რაც სამცხე-ჯავახეთში მცხოვრები პოეზიის თაყვანისმცემლები გაეცნენ ახალგაზრდა პოეტის თორნიკე ბერიძის შემოქმედებას, რომელიც სისტემატურად იბეჭდება როგორც გაზეთ „ასპინძის სიახლენში“, ასევე „ლიტერატურულ მესხეთსა“ და „მესხეთის უნივერსიტეტის“ ფურცლებზე და მოკლე დროში მრავალი თაყვანისმცემელიც შეიძინა.

თორნიკე ბერიძე ახალგაზრდა შემოქმედია, რომელიც



ამჟამად სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმატებული სტუდენტია და საყურადღებოა, რომ არ ჩატარებულა არც ერთი ლიტერატურული ღონისძიება, საღამო, რომლის აქტიური მონაწილე იგი არ ყოფილიყოს. მისი საინტერესო პოეზიით უკვე დაინტერესდა რამდენიმე გამომცემლობა, კერძოდ მისი ლექსები შეტანილია პოეტურ კრებულში „პოეტები საქართველოსი“, ხოლო სულ ახლახან გამოიცა მისი პირველი პოეტური კრებული „მომავლის ღიმილი“.

იმედია თორნიკე ბერიძის სახით ქართულ მწერალთა რიგებს კიდევ ერთი ნიჭიერი პოეტი შეემატა.

ჩვენ კი ახალგაზრდა პოეტს ვუსურვებთ დიდ წარმატებებს შემოქმედებით სარბიელზე.

გაზეთ „ლიტერატურული მესხეთის“ რედაქცია

წარსული ამბები

როგორ სვამდნენ და სჭამდნენ უწინ

ქვეყნის შექმნიდან მე-XVII საუკუნემდე ადამიანიშვილი თითებით სჭამდა, ჩანგლის ხმარება არ იცოდა და მხოლოდ იშვიათად მოხდებოდა, თუ ვინმე იხმარებდა ჩანგალსა და კოვზს.

ცეზარის მშვენიერს რომში ლუკულის ნადიმზე, რომელსაც მთელს ქვეყანაზე სახელი აქვს გავარდნილი თავისის აურაცხელის სიმშვენიერითა და სიმდიდრით, სტუმრები სირცხვილად არა სთვლიდნენ თითების ჩაყოფას საჭმელში, ერთის რომელისამე ნაჭრის ამოღებას და კბილით ღრღნას... თითქმის ასეთივე ჩვეულება ჰსუფევდა ფრანცისკ I-ის სასახლეში, ჰენრიხ II-ისა, ლიდოვიკ XIII-ისა და, ასე წარმოიდგინეთ, ლიუდოვიკ მე-XIV-საც-კი. თუმცა ეს ამბავი ცოტა ეოცება ადამიანს, მაგრამ მართალი-კია, და თუ შემდეგში მხატვრები თავისს სურათებზე ადამიანისშვილს სადილის დროს ჩანგლითა ჰხატავენ, ამით მხოლოდ ის დაამტკიცეს, რომ ისტორია ცუდად იცოდნენ.

თუმცა უწინ ჩანგალ-კოვზს რო არა ჰხმარობდნენ, მაინც მაშინაც იყო თურმე ზრდილობის კანონი და წესი და რიგი გარეგანის ყოფა-ქცევისა. მაგალითებრ, საჭმელში მთელის ხელის ჩაყოფა უზრდელობად ითვლებოდა, მჭამელს სამი თითი უნდა ჩაეყო და ისიც იმ პირობით, რომ დიდხანს არა სჭერიყო საჭმელში და ნაჭერის არჩევანში არ შესულიყო.

ზრდილობიანობის წესი და რიგი, სუფრის მოწყობილობა და სუფრა-ტილოები მხოლოდ XVI საუკუნეს შეიცვალა ცოტა. ჩანგალი პირველში ჰენრიხ მე-III-ის ზოგიერთმა ახირებულმა მეგობრებმა შემოიღეს, დანარჩენნი-კი ისევ ძველს წესს მისდევდნენ, სამის თითითა სჭამდნენ, სასტიკად ადგნენ ამ წესს, რომ „როცა თითები ქონიანი აქვს ადამიანს, ხელის ტილოსა და ან სუფრაზედ უნდა გაიწმინდოს, არა ტანისამოსზე და, ამას გარდა არ უნდა გაილოკოსო.„

ეხლახან გამოვიდა წიგნი საფრანგეთის ისტორიკოსის ალფრედ ფრანკლენისა, რომელიც ასწერს საფრანგეთის ძველთა წესთა და ჩვეულებათ მე-XII საუკ. მე- XVIII-მდე. ამ ისტორიის მე-VI ნაწილში ფრიად საინტერესოდ არის მოთხრობილი წესრიგი უწინდელის ნადიმობისა.

სუფრაზე ადგილის დაჭერა ხარისხოვნებაზედ იყოს დამოკიდებული, ხარისხით მცირე ხარისხით უფროსის შემდეგ იჯდა, ხოლო თვით სახლის უფროსს-კი უეჭველად ზურგი უნდა შეექცია ბუხრისათვის და ისე დამჯდარიყო.

13 რიცხვი მაშინაც ცუდ ნიშნად მიაჩნდათ და ამ რიცხვს უკავშირებდნენ იუდას, რომელიც მეცამეტე იყო საიდუმლო სერობაზედ. ჰერცოგი ლიუნი სწერს თავისს მატიანეში, რომ ერთხელ ლიუდოვიკ მე-XV სუფრაზედ მეცამეტე იყო და მთელი სადილი ავ-გუნებად გაატარაო, თუმცა იმ დროს ისეთებიცა ყოფილან, რომელნიც ამ ამაოდ-მორწმუნებას არ მისდევდნენ თურმე და მარილის დაპნევაც-კი არ მიაჩნდათ ცუდ ნიშნად.

სუფრად დაჯდომამდე ხელის ბანის ჩეულებას, რომელიც ჩვენშია გავრცელებული და რომელსაც მთელს ევროპაშიაც მისდევენ, ინგლისის გარდა, შუა საუკუნეებში აქვს დასაწყისი. მაშინ ყოველ საჭმლის ჩამორიგებაზე უეჭველად ხელს იბანდნენ. სტუმრებთან მარცხენა ხელით ოქროს, ან ვერცხლის თასი მიჰქონდათ და ხელებზედ სურნელოვანს წყალს უსხამდნენ. მდაბიო ხალხში ამ ჩვეულებას ისე რიგად მტკიცედ არ მისდევდნენ და თჳით ნაპოლეონიც-კი მხოლოდ ერთხელ იბანდა, სადილის წინად.

საჭმელი სტოლზედ დახურული იყო იმ დრომდე, ვიდრე ყველა სტუმრები არ მოუსხდებოდნენ სუფრას. სუფრა ყოველ სადილს უკან უნდა გამოეცვალათ ხოლმე, რადგან სტუმრები ზედ ხელებს იწმენდნენ და ამიტომ შესაბრალისის შეხედულებისა იყო. მაშინ არამც თუ შემწვარსა სჭამდნენ თითებით, არამედ წვნიანსაც-კი სულ ორ-სამს ჯამში მიირთმევდნენ, ამ საუკუნის დასაწყისამდეც-კი შემწვარს უჩანგლოდ შეექცეოდნენ.

თუ რა ძნელად შემოდიოდა ჩანგლის ხმარება, ნათლადა სჩანს იქიდან, რომ კარლ მშვენიერის მეუღლეს (1324 წ.) და კემენცია ვენგრიელისას თითო ჩანგალი ჰქონდათ, ხოლო ტურის ჰერცოგინიას – ორი, კარლ მე-V-ს (1380 წ.) სულ ცხრა ოქროს ჩანგალი ჰქონდა და ორი ვერცხლისა, კარლ მე-VI-ს (1418 წ.) სამი ჩანგალი ხილისათვის და ამასთანავე სამიც შარლოტა დ'ალბრეს (1514 წ.).

იტალიელებმა და გერმანელებმა ჩანგლის ხმარება ასის წლით ადრე დაიწყეს ფრანგებზედ. ინგლისელმა კორიეტამ თავისის იტალიაში მგზავრობის დროს ჰნახა „ახირებული, მოუხერხებელი და საშიში“ იარაღი ჩანგალი და ფრიად გაოცდა, ხოლო შემდეგ მიეჩვია, სასარგებლოდ დაინახა, წაიღო ინგლისში და ამის გამო დიდად სასაცილოდ აიგდეს. ანნა ავსტრიისა ვერ იქნა, ვერ მიეჩვია ჩანგლის ხმარებას და თავისის მშვენიერის თითებიდან რჩებოდა საჭმლის ჭამას.

ჩანგლის ხმარება უფრო მკვიდრად მხოლოდ წარსულ საუკუნის დამლევს შემოვიდა. აქვე მოვიყვანთ ზოგიერთ სანადიმო წეს-რიგს, რომელსაც ძველი ზრდილობა მოითხოვდა:

„ვიდრე სხვა იღებს საჭმელს, შენ უნდა მოითმინო.„

„საჭმელში დიდხანს არ უნდა გქონდეს თითები ჩაყოფილი“.

„თუ შენთან მჯდომს ხორცი ცოტა შეხვდეს, გაუნაწილე შენ მიერ წამოვლებული დიდი ნაჭერი.„

„ხორცი მხოლოდ სამის თითით უნდა აიღო. პირში პატარ-პატარა ნაჭრები ჩაიდე და პირში ლუკმის მისატანად ერთი ხელი იხმარე და არა ორივე ერთად“.

„რამდენიც-კი შეგეძლოს, სჭამე, მასპინძელს ნუ დაჰზოგავ, რადგან თუ მეგობრისას ხარ – ესიამოვნება, თუ მტრისას – მეგობრად მიგიჩნევს რაკი კარგად მიიღებ იმის მასპინძლობას“.

„ივერია,“ 1889 წ. N135

ნახული და გაგონილი

◀ დასაწყისი გვ. 11

ორად იყოფება: ერთი – ფოსტისა ახალ-ქალაქ-ჩაის მისდევს, მეორე კი – ძველი გზა – მიჰყვება მტკვარსა.

ხერთვისიდამ, და კიდევ უფრო ახლო, იწყობა სრულიად უტყეო ქვეყანა. ხერთვისიდამ ათს ვერსზე სძევს ნაქალაქევი, ძველი დიდი ქალაქი, რომელიც კურდებითვეა დასახლებული და წვიის გორებით დატვირთული. წვია აქ შეშის მაგიერობას ჩადის.

ნაქალაქევს ახლო სახელ-განთქმული ვარძიაა, მაგრამ ამისთანა დიდებული მოსაგონარი, რაკი არ მინახამს, რომ არ მეხსენებინა, ისა სჯობდა ასე უბრალოდ ხსენებას.

გზა ხერთვისსა და ნაქალაქევს შუა მოსაწყენია, მაგრამ რა შეედრება ამ მხრივ იმ ხეობას, რომელიც ასდევს ახალ-ქალაქ-ჩაის და რომელზედაც ფოსტის გზაა გაყვანილი, ხერთვისიდამ ახალ-ქალაქამდე, – ოც-და-ხუთის ვერსის სიშორეზედ, სრული უკაცურობა და უდაბურებაა. უდაბურებას ვინა სჩივის, მწვანეს ვერ დაინახავს მგზავრი. შუაში მოდის კლდე-ღრეებზედ სირბილით ახალ-ქალაქ-ჩაი და ორსავ მხარეს სხვა-და-სხვა ფერის კლდეებით არის შემორტყმული. ეს კლდეები ცეცხლის მფრქვევლის ძალის ნაყოფია და იმიტომაც არის ასე სხვა-და-სხვა ფერად შეღებილი, თითქო მხატვარს ზოლ-ზოლად დაუხატავსო.

მგზავრი არ შემოგვხვედრია მთელი თხუთმეტი ვერსი, მაგრამ ბოლოს ერთი ისეთი სურათი ვნახეთ, რომელმაც მგზავრის უნახავობაც დაგვაკვიწყა და ეს უბადრუკი ბუნებაც. ჩვენ დავეწიენით ორს ცხენოსანს, მშვენივრად დარახტულ არაბულს ცხენებზედ მსხდომს. ერთზე იჯდა ამაყის სახის მქონი ეფენდი, რომელსაც თვალებში კმაყოფილებაც ეტყობოდა და ბრძანებლობაც. მეორე ცხენზედ თეთრს ჩადრში გახვეული რაღაც ლამაზად მოყვანილი არსება, ტანის რხევაზედ ეტყობოდა, რომ ყმაწვილი უნდა ყოფილიყო და ეფენდისაც ეტყობოდა სახეზედ დახატულ კმაყოფილებაზედ, რომ ეს ქმნილება მისი ცოლი იყო. ჩვენი ტროიკა მათ დაუპირისპირდა. ქალს ცნობის-მოყვარეობამ დასძლია, ჩადრის კუთხე ოდნავ ასწია და ჩენსკენ შემოიხედა. ჩვენც შევხედეთ, მაგრამ ქურციკივით ფრთხალმა უსწრაფესად გადიფარა ჩადრი იმისთანა სახეზედ, რომელიც მართლა რომ ივარგებდა ნესტან-დარეჯანად ზიჩისაგან დადგმულ ცოცხალ სურათებისათვის.

ჩვენც დაგვძლია ცნობის-მოყვარეობამ, ვიკითხეთ გზაზედ მათი ვინაობა და შევიტყეთ, რომ ეფენდი ხერთვისელი იყო და იქ მიმავლებულიყო.

ახალ-ქალაქ ჩაისა და მტკვრის ხეობის შუა ჯავახეთის მაღლობი ვაკეა. უტყეო, უხილო, უხეო, მაგრამ მშვენიერი შავი მიწა, მოსავლის უხვად მომცემი. აქვე მდებარეობს ჯავახეთის ახალ-ქალაქი, რომელზედაც ახად ითქმის – სახელი ქართველებისაა და სახრავი სომხებისაო. თვალთათვის, გულისათვის, გრძნობისათვის – ეს ქვეყანა არაფერია: არც თვით ქალაქი და არც მისი არე-მარე, მაგრამ კუჭისათვის კი – ღვთის წყალობაა და სწორედ კუჭის ხალხსაც მიუგნია მისთვის.

მოდი, მაშ ამ ორიოდ სიტყვის მეტს ნურას მათქმევინებთ ამ კუჭის ქვეყანაზედ.

ჟურნალი „ივერია“.
NN 4-5 1882 წ. გვ. 190-203

შენიშვნა: ჟურნალ „ივერიის“ ამ ნომერში ავტორის გვარი წაშლილია. იგი არც „ივერიელის“ კატალოგში იძებნება.

გაზეთის ელ.ვერსიების არქივი: ციფრული ბიბლიოთეკა „ივერიელი“ (საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა)

დამფუძნებლები: ფიზიკური პირი **ავთანდილ ბერიძე**
სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი

გაზეთი რეგისტრირებულია ასპინძის რაიონის სასამართლოს მიერ 1998 წლის 15 ოქტომბერს. სარეგისტრაციო N19/4-17

გაზეთის რედაქცია სარგებლობს თავისუფალი პრესის პრინციპებით და ავტორის მოსაზრებებსა და გამონათქვამებზე პასუხს არ აგებს

კომპიუტერული უზრუნველყოფა
ირმა ჯიშკარიანის

რედაქტორი ავთანდილ ბერიძე
სარედაქციო საბჭო:
დურმიშხან ბერიძე, მერაბ ბერიძე, ვახტანგ ინაური, სოსო გიქოშვილი

გაზეთი დაიბეჭდა
შპს „საარის“ სტამბაში
მისამართი: ქ. თბილისი, თევდორე მღვდლის 57.
ტელ: 2.94-14-32

რედაქციის მისამართი:
0500, დაბა ასპინძა, თამარის ქ. N3,
ტელეფონი მთავარი რედაქტორის: 599 97 95 24
lit.meskheti@gmail.com
lit.meskheti@yahoo.com